*დანართი №2*

# აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ

არაბისტიკა - საბაკალაბრო საგანმანატლებლო პროგრამა
არაბისტიკა - სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა
ირანისტიკა - საბაკალაბრო საგანმანათლებლო პროგრამა
ირანისტიკა - სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა
თურქოლოგია - საბაკალაბრო საგანმანათლებლო პროგრამა
თურქოლოგია - სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა
შორეული აღმოსავლეთი. იაპონისტიკა - საბაკალაბრო საგანმანატლებლო პროგრამა
შორეული აღმოსავლეთი. სინოლოგია - საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

10.02.2023
დასკვნის წარდგენის თარიღი

თბილისი

## შინაარსი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ........................................... 4

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა...................................................... 5

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან.................................................... 13

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა........................................................................................................................... 13

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა ........................................................................................................................ 59

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა....................................... 82

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა ........................................................................ 91

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები................................................ 117

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 204864548 |
| დაწესებულების სახე | უნივერსიტეტი |

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| **თავმჯდომარე** (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ზვიად ცხვედიანი, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო |
| **წევრი** (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | თამარ მოსიაშვილი, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო |
| **წევრი** (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | პაატა ჯაფარიძე, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო |
| **წევრი** (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ლიანა ჭყონია, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო |
| **წევრი** (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | თამთა ლეკიშვილი, შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი, საქართველო |
| **წევრი** (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ელისო ელისაშვილი, გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო |
| **წევრი** (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ნინო ჭანტურია, იაპონური ენისა და კულტურის ცენტრი, საქართველო |
| **წევრი** (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ნინო ქოთოლაშვილი, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო |

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

## I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ

| | პროგრამა 1 | პროგრამა 2 | პროგრამა 3 | პროგრამა 4 | პროგრამა 5 | პროგრამა 6 | პროგრამა 7 | პროგრამა 8 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | არაბისტიკა | არაბისტიკა | ირანისტიკა | ირანისტიკა | თურქოლოგია | თურქოლოგია | შორეული აღმოსავლეთი. იაპონისტიკა | შორეული აღმოსავლეთი. სინოლოგია |
| უმაღლესი განათლების საფეხური | ბაკალავრიატი | მაგისტრატურა | ბაკალავრიატი | მაგისტრატურა | ბაკალავრიატი | მაგისტრატურა | ბაკალავრიატი | ბაკალავრიატი |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2] | არაბისტიკის ბაკალავრი | არაბისტიკის მაგისტრი | ირანისტიკის ბაკალავრი | ირანისტიკის მაგისტრი | თურქოლოგიის ბაკალავრი | თურქოლოგიის მაგისტრი | იაპონისტიკის ბაკალავრი | სინოლოგიის ბაკალავრი |
| დეტალური სფეროს დასახელება და კოდი | არაბული ფილოლოგია/ არაბისტიკა 0231.1.18 | არაბული ფილოლოგია/ არაბისტიკა 0231.1.18 | სპარსული ფილოლოგია/ ირანისტიკა 0231.1.17 | სპარსული ფილოლოგია/ ირანისტიკა 0231.1.17 | თურქული ფილოლოგია/ თურქოლოგია 0231.1.16 | თურქული ფილოლოგია/ თურქოლოგია 0231.1.16 | იაპონური ფილოლოგია/ იაპონისტიკა 0231.1.22 | სინოლოგია 0231.1.23 |
| ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/ საგნების/ საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება [3] | | | | | | | | |
| სწავლების ენა | ქართული | ქართული | ქართული | ქართული | ქართული | ქართული | ქართული | ქართული |
| ECTS კრედიტების რაოდენობა | 2401 | 120 | 240 | 120 | 240 | 120 | 240 | 240 |
| პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/არააკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი) | აკრედიტირებული (№ 189, 28.10.11) | აკრედიტირებული (№ 230, 18.07.12) | აკრედიტირებული (№ 190, 28.10.11) | აკრედიტირებული (№ 205, 18.07.12) | აკრედიტირებული (№ 192, 28.10.11) | აკრედიტირებული (№ 206, 18.07.12) | ახალი | ახალი |

---

2 უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

3 (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)

## II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ**[4]

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში აკრედიტაციისათვის წარმოდგენილი იქნა  კლასტერი, რომელიც 8 საგანმანათლებლო პროგრამას მოიცავს:

1) არაბისტიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა
2) არაბისტიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა
3) ირანისტიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა
4) ირანისტიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა
5) თურქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა
6) თურქოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა
7) შორეული აღმოსავლეთი. იაპონისტიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა
8) შორეული აღმოსავლეთი. სინოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

არაბისტიკის, ირანისტიკისა და თურქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებმა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში აკრედიტაცია  2011 წელს გაიარა (გადაწყვეტილებები № 189, № 190, № 192 / 28.10.11), ხოლო სამაგისტრო პროგრამებმა კი 2012 წელს (გადაწყვეტილებები № 230, № 205, № 206 / 18.07.12). 2011 წლიდან შორეული აღმოსავლეთის რეგიონმცოდნეობის (იაპონისტიკა, სინოლოგია) დამატებითი (minor) პროგრამები ხორციელდებოდა. ამჟამად შორეული აღმოსავლეთის - იპონისტიკისა და სინოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამები კი წარმოდგენილია დამოუკიდებელ ძირითად საბაკალავრო პროგრამებად. 2020 წელს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა საგანმანათლებლო პროგრამების რეაკრედიტაციისთვის მზადება დაიწყო. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ ნ ბრძანების დანართი 1-ით დამტკიცებული „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს“ კომპეტენციების აღწერისა და ამ ბრძანების დანართი 2-ით დამტკიცებული „სწავლის სფეროების კლასიფიკატორის“, აკრედიტაციის სტანდარტებისა  და ენის დაუფლების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელის (უმაღლესი განათლების I და II საფეხურები, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს VI და VII დონეები) მიხედვით ამ პროცესში, კლასტერში გაერთიანებულ პროგრამებში განხორციელდა ცვლილებები როგორც შინაარსობრივი, ისე სტრუქტურული თვალსაზრისით.

კლასტერში შემავალი საგანმანათლებლო პროგრამების მისანიჭებელი კვალიფიკაციები განისაზღვრა განახლებული სწავლის სფეროების კლასიფიკატორში დეტალური სფეროს „0231 ენის დაუფლება“ მიხედვით:

1) არაბისტიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციაა არაბისტიკის ბაკალავრი;
2) არაბისტიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციაა არაბისტიკის მაგისტრი;
3) ირანისტიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციაა ირანისტიკის ბაკალავრი;

---

4 პროგრამებთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი

4) ირანისტიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციაა ირანისტიკის მაგისტრი;
5) თურქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციაა თურქოლოგიის ბაკალავრი;
6) ლინგვოკულტუროლოგიური პროფილის გაფართოებიდან გამომდინარე თურქოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციაა თურქოლოგიის მაგისტრი;
7) შორეული აღმოსავლეთი. იაპონოსტიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციაა აპონისტიკის ბაკალავრი;
8) შორეული აღმოსავლეთი. სინოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციაა სინოლოგიის ბაკალავრი.
9) არაბისტიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია: 5 აფილირებული პროფესორი, 13 აფილირებული ასოცირებული პროფესორი, 1 აფილირებული ასისტენტ პროფესორი, 4 მოწვეული პედაგოგი.
10) არაბისტიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას ახორციელებს: 2 აფილირებული პროფესორი, 7 აფილირებული ასოცირებული პროფესორი, 1 აფილირებული ასისტენტ პროფესორი და 6 მოწვეული პედაგოგი.
11) ირანისტიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია: 5 პროფესორი, 13 აფილირებული ასოცირებული პროფესორი, 3 მოწვეული პედაგოგი.
12) ირანისტიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია: 1 აფილირებული პროფესორი, 7 აფილირებული ასოცირებული პროფესორი, 2 მოწვეული პედაგოგი.
13) თურქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია: 5 აფილირებული პროფესორი, 10 აფილირებული ასოცირებული პროფესორი, 1 აფილირიბული ასისტენტ პროფესორი, 5 მოწვეული პედაგოგი.
14) თურქოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას ახორციელებს: 2 აფილირებული პროფესორი, 4 აფილირებული ასოცირებული პროფესორი, 1 აფილირებული ასისტენტ პროფესორი, 4 მოწვეული პედაგოგი.
15) შორეული აღმოსავლეთი. იაპონისტიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია: 3 აფილირებული პროფესორი, 4 აფილირებული ასოცირებული პროფესორი, 3 მოწვეული პედაგოგი.
16) შორეული აღმოსავლეთი. სინოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია: 3 აფილირებული პროფესორი, 4 აფილირებული ასოცირებული პროფესორი, 5 მოწვეული პედაგოგი.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ბრძანების (ბრძანების N 1617627, 16/12/2022) საფუძველზე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი შემადგენლობით: ზვიად ცხვედიანი (თავმჯდომარე), თამარ მოსიაშვილი (წევრი), თამთა ლეკიშვილი (წევრი), ლიანა ჭყონია (წევრი), ელისო ელისაშვილი (წევრი), პაატა ჯაფარიძე (წევრი), ნინო ჭანტურია (წევრი), ნინო ქოთოლაშვილი (წევრი) 2022 წლის 20-23 დეკემბერს აკრედიტაციისათვის წარმოდგენილი არაბისტიკის, ირანისტიკის, თურქოლოგიის, შორეული აღმოსავლეთის - იაპონისტიკისა და სინოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო და არაბისტიკის, ირანისტიკისა და თურქოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის განხილვის მიზნით

ვიზიტად იმყოფებოდა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ვიზიტი დღის წესრიგის მიხედვით წარიმართა. უნივერსიტეტის წარმომადგენლები, მათ შორის საკრედიტაციოდ წარმოდგენილ საგანმანათლებლო პროგრამებში ჩართული აკადემიური პერსონალი, სტუდენტები და კურსდამთავრებულები, რომლებსაც ექსპერტთა ჯგუფი ხვდებოდა, კეთილი განწყობით გამოირჩეოდა და თანამშრომლობდა ექსპერტთა ჯგუფთან.

- **საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

კლასტერის შემადგენლობაში შემავალი ორივე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამები შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდატებთან:

1) პროგრამების მიზნები ნათლადაა ჩამოყალიბებული, სწავლის შედეგები ლოგიკურადაა დაკავშირებული მიზნებთან; შეესატყვისება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას.

2) სწავლება-სწავლის მეთოდები და შეფასება სწვლის სფეროს თავისებურებებს ითვალისწინებს.

3) პროგრამები სტუდენტებს შესაბამის გარემოსა და სერვისებს სთავაზობს. უნივერსიტეტი პროგრამების აკადემიურ და დამხმარე პერსონალთან ერთად ადმინისტრაციისა და დეკანატის დახმარებით ხელს უწყობს სტუდენტთა აკადემიურ პროგრესს. თითოეული პროგრამა ცალკეულად იძლევა საშუალებასა და რესურსს, რათა სტუდენტებმა გაიარონ ინდივიდუალური და ჯგუფური კონსულტაციები შესაბამის აკადემიურ პერსონალთან თუ მოწვეულ ლექტორებთან. სტუდენტები ჩართულები არიან პროგრამების განვითარების პროცესშიც ფოკუს-ჯგუფებისა და გამოკითხვების საშუალებით.

4) პროგრამებს ახორციელებს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე, გამოცდილი და კონკურსის გზით შერჩეული აკადემიური პერსონალი, რომელიც შესაბამისი სწავლის შედეგების მისაღებად საჭირო კომპეტენციებს ფლობს. პროგრამებში ჩართული აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) კვალიფიკაცია შესაბამისობაშია კანონმდებლობისა და თსუ-ში მოქმედ რეგულაციებში არსებულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან.

5) სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით, პროგრამები შიდა და გარე ხარისხის შეფასებებს იყენებს. შიდა ხარისხის შეფასება უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის მუდმივ გაუმჯობესებასა და ხარისხის კულტურის გაძლიერებას. ამ მიზნით, უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს მთელი რიგი რეგულაციები და ჩარჩოები, რომლებიც დაკავშირებულია საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებასა და განვითარებასთან.

### კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

- **რეკომენდაციები**

1. უსდ-ს ბიბლიოთეკაში განთავსდეს საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამის სასწავლო კურსებში მითითებული ლიტერატურა.
2. მნიშვნელოვანია, რომ კლასტერში გაერთიანებული საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების რიგ სასწავლო კურსების სილაბუსებში, სტუდენტთა შეფასების გამჭვირვალობის აუცილებლობიდან გამომდინარე, გადაიხედოს, დაზუსტდეს და

გაიწეროს შეფასების მეთოდების დეტალური კრიტერიუმები: ზოგი სასწავლო კურსის სილაბუსში სწავლის შეფასების კრიტერიუმების ზეპირი და წერითი შეფასების ნაწილში ქულების დიფერენციაცია და მეტი სიცხადე (1-2-3-4-5 ქულიანი სხვაობის პირობებში შეფასების ერთი სტანდარტის დიფერენცირება: რა შემთხვევში ფასდება ცოდნა, მაგალითად, 15, 16, 17 და 18 ქულით ან და 5, 6, 7, 8 და 9 ქულით).

3. მნიშვნელოვანია, შესაბამისმა სამსახურებმა უზრუნველყონ სამეცნიერო ბაზების გაცნობა სტუდენტებისათვის და მათი გამოყენების ინსტრუქციის მიწოდება კვლევითი პროცესების გაუმჯობესების მიზნით;
4. საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგები მიღწევის უზრუნველსაყოფად თსუ-ის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში ხელმისაწვდომი უნდა იყოს და საერთო ონლაინ-კატალოგში უნდა იძებნებოდეს სილაბუსებით განსაზღვრული ყველა სავალდებულო წყარო და სხვა სასწავლო მასალა.
5. რეკომენდებულია, პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის ჩართულობის უზრუნველყოფა პროგრამის შეფასების მექანიზმების შემუშავება/იმპლემენტაციის პროცესში, პროგრამების ხელმძღვანელებსა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან უფრო აქტიური თანამშრომლობის გზით;
6. რეკომენდებულია, სტუდენტთა ჩართულობის მაჩვენებლის გაუმჯობესება პროგრამების შეფასება/განვითარების პროცესში;
7. სასურველია პროგრამების გარე შეფასებები დარგის ადილობრივი/საერთაშორისო ექსპერტების მხრიდან განხორციელდეს წერილობითი ფორმით, კონკრეტული შეფასების/რეკომენდაციების წარმოდგენის გზით.
8. რეკომენდირებულია, იაპონური ენის სასწავლო კურსში მითითებული მთავარი სახელმძღვანელო “მინნა ნო ნიჰონგო 1 - იაპონური ენა ყველას” შეცვლა ახალი, 2021 წლის ლიცენზირებული გამოცემით.
9. იაპონური 4,5,6,7-ის პროგრამაში მითითებული წიგნის „მარუგოტო“-ს გამოყენებამდე ტრეინინგის დანერგვა ან ლექტორის, მოწვეული ლექტორის სამასწავლებლო კვალიფიკაციის ასამაღლებელი 6 კვირიან პროგრამაზე გაგზავნა ურავას უნივერსიტეტში (აღნიშნული ტრეინინგი ფინანსდება იაპონიის ფონდის - Japan Foundation-ის მიერ) რათა ლექტორმა შეისწავლოს ამ წიგნთან ურთიერთობა და გამოყენების წესები.
10. რეკომენდირებულია, გადაიხედოს იაპონური 6 და იაპონური 7-ის შედეგები/მოლოდინის ნაწილი, რადგან მითითებული დებულებები, რომ სტუდენტები შეძლებენ პროგრამის განმავლობაში ნასწავლი 1108 იეროგლიფით ლექსიკონის გარეშე სტატიების კითხვას და თარგმანს არ შეესაბამება რეალობას.
11. იაპონური ენა 5,7-ში უფრო მეტი ყურადღება და დრო დაეთმოს ბიზნეს ურთიერთობებისთვის განკუთვნილი იაპონური ენის „კეიგო“-ს შესწავლას, თუ ამ ნაწილში იქნება მოწვეული იაპონელი ლექტორი, სტუდენტებს უფრო გაუმარტივდებათ შესწავლა.
12. იაპონიის ახალი და უახლესი ისტორია - რეკომენდირებულია მასალების განახლება და თანამედროვე ლიტერატურით ჩანაცვლება, ასევე დამხმარე რუსულ ენოვანი წყაროების ინგლისურენოვანი წყაროებით ჩანაცვლება. ასევე იაპონიაში 2000-2021 წლამდე მომხდარი მოვლენების შეტანა სასწავლო პროგრამაში, რომ სტუდენტმა გაიაზროს და გაეცნოს იაპონიაში მიმდინარე პოლიტიკურ სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ პროცესებს.
13. რეკომენდირებულია ჩინური ენის სასწავლო კურსების სილაბუსით გაწერილი პროგრამის და მისაღწევი დონეების გადახედვა და შედარებით უფრო რეალისტური შედეგების დასახვა: ჩინური ენის რიგი სილაბუსების გადახედვა (ჩინური 3, 4, 5, 6, 7). კერძოდ,

საჭიროა სასწავლო ლიტერატურის, ენის საერთაშორისო სტანდარტის დონის და შესასწავლი იეროგლიფების/ლექსიკური ერთეულების რაოდენობის შესაბამისობაში მოყვანა, რომ რეალისტურად განისაზღვროს და მიღწეულ იქნას ენის კომპეტენციის დასახული შედეგი.

14. სამეცნიერო კარიერული წინსვლის თვალსაზრისით სასურველია მეტი ასისტენტ პროფესერის ჩართვა პროგრამებში.

- **რჩევები პროგრამების განვითარებისთვის**

1. სასურველია, სტუდენტებმა მეტი ინფორმაცია მიიღონ უნივერსიტეტში არსებული სერვისების, მათ შორის საბიბლიოთეკო რესურსების გამოყენების შესახებ;
2. სასურველია, მეტად ჩართული იყოს უნივერსიტეტის კარიერეული განვითარების ცენტრი სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა ინფორმირებისა და დასაქმების საქმეში;
3. სასურველია, განახლდეს საბიბლიოთეკო წიგნადი ფონდი უახლესი ქართული და უცხოურენოვანი დარგობრივი ლიტერატურით.
4. სასურველია, საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების მომზადების დროს სტუდენტებს მეტი ინფორმაცია მიეწოდოთ გამოყენებული წყაროების მითითების სტანდარტების შესახებ.
5. სასურველია, სამაგისტრო პროგრამის ბიუჯეტში გაიზარდოს სამეცნიერო-კვლევითი და სხვა ხარჯები.
6. საურველია, სტუდენტთა გაცვლით პროგრამებში, სხვადასხვა სამეცნიერო კონფერენციებში, პრაქტიკის, ექსპედიციის და სხვა ღონისძიებების დაფინანსების ხარჯების გაზრდა.

**პროგრამული**

**არაბისტიკა - საბაკალავრო პროგრამა**

1. პროგრამის ერთ-ერთი მიზნია სტუდენტისთვის არაბული ენის სისტემისა და ენობრივი სტრუქტურის ფართო ცოდნის მიცემა და თანამედროვე არაბული სამყაროს მრავალრიცხოვანი დიალექტების მიმართ მიმღებლობის, მათი ურთიერთმიმართებების ერთიანი ხედვის გამომუშავება. აქედან გამომდინარე, არაბულ სამყაროში ისტორიულად ჩამოყალიბები ენობრივი სიტუაციის გათვალისწინებით, სასურველია, ენის კურსების სილაბუსების შინაარსში გათვალისწინებული იყოს დიალექტების ამსახველი მასალა. ამის საშუალებას იძლევა არაბული ენა 1, 2, 3 და 4-ის სილაბუსებში დამხმარე ლიტერატურად მითითებული სახელმძღვანელოები: 1) Brustad K., Al-Batal M., Al-Tonsi A. 2011. Al-Kitaab fii Taʿallum al-ʿArabiyya with DVDs. A Textbook for Beginning Arabic. Part One. Third Edition. Georgetown University Press - https://alkitaabtextbook.com/part1/3e/ და 2) Brustad K., Al-Batal M., Al-Tonsi A. 2015. Al-Kitaab fii Taʿallum al-ʿArabiyya with website. A Textbook for Intermediate Arabic. Part 2. Third Edition. Georgetown University Press - https://alkitaabtextbook.com/part2/3e/

**თურქოლოგია - სამაგისტრო პროგრამა**

1. სასურველია, თურქოლოგიის სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში, სტუდენტებს სასპეციალიზაციო ენასთან დაკავშირებული უფრო მეტი პრაქტიკული კურსი შევთავაზოთ, რათა თეორიულ-მეცნიერული ცოდნის გაღრმავებასთან ერთად შეძლონ

განავითარონ პრაქტიკული უნარ-ჩვევები და აიმაღლონ ენობრივი კომპეტენციები არანაკლებ C1 დონისა.

2. სასურველია, გაუმჯობესდეს აკადემიური წერის მიმართულებით კონსულტაციები. კერძოდ, ნაშრომებში წყაროებისა და ბიბლიოგრაფიის მითითების წესის შესახებ.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)[5]**

▪ **ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე**

დაწესებულების პასუხის მიხედვით, დასკვნის პროექტის ზოგად ნაწილში წარმოდგენილი რეკომენდაციები განმავითარებელი ხასიათისაა.

დაწესებულების არგემუნტირებული პოზიცია გაჟღერებული იქნება აკრედიტაციის საბჭოზე ექსპერტთა დასკვნის საჯარო განხილვისას.

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

**აკრედიტაციის ექსპერტთათვის შეფასების მიდგომები:**

**აკრედიტაციის სტანდარტების კომპონენტები ფასდება შემდეგი ორი მიდგომით:**

1. კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება[6]
2. კლასტერული შეფასება[7]

---

5 პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის/პროგრამებისთვის

6 **შეფასების მიდგომები**: აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის შესაბამის კომპონენტის მოთხოვნებთან. ასევე, შეგიძლიათ მიუთითოთ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთიანი და ძირითადი მახასიათებლებისაგან.

7 **შეფასების მიდგომები: საჭიროების შემთხვევაში** აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის შესაბამისი კომპონენტის მოთხოვნებთან. ასევე, შეგიძლიათ მიუთითოთ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთიანი და ძირითადი მახასიათებლებისაგან.

| სტანდარტი/კომპონენტი | შეფასების მიდგომები |
|---|---|
| **1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა** | |
| 1.1. პროგრამის მიზნები | კლასტერული და ინდივიდუალური |
| 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები | კლასტერული და ინდივიდუალური |
| 1.3. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი | კლასტერული |
| 1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი | კლასტერული და ინდივიდუალური |
| 1.5 სასწავლო კურსი/საგანი | კლასტერული და ინდივიდუალური |
| **2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა** | |
| 2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები | კლასტერული და ინდივიდუალური |
| 2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი/ შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება | კლასტერული |
| 2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები | კლასტერული |
| 2.4. სტუდენტების შეფასება | კლასტერული |
| **3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა** | |
| 3.1. სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები | კლასტერული |
| 3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა | კლასტერული |
| **4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა** | |
| 4.1. ადამიანური რესურსი | კლასტერული და ინდივიდუალური |
| 4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია | კლასტერული და ინდივიდუალური |
| 4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება | კლასტერული |
| 4.4. მატერიალური რესურსი | კლასტერული და ინდივიდუალური |
| 4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა | კლასტერული და ინდივიდუალური |
| **5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები** | |
| 5.1. შიდა ხარისხის შეფასება | კლასტერული |
| 5.2. გარე ხარისხის შეფასება | კლასტერული |
| 5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება | კლასტერული |

## III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

### 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას. კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამები სწავლის სფეროს შინაარსის გათვალისწინებით ლოგიკურად დაკავშირებულია ერთმანეთთან და ვითარდება უმაღლესი განათლების საფეხურების შესაბამისად.

#### 1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

**აღწერა** - კლასტერში შემავალი ორივე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, აკრედიტაციისათვის წარმოდგენილი პროგრამების მიზნები სრულ შესაბამისობაშია უნივერსიტეტის მისიასთან, შინაარსობრივად ურთიერთკავშირშია და ერთმანეთის განვითარებას წარმოადგენს. 8 პროგრამიდან 6 (არაბისტიკა, ირანისტიკა, თურქოლოგია) აღმოსავლეთმცოდნეობის დარგებში ფართო ცოდნიდან ღრმა და სისტემურ ცოდნამდე ბაკალავრისა და მაგისტრის აკადემიური ხარისხის სპეციალისტების მომზადებას ისახავს მიზნად, ხოლო 2 (შორეული აღმოსავლ;ეთი. იაპონისტიკა და შორიეული აღმოსავლეთი. სინოლოგია) ბაკალავრის აკადემიური ხარისხის სპეციალისტებისა. მათი საქმიანობა მნიშვნელოვანია ჰუმანიტარული ცოდნის გაცვლა-გავრცელებაში, სამეცნიერო კვლევების განვითარების საქმეში და ხელს შეუწყობს ქვეყანაში დემოკრატიული, ზოგადსაკაცობრიო ჰუმანისტური და მულტიკულტურულ ღირებულებების დამკვიდრებას. ყველა პროგრამის მიზანი დეტალურადაა ჩამოყალიბებული, შეესაბამება დარგის მახასიათებლებს და ლოგიკურად ებმის შინაარსსა და შედეგებს. ყველა პროგრამის ამოცანები მკაფიოდაა წარმოდგენილი და სრულიად შეესაბამება სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიასა და სტრატეგიულ გეგმასთან.

წარმოდგენილი პროგრამები შინაარსობრივად უკავშირდება ერთმანეთს და დარგის სპეციფიკური და ზოგადი/ტრანსფერული უნარების განვითარებით შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი კვალიფიციური სპეციალისტის მომზადებას ისახავს მიზნად. პროგრამების მიზნები პირდაპირ უკავშირდება სწავლის შედეგებს.

თვითშეფასების მიხედვით კლასტერში შემავალ პროგრამებს ყველა პირობა აქვთ მიზნების მისაღწევად: 1) აღმოსავლეთმცოდნეობის დარგების (არაბისტიკა, ირანისტიკა, თურქოლოგია)

სწავლებისა და კვლევის ხანგრძლივი ტრადიცია, მაღალი კვალიფიკაციისა და საერთაშორისო გამოცდილების აკადემიური პერსონალი 2) საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პროგრამა, 3) სწავლებისა და სწავლის შეფასების თანამედროვე ფორმები, მეთოდები და კრიტერიუმები, 4) სათანადოდ აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიები, თსუ აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტისა და მასში შემავალი დეპარტამენტების ბიბლიოთეკები, 5) უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა და საერთაშორისო სამეცნიერო ელექტორონულ ბაზებზე წვდომა, 6) ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმების სოლიდური რაოდენობა, 7) ფაკულტეტის ადმინისტრაციის ადამიანური რესურსი.

**ანალიზი** - კლასტერში წარმოდგენილი პროგრამების მიზნები ნათელია და შეესაბამება სწავლის სფეროსა და სწავლების საფეხურის მოთხოვნებს. მიზნების მისაღწევად დასახული ამოცანები ცხადადაა ჩამოყალიბებული და რეალისტურია. არსებობს ინტერნაციონალიზაციის, კვლევისა და სწავლების საერთაშორისო გამოცდილების გაცნობა-გაზიარების ძლიერი საუნივერსიტეტო მხარდაჭერა: 1) საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში აღმოსავლეთმცოდნეობის მიმართულების საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების სტუდენტთა მონაწილეობა, 2) აკადემიური პერსონალის საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმებში მონაწილეობა, 3) სამეცნიერო პროექტებისა და კონფერენციების გამართვა, 4) სტუდენტთა სამეცნიერო სტატიების დაბეჭვდის მხარდაჭერა საუნივერსიტეტო სამეცნიერო პერიოდულ გამოცემებში, 5) სამეცნიერო-კვლევით პროექტებში მაგისტრანტთა ჩართულობის მხარდაჭერა (შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა თუ ჰუმანიტარული მეცნიერების მხარდამჭერი სხვა სამეცნიერო ფონდების მიერ დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები).

პროგრამები ითვალისწინებს ადგილობრივ და საერთაშორისო გამოცდილებასა და ინტერესებს. შრომითი ბაზრის სწრაფი ცვლილების კვალობაზე გაზრდილია ზოგადი კომპეტენციები: ლოგიკური, შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნება, ანალიტიკური უნარები, გუნდური მუშაობის უნარი და ციფრული წიგნიერება.

მიზნებში გამოკვეთილია სტუდენტის მისაღები ცოდნა და კვალიფიკაცია.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1** (არაბისტიკა, საბაკალავრო პროგრამა)

**აღწერა** - პროგრამის მიზნებია: თანამედროვე შრომის ბაზრისა და აკადემიური სივრცის, ასევე დარგში საერთაშორისო სტანდარტებისა და მოთხოვნების შესაბამისი, ფართო ჰუმანიტარული ცოდნით აღჭურვილი, კონკურენტუნარიანი კურსდამთავრებულის მომზადება, რომელიც არაბული ქვეყნების შესახებ ისეთ კომპლექსურ ფუნდამენტურ ცოდნას, დარგობრივ და ზოგად ტრანსფერულ უნარებს, რომელთა მეშვეობით

**1.** ავლენს არაბული სამყაროსთვის საერთო სტანდარტული არაბული ენის პრაქტიკულ ცოდნას, რომელიც შეესაბამება უცხოური ენის სწავლისა და სწავლების ერთიანი ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს ენობრივი კომპეტენციის B2 დონეს. ენის სისტემისა და ენობრივი სტრუქტურის ფართო ცოდნა კი გამოუმუშავებს თანამედროვე არაბული სამყაროს მრავალრიცხოვანი დიალექტების მიმართ მიმღებლობას, მათი ურთიერთმიმართებების ერთიან ხედვას; ფლობს თარგმნის თეორიულ და პრაქტიკულ საფუძვლების, სათარჯიმნო საბაზისო უნარებს.

**2.** აღიქვამს ახლო აღმოსავლეთის რეგიონს და არაბულ სამყაროს, როგორც მის ნაწილს, მრავალსაუკუნოვანი ისტორიისა და ცივილიზაციების, განსაკუთრებით კი ისლამური ცივილიზაციისა და თანამედროვეობის კულტურულ და სოციალურ სივრცედ სინქრონულ და

დიაქრონულ ასპექტში; აღიქვამს და აცნობიერებს შუა საუკუნეებისა და თანამედროვე არაბული კულტურის, არაბული ლიტერატურის ესთეტიკურ ღირებულებებს, თავისებურებებს, შეუძლია ამ ლიტერატურულ ტექსტთა კულტურული ასპექტების შედარებითი ანალიზი;

**3.** აქვს ისლამური სამყაროს რეალიების აღქმის, არაბთა ადგილისა და როლის გააზრების უნარი ახლო აღმოსავლეთისა და ზოგადად, მსოფლიო ისტორიის კონტექსტში. აცნობიერებს არაბული რეგიონის გეოპოლიტიკურ მნიშვნელობას; აქვს თანამედროვე არაბულ აღმოსავლეთში მიმდინარე სოციალ-ეკონომიკური და პოლიტიკური პროცესების ელემენტარული შეფასებისა და ანალიზის, ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების განზოგადებისა და ისტორიულ კონტექსტში განხილვის უნარი.

**4.** ერკვევა არაბულ-ქართული კონტაქტების ძირითად ასპექტებში (პოლიტიკური ფონი, კულტურული ურთიერთგაცვლა, ენობრივი ნასესხობანი და სხვ.), აქვს არაბული კულტურისა და მეცნიერების ქართულ კულტურაზე ზეგავლენის შესახებ საფუძვლიანი საბაზისო ცოდნა; უნივერსიტეტის ე.წ. მესამე მისიის თანახმად, ხელს უწყობს საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სფეროში, კერძოდ, შეუძლია სამეცნიერო ცოდნის პოპულარიზაცია არაბთა წვლილზე მსოფლიო კულტურულ მემკვიდრეობაში, სემიტური ენებისა და კულტურების მნიშვნელობაზე ქართული კულტურის ისტორიაში, ახლო აღმოსავლეთის რეგიონის თანამედროვეობაზე, მის მზარდ პოტენციალზე თანამედროვე მსოფლიოში.

**5.** დარგობრივ სფეროში არგუმენტირებული დასკვნების, კრიტიკული შეფასებების, ანალიზისა და სხვა ტრანსფერული უნარების, სასპეციალიზაციო არაბული ენის გარდა, ზოგადჰუმანიტარული კომპეტენციისა და ევროპული ენის საკომუნიკაციო და აკადემიური მიზნებისთვის ცოდნის საფუძველზე წარმატებით საქმდება სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციებსა და საჯარო და კერძო სექტორში ან აგრძელებს სწავლას სამაგისტრო საფეხურზე ჰუმანიტარული და სოციალურ მეცნიერებათა პროფილით.

**6.** გათავისებული აქვს აკადემიური და პროფესიული ეთიკა, პერსონალური და გუნდური პასუხისმგებლობა პროფესიულ საქმიანობაში, აქვს კულტურათაშორისი განსხვავებების, კულტურული მრავალფეროვნების აღქმის, ადეკვატური გაგებისა და პატივისცემის უნარი; ახასიათებს ტოლერანტობა, განსხვავებული კონფესიების, კულტურებისა და აზრის პატივისცემა.

**ანალიზი** - მიზნები ნათელია და შეესაბამება სწავლის სფეროსა და სწავლების საფეხურის მოთხოვნებს, უნივერსიტეტის მისიას, ეფუძნება ენის დაუფლების უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებელს, რომელშიც გათვალისწინებულია სფეროს მიმართ მოთხოვნები და დარგის განვითარების თავისებურებანი.

მიზნები ლოგიკურად ებმის სწავლის შინაარსსა და შედეგებს; შეესაბამება კვალიფიკაციების ჩარჩოს VI დონის საკვალიფიკაციო აღმწერის მოთხოვნებს და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მუხლი III-ით განსაზღვრულ დეტალური სფეროს შინაარსს „0231.1.18“ არაბული ფილოლოგია/არაბისტიკა; მკაფიოდაა გაწერილი, რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს: 1) არაბული ენა (თანამედროვე სტანდარტ ენა B2 და სათარჯიმნო უნარები, 2) არაბული სამყაროს მრავალსაუკუნოვანი ისტორია და კულტურა, შუა საუკუნეებისა და თანამედროვე არაბული ლიტერატურის თავისებურებები და ესთეტიკური ღირებულებები, 3) ისლამური სამყარო და ცივილიზაცია მსოფლიოს ისტორიისა და კულტურის კონტექსტში (ისტორიული ფაქტები, მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური პროცესები, 4) არაბულ-ქართული კონტაქტების

კულტურული და ლინგვისტური ასპექტები, 5) ევროპული ენის საკომუნიკაციო და აკადემიური მიზნებისათვის ცოდნა, 6) აკადემიური და პროფსიული ეთიკა, გუნდური მუშაობა, განსხვავებული კულტურების მიმართ ტოლერანტული დამოკიდებულება. პროგრამა შემუშავებულია შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების გათვალისწინებით.

მიღებული ცოდნითა და უნარებით კურსდამტავრებული შეიძლება დასაქმებას როგორც სასპეციალიზაციო, ისე მომიჯნავე სფეროებში: სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციებსა და საჯარო და კერძო სექტორში ან აგრძელებს სწავლას სამაგისტრო საფეხურზე ჰუმანიტარული და სოციალურ მეცნიერებათა პროფილით

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2** (არაბისტიკა, სამაგისტრო პროგრამა)

პროგრამის მიზნებია: თანამედროვე შრომის ბაზრისა და აკადემიური სივრცის, ასევე დარგში საერთაშორისო სტანდარტებისა და მოთხოვნების შესაბამისი ღრმა და სისტემური ცოდნით აღჭურვილი, კონკურენტუნარიანი კურსდამთავრებულის მომზადება, რომელიც სასპეციალიზაციო დარგის ინტერდისციპლინურობის გათვალისწინებით ფლობს არაბული ქვეყნების შესახებ ისეთ კომპლექსურ ცოდნას, დარგობრივ და ზოგად ტრანსფერულ უნარებს, რომელთა მეშვეობით

1. პროფესიულ დონეზე გარკვეულია არაბული ენის ზოგადთეორიულ ასპექტებში, ენობრივი სისტემის არსებით მახასიათებლებსა და კვლევის ტრადიციულ და თანამედროვე მეთოდებში, არაბულ დიალექტთა გავრცელების არეალსა და არაბულ დიალექტთა კლასიფიკაციის პრინციპებში; აქვს არაბული ენის მაღალი დონის წერითი და ზეპირი კომუნიკაციური და მთარგმნელობითი უნარები და ეფექტურად იყენებს მათ პროფესიულ პრაქტიკულ თუ აკადემიურ-კვლევით საქმიანობაში, რაც მისი წარმატებული დასაქმების წინაპირობაა;

2. სიღრმისეულად სწვდება არაბულ სამყაროში მიმდინარე ენობრივი, ლიტერატურული, ისტორიულ-კულტურული და თანამედროვე საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენებისა და პროცესების არსს, აანალიზებს მათ თანამედროვე სამეცნიერო კვლევის მეთოდების გამოყენებით.

3. აქვს ისლამის ფაქტორის აღქმისა და გააზრების უნარი არაბულ და ზოგადად, ახლო აღმოსავლეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში; აანალიზებს არაბულ-ისლამური საზოგადოების ისტორიულ-კულტურული განვითარების თავისებურებებს; მიღებული ცოდნისა და უნარების საფუძველზე წარმართავს ინტერდისციპლინურ და ინტერკულტურულ კვლევებს.

4. დარგობრივ სფეროში საკითხების კომპლექსურად შესწავლისა და გადაჭრის, ინფორმაციის ანალიზისა და სინთეზის, კრიტიკული შეფასებისა და სხვა ტრანსფერული უნარების, სასპეციალიზაციო არაბული ენის საკომუნიკაციო და აკადემიური მიზნებისთვის პროფესიულ დონეზე ცოდნის საფუძველზე წარმატებით საქმდება საგანმანათლებლო, სასწავლო თუ სამეცნიერო–კვლევითი პროფილის მქონე დაწესებულებებში, სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციებსა და საჯარო და კერძო სექტორში, ან აგრძელებს სწავლას სადოქტორო საფეხურზე ჰუმანიტარული და სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა პროფილით.

5. გათავისებული აქვს ცოდნის მუდმივი გაღრმავებისა და საკუთარი პროფესიული დონის ამაღლების პასუხისმგებლობა, მაღალი აკადემიური და პროფესიული ეთიკა, აქვს კულტურათაშორისი განსხვავებების, კულტურული და კონფესიური მრავალფეროვნების, განსხვავებული აზრის პატივისცემის უნარი; ახასიათებს ტოლერანტობა, მაღალი დემოკრატიული ღირებულებები.

სამაგისტრო პროგრამის მიზნები სრულიად შეესაბამება სწავლების საფეხურსა და ხელმისაწვდომია; შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, ეფუძნება სწავლის სფეროსა და ლოგიკურად ებმის სწავლის შინაარსსა და შედეგებს; შეესაბამება კვალიფიკაციების ჩარჩოს VII დონის საკვალიფიკაციო აღწერის მოთხოვნებს და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მუხლი III-ით განსაზღვრულ დეტალური სფეროს შინაარსს „0231.1.18“ და მკაფიოდაა ჩამოყალიბებული დარგის თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად: გათვალისწინებულია შრომის ბაზრისა და აკადემიური სივრცის მოთხოვნები.

კურსდამთავრებული პროფესიულ დონეზე ფლობს: 1) არაბული ენის სისტემას, თანამედროვე კვლევის მიმართულებებს, 2) არაბულ სამყაროში მიმდინარე ლიტერატურულ, ისტორიულ-კულტურულ და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოვლენებსა და პროცესებს, 3) ახლო აღმოსავლეთის რეგიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში ისალმის მნიშვნელობის გააზრებისა და ანალიზის უნარს, 4) სხვა დარგობრივ და ტრანსფერულ უნარებს. ზემოთქმულიდან გამომდინარე, კურსდამთავრებული შეიძლება დასაქმდეს როგორც სასპეციალიზაციო, ისე მომიჯნავე სფეროებში: საგანმანათლებლო, სასწავლო თუ სამეცნიერო–კვლევითი პროფილის მქონე დაწესებულებებში, სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციებსა და საჯარო და კერძო სექტორში. მიღებული ცოდნისა და უნარების კვალობაზე სწავლა და კვლევა გააგრძელოს დოქტორანტურის საფეხურზე.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3** (ირანისტიკა, საბაკალავრო პროგრამა)

პროგრამის მიზნებია: საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი კურსდამთავრებულის მომზადება, რომელსაც ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით სპარსული ენისა და ლიტერატურის, ირანის ისტორიისა და თანამედროვე მდგომარეობის თაობაზე კონცენტრირებული, კომპლექსური ცოდნა და უნარები ექნება და შეძლებს:

1. საფუძვლიანად გაეცნოს შესასწავლი დისციპლინის (ირანისტიკის) არსს, თეორიულ მიდგომებს;

2. დაეუფლოს სპარსული ენის პრაქტიკულ ასპექტებს, მოახდინოს კომუნიკაცია ენის მატარებელთან;

3. თარგმნოს და გამოიყენოს სპარსულენოვანი წყაროები (მხატვრული - კლასიკური და თანამედროვე, ინფორმაციული და ისტორიული ხასიათის ტექსტები, ოფიციალური დოკუმენტები და სხვ.);

4. ადეკვატურად გაიაზროს ისლამამდელი, ისლამური და თანამედროვე ირანის, ირანული ცივილიზაციის როლი რეგიონულ და გლობალურ ჭრილში;

5. მიმოიხილოს ქართულ-ირანული ურთიერთობების სხვადასხვა ასპექტი (ენობრივი, ლიტერატურული, ისტორიული, რელიგიური) და მოახდინოს მათი ინტერპრეტირება;

6. გააცნობიეროს ირანის ლინგვისტური და ეთნო-კულტურული თავისებურებები; ჩამოუყალიბდეს ტოლერანტული დამოკიდებულება განსხვავებული რელიგიისა (ისლამი) და კულტურის მქონე ქვეყნისა და ხალხის მიმართ.

მიზნები ნათელია და შეესაბამება სწავლის სფეროსა და სწავლების საფეხურის მოთხოვნებს, უნივერსიტეტის მისიას, ეფუძნება სწავლის სფეროს მოთხოვნებს და ლოგიკურად ებმის სწავლის შინაარსსა და შედეგებს; შეესაბამება კვალიფიკაციების ჩარჩოს VI დონის საკვალიფიკაციო

აღმწერის მოთხოვნებს და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მუხლი III-ით განსაზღვრულ დეტალური სფეროს შინაარსს „0231.1.17“ სპარსული ფილოლოგია/ირანისტიკა.

პროგრამის მიზნებში მკაფიოდაა გაწერილი, რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს: 1) ირანისტიკის დარგის თანამედროვე თეორიული საფუძვლები, 2) სპარსული ენის დაუფლება და საკომუნიკაციოდ გამოყენება, 3) სხვადასხვა სახის, ჟანრის სპარსულენოვანი წყაროების თარგმნა და გამოყენება, 4) ირანული ცივილიზაციის როლი რეგიონულ და გლობალურ ჭრილში, 5) ირანულ-ქართული კონტაქტების ისტორიული, ლიტერატურული, ენობრივი და რელიგიური ასპექტები, 6) ირანის ენობრივი და ეთნო-კულტურული თავისებურებები.

მიღებული ცოდნითა და უნარებით კურსდამთავრებული შეძლებს დასაქმებას როგორც სასპეციალიზაციო, ისე მომიჯნავე სფეროებში: სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციებსა და საჯარო და კერძო სექტორში ან აგრძელებს სწავლას სამაგისტრო საფეხურზე ჰუმანიტარული და სოციალურ მეცნიერებათა პროფილით.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 4** (ირანისტიკა, სამაგისტრო პროგრამა)

პროგრამის მიზნებია: ირანისტიკის დარგში ღრმა და სისტემური ცოდნის მქონე სპეციალისტი. საერთაშორისო სტანდარტებითა და გამოცდილებით გათვალისწინებული ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების საფუძველზე კურსდამთავრებული:

1) ერკვევა ირანული ენების სისტემაში, მაღალ დონეზე ფლობს სპარსულს და იყენებს მას საკომუნიკაციოდ პროფესიულ საქმიანობაში.

2) აქვს ირანულ სამყაროში ისტორიულად მიმდინარე ენობრივი, ლიტერატურული, რელიგიური და ისტორიულ-კულტურული პროცესების ღრმა და სისტემური ცოდნა და მათი ანალიზის უნარი.

3) შეუძლია სპარსული ისტორიული წყაროების კრიტიკული შეფასება.

4) ერკვევა ისლამური სამართლის საკითხებსა და სასამართლო სისტემაში, აცნობიერებს რელიგიური ფაქტორის როლს თანამედროვე ირანის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

5) დარგში საერთაშორისო სტანდარტებისა და მოთხოვნების შესაბამისი ღრმა და სისტემური ცოდნით აღჭურვილი მაგისტრანტი ახორციელებს კომპლექსურ კვლევას.

6) იყენებს მაღალ ავტონომიურ უნარებს პრაქტიკულ და კვლევით საქმიანობაში, აქვს კარგად გაცნობიერებული პროფესიული, სოციალური და ეთიკური პასუხისმგებლობები; აქვს კულტურათაშორისი განსხვავებების, კულტურული მრავალფეროვნების აღქმის, ადეკვატური გაგებისა და პატივისცემის უნარი.

სამაგისტრო პროგრამის მიზნები სრულიად შეესაბამება სწავლების საფეხურსა და მიღწევადია; შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, ეფუძნება სწავლის სფეროს მოთხოვნებსა და ლოგიკურად ებმის სწავლის შინაარსსა და შედეგებს; შეესაბამება კვალიფიკაციების ჩარჩოს VII დონის საკვალიფიკაციო აღმწერის მოთხოვნებს და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მუხლი III-ით განსაზღვრულ დეტალური სფეროს შინაარსს „0231.1.17“ სპარსული ფილოლოგია/ირანისტიკა. მიზნები მკაფიოდაა ჩამოყალიბებული დარგის თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად: გათვალისწინებულია შრომის ბაზრისა და აკადემიური სივრცის მოთხოვნები.

კურსდამთავრებული პროფესიულ დონეზე ფლობს: 1) სპარსულ ენას, ირანული ენების თანამედროვე კვლევის მიმართულებებს, 2) ირანულ სამყაროში მიმდინარე ლიტერატურულ, ისტორიულ-კულტურულ და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოვლენებსა და პროცესებს, 3) სპარსულ ისტორიულ წყაროებს, 4) ისლამური სამართლისა და სასამართლო სისტემის საკითხებს სხვა დარგობრივ და ტრანსფერულ უნარებს. ზემოთქმულიდან გამომდინარე, კურსდამთავრებული შეიძლება დასაქმდეს როგორც სასპეციალიზაციო, ისე მომიჯნავე სფეროებში: საგანმანათლებლო, სასწავლო თუ სამეცნიერო–კვლევითი პროფილის მქონე დაწესებულებებში, სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციებსა და საჯარო და კერძო სექტორში. მიღებული ცოდნისა და უნარების კვალობაზე სწავლა და კვლევა გააგრძელოს დოქტორანტურის საფეხურზე.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 5** (თურქოლოგია, საბაკალავრო პროგრამა)

თურქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, ითვალისწინებს რა უნივერსიტეტის მისიას და ემსახურება მისი მიზნების განხორციელებას, მიზნად ისახავს თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი კომპეტენციის მქონე მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი, ცვალებად პროფესიულ გარემოსთან ადვილად ადაპტირებადი სპეციალისტის მომზადებას.

ამ მიზნის მისაღწევად პროგრამა სტუდენტს სთავაზობს თეორიული და პრაქტიკული სასწავლო კურსების სინთეზს; პროგრამა მოიცავს თურქოლოგიის დარგში სათანადო ცოდნის მისაღებად აუცილებელ სასწავლო კურსებს და მათი შინაარსი და მოცულობა, ასევე ფორმატიც სრულ შესაბამისობაშია საბაკალავრო საფეხურის მოთხოვნებთან.

მიზნები ნათელია და შეესაბამება სწავლის სფეროსა და სწავლების საფეხურის მოთხოვნებს, ეფუძნება ენის დაუფლების უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებელს, რომელშიც გათვალისწინებულია სფეროს მიმართ მოთხოვნები და დარგის განვითარების თავისებურებანი.

აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილი კლასტერის ფარგლებში თურქოლოგიის საბაკალავრო პროგრამა აძლევს სტუდენტს ისეთ ფართო დარგობრივ ცოდნას როგორც თურქოლოგიის, ასევე ზოგადად, აღმოსავლეთმცოდნეობისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სფეროში, სძენს მას ისეთ ზოგად ტრანსფერულ უნარებს, რომ ეს მიღებული ცოდნა და უნარები უზრუნველყოფდეს სტუდენტის დასაქმებას როგორც სასპეციალიზაციო, ისე მომიჯნავე სფეროებში.

მიზნები ლოგიკურად ებმის სწავლის შინაარსსა და შედეგებს; შეესაბამება კვალიფიკაციების ჩარჩოს VI დონის საკვალიფიკაციო აღმწერის მოთხოვნებს და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მუხლი III-ით განსაზღვრულ დეტალური სფეროს შინაარსს „0231.1.16“ თურქული ფილოლოგია/თურქოლოგია. მკაფიოდაა გაწერილი, რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს. კურსდამთავრებული ფლობს თურქულ და ოსმალურ ენებს, თურქეთის ისტორიის, ენობრივი სისტემის, თურქული ლიტერატურის ისტორიის, კულტურისა და ისლამის რელიგიის საკითხებს, ქართული თურქოლოგიური სკოლის მიღწევებს, ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებთან საქართველოს ისტორიული ურთიერთობების ასპექტებს და აკადემიური ეთიკის პრინციპების დაცვით წარმართავს დარგობრივ საქმიანობას.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 6** (თურქოლოგია, სამაგისტრო პროგრამა)

თურქოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა მიზნად ისახავს სამაგისტრო საფეხურის სპეციალისტის/მკვლევრის მომზადებას, რომელსაც ექნება თურქოლოგიის დარგში

ღრმა და ფუნდამენტური თეორიული და პრაქტიკული ცოდნა; მაღალი ენობრივი მომზადების დონე, თურქული ენის ზოგადთეორიული ლინგვისტური ასპექტებისა და თურქულენოვანი ლიტერატურის განვითარების, თურქულენოვანი სამყაროს სოციოკულტურული მახასიათებლების (თურქეთის ისტორიის, რელიგიის, ყოფითი კულტურის და სხვ.) ცოდნა თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად;

პროგრამის მიზნების აღწერაში საგანგებო ადგილი ეთმობა, ერთი მხრივ, თურქოლოგიის როგორც დარგის შესწავლის მნიშვნელოვნებას თანამედროვე გლობალურ სამყაროში და, მეორე მხრივ, პროგრამის ფარგლებში, ერთდროულად თურქული ენის, ლიტერატურის, ისტორიისა და კულტურის კომბინირებულ შესწავლას.

წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამა შეესაბამება კვალიფიკაციების ჩარჩოს VII დონის საკვალიფიკაციო აღმწერის მოთხოვნებს და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მუხლი III-ით განსაზღვრულ დეტალური სფეროს შინაარსს „0231.1.16“ თურქული ფილოლოგია/თურქოლოგია.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 7** (შორეული აღმოსავლეთი. იაპონისტიკა, საბაკალავრო პროგრამა)

პროგრამის მიზნებია, კურსდამთავრებული უზრუნველყოს მაღალი სტანდარტების შესაბამისი საბაკალავრო დონის განათლებით და აღჭურვოს იგი პროფესიული პასუხისმგებლობით, რაც გულისხმობს:

1. შორეული აღმოსავლეთის რეგიონის მნიშვნელოვანი ენის – იაპონურის კომპეტენტური მომხმარებლის დონეზე ფლობას, რათა იაპონისტიკის ბაკალავრმა შეძლოს იაპონურ ენაზე წერა, საუბარი, თარგმნა, ინფორმაციის მოძიება-გადამუშავება;

2. იაპონიის ისეთი სოციოკულტურული ასპექტების ცოდნას, როგორიცაა ქვეყნის ისტორია, კულტურა, ლიტერატურა, საზოგადოება, საერთაშორისო ურთიერთობები და სხვა, რათა პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულმა შეძლოს: იაპონიისა და შორეული აღმოსავლეთის სხვა ქვეყნების ისტორიულ-კულტურული საკვანძო საკითხებისა და საზოგადოების განვითარების უახლესი პრობლემატიკის მიმოხილვა;

3. შორეული აღმოსავლეთის რეგიონში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ პროცესებში იაპონიის როლის განსაზღვრა-გაანალიზება;

4. იაპონური ლიტერატურის განვითარების ისტორიის გაანალიზება;

5. შორეულ აღმოსავლეთში გავრცელებული ფილოსოფიურ-რელიგიური მოძღვრებების იდენტიფიცირება და შედარებითი ანალიზი.

მიზნები ნათელია და შეესაბამება სწავლის სფეროსა და სწავლების საფეხურის მოთხოვნებს, უნივერსიტეტის მისიას, ეფუძნება ენის დაუფლების უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებელს, რომელშიც გათვალისწინებულია სფეროს მიმართ მოთხოვნები და დარგის განვითარების თავისებურებანი.

მიზნები ლოგიკურად ებმის სწავლის შინაარსსა და შედეგებს; შეესაბამება კვალიფიკაციების ჩარჩოს VI დონის საკვალიფიკაციო აღმწერის მოთხოვნებს და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მუხლი III-ით განსაზღვრულ დეტალური სფეროს შინაარსს 0231.1.22 იაპონური ფილოლოგია/ იაპონისტიკა. მკაფიოდაა გაწერილი, რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს: 1) იაპონური ენის ცოდნა კომპეტენტურ

დონეზე, 2) იაპონიის ისტორიის, კულტურის, ლიტერატურის ისტორიის, საზოგადოების, საერთაშორისო ურთიერთობების ცოდნა, 3) შორეული აღმოსავლეთის რეგიონში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ პროცესებში იაპონიის როლის განსაზღვრა-გაანალიზება და 6) შორეულ აღმოსავლეთში გავრცელებული ფილოსოფიურ-რელიგიური მოძღვრებების იდენტიფიცირება და შედარებითი ანალიზი.

მიზნები სრულიად შეესაბამება ენის დაუფლების უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებელს, რომელშიც გათვალისწინებულია სფეროს მიმართ მოთხოვნები და დარგის განვითარების თავისებურებანი.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 8** (შორეული აღმოსავლეთი. სინოლოგია, საბაკალავრო პროგრამა)

საბაკალავრო პროგრამის მიზანია პროფესიული პასუხისმგებლებით აღჭურვილი კურსდამთავრებულის მომზადება, რომელიც ფლობს ცოდნას:

1) შორეული აღმოსავლეთის რეგიონის მნიშვნელოვანი ენის - ჩინურის (კომპეტენტური მომხმარებლის დონე - წერა, საუბარი, თარგმნა, ინფორმაციის მოძიება და გადამუშავება);

2) ჩინეთის სოციოკულტურულ ასპექტების: ქვეყნის ისტორიის, კულტურის, ლიტერატურის, საზოგადოების, საერთაშორისო ურთიერთობების და ა. შ. საკითხებზე,

3) შორეული აღმოსავლეთის რეგიონში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ პროცესებში ჩინეთის როლის შესახებ;

კურსდამთავრებულს შეუძლია:

4) ჩინური ლიტერატურის განვითარების ისტორიის ანალიზი;

5) შორეულ აღმოსავლეთში გავრცელებული ფილოსოფიურ-რელიგიური მოძღვრებების იდენტიფიცირება და შედარებითი ანალიზი.

პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს შეუძლია: ჩინეთისა და შორეული აღმოსავლეთის სხვა ქვეყნების ისტორიულ-კულტურული საკვანძო საკითხებისა და საზოგადოების განვითარების უახლესი პრობლემატიკის მიმოხილვა.

მიზნები ნათელია და შეესაბამება სწავლის სფეროსა და სწავლების საფეხურის მოთხოვნებს, უნივერსიტეტის მისიას, ეფუძნება ენის დაუფლების უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებელს, რომელშიც გათვალისწინებულია სფეროს მიმართ მოთხოვნები და დარგის განვითარების თავისებურებანი.

მიზნები ლოგიკურად ებმის სწავლის შინაარსსა და შედეგებს; შეესაბამება კვალიფიკაციების ჩარჩოს VI დონის საკვალიფიკაციო აღწერის მოთხოვნებს და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მუხლი III-ით განსაზღვრულ დეტალური სფეროს შინაარსს 0231.1.23 სინოლოგია. მკაფიოდაა გაწერილი, რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს: 1) ჩინური ენის ცოდნა კომპეტენტურ დონეზე, 2) ჩინეთის ისტორიის, კულტურის, ლიტერატურის ისტორიის, საზოგადოების, საერთაშორისო ურთიერთობების ცოდნა, 3) შორეული აღმოსავლეთის რეგიონში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ პროცესებში ჩინეთის როლის განსაზღვრა-გაანალიზება და 6) შორეულ აღმოსავლეთში გავრცელებული ფილოსოფიურ-რელიგიური მოძღვრებების იდენტიფიცირება და შედარებითი ანალიზი.

მიზნები სრულიად შეესაბამება ენის დაუფლების უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებელს, რომელშიც გათვალისწინებულია სფეროს მიმართ მოთხოვნები და დარგის განვითარების თავისებურებანი.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საგანმანათლებლო პროგრამები;
- თსუ-ს მისია (უნივერსიტეტის მისია (tsu.ge);
- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებგვერდი - tsu.ge
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი;
- სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების გამოკითხვის ანალიზი;
- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელის ბრძანებით დამტკიცებული ენის დაუფლების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი;
- ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს კვალიფიკაციათა აღმწერი დონეების მიხედვით;
- ინტერვიუს შედეგები.

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:** კლასტერთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფს საერთო რეკომენდაციები არა აქვს.

**კლასტერის საერთო რჩევები:** კლასტერთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფს საერთო რჩევები არა აქვს.

**რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:**

**პროგრამა 1** (არაბისტიკა, საბაკალავრო პროგრამა)

**რეკომენდაცი(ებ)ი:** მოცემულ სტანდარტთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფს რეკომენდაციები არ აქვს.

**რჩევ(ებ)ი:** მოცემულ სტანდარტთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფს რეკომენდაციები არ აქვს.

**პროგრამა 2** (არაბისტიკა, სამაგისტრო პროგრამა)

**რეკომენდაცი(ებ)ი:** მოცემულ სტანდარტთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფს რჩევები არ აქვს.

**რჩევ(ებ)ი:** მოცემულ სტანდარტთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფს რჩევები არ აქვს.

**პროგრამა 3** (ირანისტიკა, საბაკალავრო პროგრამა)

**რეკომენდაცი(ებ)ი:** მოცემულ სტანდარტთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფს რეკომენდაციები არ აქვს.

**რჩევ(ებ)ი:** მოცემულ სტანდარტთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფს რჩევები არ აქვს.

**პროგრამა 4** (ირანისტიკა, სამაგისტრო პროგრამა)

**რეკომენდაცი(ებ)ი:** მოცემულ სტანდარტთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფს რეკომენდაციები არ აქვს.

**რჩევ(ებ)ი:** მოცემულ სტანდარტთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფს რჩევები არ აქვს.

**პროგრამა 5** (თურქოლოგია, საბაკალავრო პროგრამა)

**რეკომენდაცი(ებ)ი:** მოცემულ სტანდარტთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფს რეკომენდაციები არ აქვს.

**რჩევ(ებ)ი:** მოცემულ სტანდარტთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფს რჩევები არ აქვს.

**პროგრამა 6** (თურქოლოგია, სამაგისტრო პროგრამა)

**რეკომენდაცი(ებ)ი:** მოცემულ სტანდარტთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფს რეკომენდაციები არ აქვს.

**რჩევ(ებ)ი:** მოცემულ სტანდარტთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფს რჩევები არ აქვს.

**პროგრამა 7** (შორეული აღმოსავლეთი. იაპონისტიკა, საბაკალავრო პროგრამა)

**რეკომენდაცი(ებ)ი:** მოცემულ სტანდარტთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფს რეკომენდაციები არ აქვს.

**რჩევ(ებ)ი:** მოცემულ სტანდარტთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფს რჩევები არ აქვს.

**პროგრამა 8** (შორეული აღმოსავლეთი. სინოლოგია, საბაკალავრო პროგრამა)

**რეკომენდაცი(ებ)ი:** მოცემულ სტანდარტთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფს რეკომენდაციები არ აქვს.

**რჩევ(ებ)ი:** მოცემულ სტანდარტთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფს რჩევები არ აქვს.

**შეფასება** [8]

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

| კომპონენტი 1.1 პროგრამის მიზნები | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| **პროგრამა 1 (არაბისტიკა, საბაკალავრო პროკრამა)** | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| **პროგრამა 2 (არაბისტიკა, სამაგისტრო პროგრამა)** | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| **პროგრამა 3 (ირანისტიკა, საბაკალავრო პროგრამა)** | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| **პროგრამა 4 (ირანისტიკა, სამაგისტრო პროგრამა)** | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| **პროგრამა 5 (თურქოლოგია, საბაკალავრო პროგრამა)** | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| **პროგრამა 6 (თურქოლოგია, სამაგისტრო პროგრამა)** | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| **პროგრამა 7 (შორეული აღმოსავლეთი. იაპონისტიკა, საბაკალავრო პროგრამა)** | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| **პროგრამა 8 (შორეული აღმოსავლეთი. სინოლოგია, საბაკალავრო პროგრამა)** | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

## 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

**აღწერა** - კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით კლასტერში შემავალი პროგრამების სწავლის შედეგები გამომდინარეობს პროგრამების მიზნებიდან.

სწავლის შედეგები მიღწევადი, რეალისტურია და შეიძლება გაიზომოს. თითოეული შედეგი ასახავს იმ ცოდნას, უნარებსა და კომპეტენციებს, რომლებიც გამოუმუშავდება პროგრამების კურსდამთავრებულებს.

საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურის პროგრამები სასწავლო და კვლევითი კომპონენტებით, სწავლების მეთოდებით უზრუნველყოფს დასახული მიზნების შესაბამისი შედეგების მიღწევას.

---

[8] შეფასება ხდება თითოეულ პროგრამასთან მიმართებით ცალ-ცალკე.

კურსდამთავრებულები ერკვევიან დარგის არსში, იციან მისი განვითარების ძირითადი ეტაპები, ფლობენ სპეციალობის ენას, ახლო და შორეული აღმოსავლეთის სოციო-კულტურულ საკითხებს/ასპექტებს, შესაბამისი დარგის ლიტერატურის თავისებურებებსა და ესთეთიკურ ღირებულებებს, შეუძლიათ წყაროებზე მუშაობა და ა. შ.

არაბისტიკის, ირანისტიკის, თურქოლოგიის, იაპონისტიკისა და სინოლოგიის ბაკალავრისა და არაბისტიკის, ირანისტიკის, თურქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხების მქონე სპეციალისტები განათლების საფეხურის შესატყვის პოზიციებზე საქმდებიან საჯარო სამსახურებში, არასამთავრობო ორგანიზაციებში თუ სხვადასხვა საგანმანათლებლო-კულტურულ-სოციალურ დაწესებულებებში. კლასტერში შემავალი პროგრამები კურსდამთავრებულებს განათლების შემდგომ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა აქვს.

**ანალიზი -** კლასტერში შემავალი ყველა საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების სწავლის შედეგები შემუშავდა ყველა დაინტერესებული მხარის (აკადემიური / სამეცნიერო პერსონალი, სტუდენტი, კურსდამთავრებული, დამსაქმებელი და სხვა) ჩართვით და გათვალისწინებულია კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი. სწავლის შედეგები შეესაბამება ენის დაუფლების დარგობრივ მახასიათებლებს, შედეგების მიღწევა რეალისტურია და შეიძლება გაიზომოს; ეფუძნება აღმოსავლეთმცოდნეობის მიმართულებების - არაბისტიკის, ირანისტიკის, თურქოლოგიის, იაპონისტიკისა და სინოლოგიის დარგობრივ მახასიათებლებს.

კლასტერში შემავალი პროგრამების შედეგები შეესაბამება სსიპ - ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიასა და სტრატეგიულ გეგმას.

კურსდამთავრებულებს შეუძლიათ სწავლის გაგრძელება განათლების შემდგომ საფეხურზე.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1** (არაბისტიკა, საბაკალავრო პროგრამა)

არაბისტიკის საბაკალავრო პროგრამას 11 შედეგს მოიცავს და ნათლადაა აღწერილი.

სწავლის პროცსში სტუდენტის მიერ მიღებული ცოდნა და უნარები: კურსდამთავრებული ფლობს არაბულ ენას (B2 დონის შესაბამის ენობრივ საკომუნიკაციო კომპეტენციებს (წერა, კითხვა, მოსმენა, ზეპირმეტყველება), აღწერს და ადარებს სემიტური ენების სტრუქტურას და განსაზღვრავს არაბულიდან ქართულად და ქართულიდან არაბულად წერილობითი და ზეპირი თარგმანის ზოგად პრინციპებსა და სპეციფიკას, თარგმნის სხვადასხვა სირთულისა და სპეციფიკის ტექსტებს; ერკვევა არაბული ლიტერატურის ისტორიის განვითარების ეტაპებისა და ფოლკლორის ზოგად მახასიათებლებსა და თავისებურებებში, მიმოხილავს პრობლემატიკის მნიშვნელოვანი ავტორების შემოქმედებაში და კვლევის თანამედროვე მგომარეობას, არაბული ქვეყნების ისტორიისა და კულტურის მნიშვნელოვან მოვლენებსა და ფაქტებს, ისლამის რელიგიისა და სოციალური ინსტიტუტის, დოქტრინებსა და ისლამური სახელმწიფოს კონცეფციას, თანამედროვე არაბულ სამყაროში მიმდინარე სოციალ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ პროცესებს, არაბულ-ქართული ისტორიულ-კულტურული კონტაქტების საკითხებს და. ა. შ.

პროგრამა აგებულია რეგიონის შესწავლის კუთხით და, აქედან გამომდინარე, სწავლის შედეგები სრულად შეესაბამება მიზნებს, ენის დაუფლების უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებელს, კვალიფიკაციების ჩარჩოს VI დონის საკვალიფიკაციო აღმწერის მოთხოვნებს და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მუხლი III-ით განსაზღვრულ დეტალური სფეროს შინაარსს „0231.1.18“.

შედეგები ვითარდება სირთულის, კომპლექსურობისა და სწავლის სფეროს შინაარსის მიხედვით; იძლევა უმაღლესი განათლების მეორე საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას. პროგრამის შედეგები არის გაზომვადი და მიღწევადი, რაც კურსდამთავრებულთა გამოკითხვითაც დასტურდება.

სწავლის მიზნებსა და შედეგებს შორის კავშირი მართებულად არის ასახული პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკაზე.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2** (არაბისტიკა, სამაგისტრო პროგრამა)

არაბისტიკის სამაგისტრო პროგრამას 8 შედეგს მოიცავს. შედეგები ნათლადაა აღწერილი და ებმის პროგრამის მიზნებს. პროგრამა აგებულია რეგიონის (ახლო აღმოსავლეთი - არაბული სამყარო) შესწავლის თვალსაზრისით. აქედან გამომდინარე, შედეგები ლოგიკურად უკავშირდება სწავლის სფეროს თავისებურებებს, სრულიად შეესაბამება ენის დაუფლების უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების დარგობრივ მახასიათებელსა და ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს VII დონის კვალიფიკაციის განსაზღვრულ დეტალური სფეროს შინაარსს „0231.1.18“.
პროგრამაში აღწერილი შედეგები უზრუნველყოფს კვალიფიციური სპეციალისტის (არაბისტიკის მაგისტრის) მომზადებას. შედეგების კომპლექსურობა და მიზნებთან ზუსტი მიმართან ინოვაციური მიდგომებისა და დარგობრივი ცოდნის განვითარების საშუალებას იძლევა.
შედეგები თანმიმდევრულია და შემუშავებაში ჩანს მონაწილე და დაინტერესებული მხარეების ჩართულობა.
სწავლის მიზნებსა და შედეგებს შორის კავშირი მართებულად არის ასახული პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკაზე.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3** (ირანისტიკა, საბაკალავრო პროგრამა)

ირანისტიკის საბაკალავრო პროგრამა 12 შედეგს მოიცავს და ნათლადაა აღწერილი.

სწავლის პროცსში სტუდენტის მიერ მიღებული ცოდნა და უნარები: დარგის არსის, ძირითადი პრობლემატიკისა და მიმართულებების, სპარსული ენის ლინგვისტური, ლიტერატურათმცოდნეობითი, კულტურული ასპექტებისა და სხვადასხვა ტიპის ტექსტების თარმნის, ენის პრაქტიკაში გამოყენების უნარის, ირანის ისტორიისა და თანამედროვე მდგომარეობის, სპარსულ-ქართული ისტორიული და ლინგვოკულტუროლოგიური კონტაქტების ცოდნა, აღნიშნული საკითხების (დარგის აქტუალური საკითხები) იდენტიფიცირება და თეორიულ ცოდნასთან შეთავსება ესადაგება დარგობრივ მოთხოვნებს. პროგრამა აგებულია რეგიონის შესწავლის კუთხით და, აქედან გამომდინარე, სწავლის შედეგები სრულად შეესაბამება მიზნებს, ენის დაუფლების უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებელს, კვალიფიკაციების ჩარჩოს VI დონის საკვალიფიკაციო აღმწერის მოთხოვნებს და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მუხლი III-ით განსაზღვრულ დეტალური სფეროს შინაარსს 0231.1.17 სპარსული ფილოლოგია/ირანისტიკა.

შედეგები ვითარდება სირთულის, კომპლექსურობისა და სწავლის სფეროს შინაარსის მიხედვით; იძლევა უმაღლესი განათლების მეორე საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას.

პროგრამის შედეგები არის გაზომვადი და მიღწევადი, რაც კურსდამთავრებულთა გამოკითხვითაც დასტურდება.

სწავლის მიზნებსა და შედეგებს შორის კავშირი მართებულად არის ასახული პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკაზე.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 4** (ირანისტიკა, სამაგისტრო პროგრამა)

ირანისტიკის სამაგისტრო პროგრამის შედეგები (12) ნათლადაა აღწერილი და ებმის პროგრამის მიზნებს. პროგრამა აგებულია რეგიონის (ახლო აღმოსავლეთი - ირანული სამყარო) შესწავლის თვალსაზრისით. აქედან გამომდინარე, შედეგები ლოგიკურად უკავშირდება სწავლის სფეროს თავისებურებებს, სრულიად შეესაბამება ენის დაუფლების უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების დარგობრივ მახასიათებელსა და ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს VII დონის კვალიფიკაციის განსაზღვრულ დეტალური სფეროს შინაარსს „0231.1.17".
პროგრამაში აღწერილი შედეგები უზრუნველჰყოფს კვალიფიციური სპეციალისტის (ირანისტიკის მაგისტრის) მომზადებას. შედეგების კომპლექსურობა და მიზნებთან ზუსტი მიმართან ინოვაციური მიდგომებისა და დარგობრივი ცოდნის განვითარების საშუალებას იძლევა.
შედეგები თანმიმდევრულია და შემუშავებაში ჩანს მონაწილე და დაინტერესებული მხარეების ჩართულობა.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 5** (თურქოლოგია, საბაკალავრო პროგრამა)

თსუ-ს თურქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები განახლებული საკვალიფიკაციო ჩარჩოს საფუძველზე შემუშავებული ენის დაუფლების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელის მოთხოვნათა შესაბამისია. სწავლის შედეგებში გამოყოფილია ცოდნა და გაცნობიერების, უნარების, პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის კატეგორიები. პროგრამაში შესული სასწავლო კურსების გარკვეული კომპონენტების (მაგ. საბაკალავრო ნაშრომი, სასწავლო კურსებით გათვალისწინებული აქტივობები და ა.შ.) მეშვეობით პროგრამაში დიდი ყურადღება ექცევა სტუდენტის პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის ხელშეწყობასა და განვითარებას.

პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება კვალიფიკაციის საბაკალავრო დონეს და ფარავს პროგრამაში დეკლარირებულ მიზნების შესაბამის კომპონენტებს. პროგრამა ითვალისწინებს დარგობრივ მახასიათებლებს, რაც სასწავლო კურსების თემატური ვარიაციულობითაც დასტურდება. პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ფორმულირებული, მიღწევადი და რეალისტურია. პროგრამაში აღწერილი სწავლის შედეგების შესაბამისობა პროგრამის მიზნებთან მკაფიოდ და დამაჯერებლადაა წარმოდგენილი პროგრამის მიზნებისა და შედეგების შესაბამისობის რუკაზე.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 6** (თურქოლოგია, სამაგისტრო პროგრამა)

თურქოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს. იგი ეყრდნობა დარგობრივ მახასიათებელს და შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-7 დონეს. პროგრამის სწავლის მიზნებსა და შედეგებს შორის კავშირი მართებულად არის ასახული პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკაზე.

სწავლის შედეგები აღწერილია სამ კატეგორიად: ცოდნა-გაცნობიერება, უნარები, პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობა. პროგრამის სწავლის შედეგები სრულად ასახავს თურქოლოგიის სამაგისტრო დონის კვალიფიკაციის შესაბამის კომპეტენციებს. პროგრამის სწავლის შედეგები არის გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტური.

თურქოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობას საგანმანათლებლო სფეროში და დასაქმების ბაზარზე, იგი იძლევა განათლების მომდევნო საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 7** (შორეული აღმოსავლეთი. იაპონისტიკა, საბაკალავრო პროგრამა)

შორეული აღმოსავლეთი. იაპონისტიკის საბაკალავრო პროგრამა 12 შედეგს მოიცავს, ნათლადაა გაწერილი და შეესაბამება პოგრამის მიზნებს. იგი ეყრდნობა დარგობრივ მახასიათებელს და შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-6 დონეს. სწავლის მიზნებსა და შედეგებს შორის კავშირი მართებულად არის ასახული პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკაზე.

აღსანიშნავია  იაპონური 6 და იაპონური 7-ის შედეგები/მოლოდინის ნაწილი. აქ მითითებული დებულებები, რომ სტუდენტები შეძლებენ პროგრამის განმავლობაში ნასწავლი 1108 იეროგლიფით ლექსიკონის გარეშე სტატიების კითხვას და თარგმანს არ შეესაბამება რეალობას.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 8** (შორეული აღმოსავლეთი. სინოლოგია, საბაკალავრო პროგრამა)

საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები განახლებული საკვალიფიკაციო ჩარჩოს საფუძველზე შემუშავებული ენის დაუფლების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელის მოთხოვნათა შესაბამისია. პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება კვალიფიკაციის საბაკალავრო დონეს და ფარავს პროგრამაში დეკლარირებულ მიზნების შესაბამის კომპონენტებს. შორეული აღმოსავლეთი. სინოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები არის დასაკორექტირებელი, კერძოდ, შედეგი N1 არის უფრო უნარი და არა ცოდნა-გაცნობიერება, შედეგი 4 არის უნარი და არა ცოდნა-გაცნობიერება, ამასთან ზემოაღნიშნულ 2 შედეგში თითოეულში 2-2 ბლუმის ზმნა არის გამოყენებული.

სწავლის მიზნებსა და შედეგებს შორის კავშირი მართებულად არის ასახული პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკაზე.

სინოლოგიის საბაკალავრო პროგრამაში შემავალი სასწავლო კურსების მოცულობა და შინაარსი კონკრეტულ შედეგზე ენობრივი კომპეტენციის ფარგლებში სტუდენტს ვერ გაიყვანს.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- კლასტერში დაჯგუფებული საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები და სილაბუსები (დანართი 2);
- პროგრამების მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა (დანართი 2);
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი (დანართი 9);
- თსუ მისია და სტრატეგიული გეგმა (დანართი 17);

- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელის ბრძანებით დამტკიცებული ენის დაუფლების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი;
- ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მეექვსე და მეშვიდე დონის კვალიფიკაცია;
- აღმოსავლეთმცოდნეობის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების მხარდამჭერი კომიტეტები (აკადემიური საბჭოს 2018 წლის 19 თებერვლის დადგენილება #75/2018, 2022 წლის 22 ნოემბრის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილება) (დანართი 4);
- აღმოსავლეთმცოდნეობის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების მხარდამჭერი კომიტეტის ოქმები (დანართი 4)

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:**

**კლასტერის საერთო რჩევები:**

**რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:**

**პროგრამა 1** (არაბისტიკა, საბაკალავრო პროგრამა)

**რეკომენდაცი(ებ)ი:** მოცემულ სტანდარტთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფს რეკონემდაციები არ აქვს.

**რჩევ(ებ)ი:** მოცემულ სტანდარტთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფს რჩევები არ აქვს.

**პროგრამა 2** (არაბისტიკა, სამაგისტრო პროგრამა)

**რეკომენდაცი(ებ)ი:** მოცემულ სტანდარტთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფს რეკონემდაციები არ აქვს.

**რჩევ(ებ)ი:** მოცემულ სტანდარტთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფს რჩევები არ აქვს.

**პროგრამა 3** (ირანისტიკა, საბაკალავრო პროგრამა)

**რეკომენდაცი(ებ)ი:** მოცემულ სტანდარტთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფს რეკონემდაციები არ აქვს.

**რჩევ(ებ)ი:** მოცემულ სტანდარტთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფს რჩევები არ აქვს.

**პროგრამა 4** (ირანისტიკა, სამაგისტრო პროგრამა)

**რეკომენდაცი(ებ)ი:** მოცემულ სტანდარტთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფს რეკონემდაციები არ აქვს.

**რჩევ(ებ)ი:** მოცემულ სტანდარტთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფს რჩევები არ აქვს.

**პროგრამა 5** (თურქოლოგია, საბაკალავრო პროგრამა)

**რეკომენდაცი(ებ)ი:** მოცემულ სტანდარტთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფს რეკონემდაციები არ აქვს.

**რჩევ(ებ)ი:** მოცემულ სტანდარტთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფს რჩევები არ აქვს.

**პროგრამა 6** (თურქოლოგია, სამაგისტრო პროგრამა)

**რეკომენდაცი(ებ)ი:** მოცემულ სტანდარტთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფს რეკონემდაციები არ აქვს.

**რჩევ(ებ)ი:** მოცემულ სტანდარტთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფს რჩევები არ აქვს.

**პროგრამა 7** (შორეული აღმოსავლეთი. იაპონისტიკა, საბაკალავრო პროგრამა)

**რეკომენდაცი(ებ)ი:** რეკომენდირებულია, გადაიხედოს იაპონური 6 და იაპონური 7-ის შედეგები/მოლოდინის ნაწილი, რადგან მითითებული დებულებები, რომ სტუდენტები შეძლებენ პროგრამის განმავლობაში ნასწავლი 1108 იეროგლიფით ლექსიკონის გარეშე სტატიების კითხვას და თარგმანს არ შეესაბამება რეალობას.

**რჩევ(ებ)ი:** მოცემულ სტანდარტთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფს რჩევები არ აქვს.

**პროგრამა 8** (შორეული აღმოსავლეთი. სინოლოგია, საბაკალავრო პროგრამა)

**რეკომენდაცი(ებ)ი:** მოცემულ სტანდარტთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფს რეკონემდაციები არ აქვს.

**რჩევ(ებ)ი:** მოცემულ სტანდარტთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფს რჩევები არ აქვს.

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

| კომპონენტი 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| **პროგრამა 1 (არაბისტიკა, საბაკალავრო პროგრამა)** | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| **პროგრამა 2 (არაბისტიკა, სამაგისტრო პროგრამა)** | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| **პროგრამა 3 (ირანისტიკა, საბაკალავრო პროგრამა)** | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| **პროგრამა 4 (ირანისტიკა, სამაგისტრო პროგრამა)** | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| **პროგრამა 5 (თურქოლოგია, საბაკალავრო პროგრამა)** | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| **პროგრამა 6 (თურქოლოგია, სამაგისტრო პროგრამა)** | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| **პროგრამა 7 (შორეული აღმოსავლეთი. იაპონისტიკა, საბაკალავრო პროგრამა)** | ☐ | ☒ | ☐ | ☐ |
| **პროგრამა 8 (შორეული აღმოსავლეთი. სინოლოგია, საბაკალავრო პროგრამა)** | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

### 1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

კლასტერული შეფასება

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

**აღწერა** - კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით მასში შემავალი 8 პროგრამისათვის სწავლის შედეგების შეფასებას პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ჯგუფი ახორციელებს. ამ ჯგუფში შედის: ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წევრი, პროგრამის ხელმძღვანელები, აგრეთვე, პროგრამის განხორციელებაში მონაწილე აკადემიური პერსონალი და დოქტორანტები.

შეფასების მეთოდები განხილულ იქნა საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების, შემუშავებისა და განვითარების კომიტეტზე და დამტკიცებულ იქნა ფაკულტეტისა და თსუ აკადემიურ საბჭოებზე. ასევე, პროგრამის სწავლის შედეგები საჯაროა და ხელმისაწვდომი ყველა დაინტერესებული პირისათვის.

პროგრამების სწავლის შედეგების შესაფასებლად გამოიყენება პირდაპირი და არაპირდაპირი შეფასების მეთოდები. შედეგების პირდაპირი შეფასების სისტემაში მოცემულია პროგრამის კონკრეტული შედეგი, ის სასწავლო კურსი, აქტივობა, გამოცდა, ან სხვა, რომლითაც ხდება შეფასება. პროგრამებში განსაზღვრულია შეფასების მეთოდები და აქვთ სამიზნე ნიშნულები თითოეული სწავლის შედეგისათვის. შეფასების სქემა მოიცავს პროგრამის სწავლის შედეგის, ყველა სავალდებულო საგნის და კვლევითი კომპონენტის ურთიერთკავშირს. სამიზნე ნიშნული

განსაზღვრულია ორი მიმართულებით: 1) პროგრამის კონკრეტულ სწავლის შედეგთან კონკრეტული სასწავლო კურსის/კვლევითი კომპონენტის განსაზღვრისა და შეფასების მეთოდის დაკონკრეტების შემდგომ, ხდება ამ სასწავლო კურსში/კვლევით კომპონენტში მიღწეული შედეგის სამიზნე ნიშნულის დადგენა და შემდგომ პერიოდში მისი კონტროლი; 2) გათვალისწინებულია პროგრამის კურსდამთავრებულთა პროცენტული მაჩვენებელი, პროგრამის კურსდამთავრებულთა საშუალო GPA და პროგრამიდან განთესვის მაჩვენებელი.

სწავლის შედეგების შეფასების არაპირდაპირი მეთოდი შემდეგ მექანიზმს ეფუძნება: კურსდამთავრებულთა გამოკითხვას ან ფოკუს ჯგუფთან შეხვედრას, დამსაქმებელთა გამოკითხვას ან ფოკუს ჯგუფთან შეხვედრას, კურსდამთავრებულთა პროფილური დასაქმების მაჩვენებელსა და აკადემიური/მოწვეული პერსონალის გამოკითხვას.

სასწავლო კურსით/კვლევითი კომპონენტით პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება სასწავლო კურსისა და კვლევითი კომპონენტის დასრულების შემდგომ უნდა განხორციელდეს.

სასწავლო კურსის შეფასება იგეგმება კურსის მიმდინარეობის დროს, მიღებული მონაცემების ანალიზის მის დასრულებამდე გამოყენების მიზნით.

სწავლის შედეგების შეფასების ირიბ მექანიზმები და მასთან დაკავშირებულ მონაცემები გროვდება სემესტრულად, ხოლო გამოკითხვა კეთდება წელიწადში ერთხელ მაინც. მიღებული შედეგები ქმნის იმ აუცილებელ მონაცემთა ბაზას, რომელიც პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზისათვის გამოიყენება.

შედეგების ანალიზის საფუძველზე შემუშავდება რეკომენდაციები, რომელიც პროგრამაში ცვლილების განხორციელებისთვის დადგენილი პროცედურების მიხედვით განიხილება დაინტერესებულ პირთა ჩართულობით.

პროგრამების სწავლის შედეგების შეფასება გამოიყენება პროგრამების განვითარებისათვის, რაც საჭიროების შემთხვევაში ითვალისწინებს პროგრამებში ცვლიელებების შეტანას.

**ანალიზი** - კლასტერში წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასება ნათლადაა ჩამოყალიბებული, თანმიმდევრულია და შეესაბამება სტანდარტებს. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის, პროგრამების ხელმძღვანელებისა და აკადემიური პერსონალის მონაწილეობით შეიქმნა კლასტერში წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები და განისაზღვრა სამიზნე ნიშნულები და მათი გაზომვის პერიოდულობა. განხორციელდება სამიზნე ნიშნულების პირდაპირი და არაპირდაპირ შეფასება. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებმა ხაზი გაუსვეს ფაკულტეტზე სამიზნე ნიშნულების არსებობას.

სასწავლო კურსებისა და კვლევითი კომპონენტების სწავლის შედეგები გამჭვირვალედ ფასდება. შეფასების სისტემა და პერიოდულობა სწავლების სფეროსა და საფეხურის სპეციფიკას შეესაბამება. აკადემიური პერსონალისთვის ცნობილია შედეგების შეფასების მეთოდები და მექნიზმები.

უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სწავლის შედეგების ანალიზის მონაცემებს პროგრამების შემდგომი განვითარება-გაუმჯობესებისათბის იყენებს.

თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების სწავლის შედეგების მექანიზმი ერთდაგვარია და კლასტერის ერთიან, ძირითად მახასიათებელშია გაწერილი.

საბაკალავრო პროგრამებისთვის შექმნილია სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი და ფორმები (შუალედური და დასკვნითი გამოცდა), მეთოდები (საშინაო დავალება, ზეპირი გამოკითხვა, საბაკალავრო ნაშრომის პრეზენტაცია და დაცვა). სამიზნე ნიშნულები სწავლის შედეგების შეფასემდე განისაზაღვრა და წარმოდგენილია შემდეგი სახით: სტუდენტების 60% მიიღებს 15 დან 20 ქულამდე შეფასებას პროგრამის სწავლის პირველ შედეგში (იმ შემთხვევაში, თუ სწავლის ამ შედეგს ვაფასებთ ესეს მეშვეობით, რომლის მაქსიმალური შეფასებაა 20 ქულა), ან სტუდენტების 80% ან მეტი მიიღებს B შეფასებას ან უფრო მაღალს - გამოცდაში. ან სტუდენტების 75% ან მეტი შეფასებული იქნება 3 - ით რუბრიკაში (სკალა 1-5), რომლითაც ფასდება კვლევითი ნაშრომი.
სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის სწავლის შედეგების შეფასება გამჭვირვალეა და სფეროს სპეციფიკის შესაბამისად ხორციელდება.

ფაკულტეტზე მოქმედებს სწავლის შედეგების პერიოდიული შეფასების სისტემა, რომელიც სწავლის სფეროსა და საფეხურის სპეციფიკას მიჰყვება და შეფასების შესაბამის ფორმებსა და მეთოდებს იყრდნობა. ეს უკანასკნელი სტუდენტების მიერ სწავლის შედეგების მიღწევის დადგენის შესაძლებლობას. პროგრამის განმახორციელებელმა აკადემიურმა პერსონალმა იცის პროგრამის სწავლის შედეგები და მათი შეფასების გეგმა. ინტერვიუებიდან გაირკვა, რომ ისინი ჩართული იყვნენ სწავლის შედეგების შეფასების მეთოდების შედგენაში.

პირდაპირი შეფასაბის მექანიზმია: შუალედური და დასკვნითი გამოცდები, აქტივობა (დამოუკიდებლად მომზადებული მასალის წარმოდგენა და ჯგუფური განხილვა - პრეზენტაცია, რეფერატი).

შეფასების არაპირდაპირი მეთოდის მექანიზმი საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრემბისთვის ერთგვარია.

სამაგისტრო პროგრამები სწავლის შედეგებზე 13 სავალდებულო სასწავლო კურსით და კვლევითი კომპონენტით გადის. სამაგისტრო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი სწავლის სფეროს სპეციფიკას ეფუძნება. შესაბამისად, სწავლის შედეგების მიღწევა შესაძლებელია.

სწავლის შედეგების შეფასებაში ჩართულია დაინტერესებული მხარეებია. აკადემიური პერსონალი მონაწილეობას იღებდა სწავლის შედეგების შეფასების მეთოდების შედგენაში. პროგრამის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის სწავლის შედეგების შეფასება გამჭვირვალეა და იყენებს შეფასების ადეკვატურ ფორმებსა და მეთოდებს.

შორეული აღმოსავლეთი. იაპონისტიკისა და სინოლოგიის საბაკალავრო პროგრამებს ახალია და სწავლის შედეგების შეფასების შედეგები ვერ ექნება. სწავლის შედეგების მონიტორინგი და შეფასება ყოველი სასწავლო კურსისა და პროგრამის დასრულების შემდეგ განხორციელდება.

საჭიროების შემთხვევაში, **აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით**

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1** (პროგრამა, საფეხური)[9]

---

[9] საჭიროების შემთხვევაში აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნული კომპონენტის მოთხოვნებთან. ასევე,

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- კლასტერში დაჯგუფებული საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები და სილაბუსები;
- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელის ბრძანებით დამტკიცებული ენის დაუფლების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი;
- ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მეექვსე და მეშვიდე დონის კვალიფიკაცია;
- საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბება და შეფასება. საუნივერსიტეტო გზამკვლევი (დანართი 5);
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი (დანართი 9);
- აღმოსავლეთმცოდნეობის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების მხარდამჭერი კომიტეტის ოქმები (დანართი 4)

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:** კლასტერთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფს საერთო რეკომენდაციები არ აქვს.

**კლასტერის საერთო რჩევები:** კლასტერთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფს საერთო რჩევები არ აქვს.

**არსებობის შემთხვევაში რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:**

**პროგრამა 1** (არაბისტიკა, საბაკალავრო პროგრამა)

**რეკომენდაცი(ებ)ი:** მოცემულ სტანდარტთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფს რეკომენდაციები არ აქვს

**რჩევ(ებ)ი:** მოცემულ სტანდარტთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფს რჩევები არა აქვს

**პროგრამა 2** (არაბისტიკა, სამაგისტრო პროგრამა)

**რეკომენდაცი(ებ)ი:** მოცემულ სტანდარტთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფს რეკომენდაციები არ აქვს

---

შეგიძლიათ მიუთითოთ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთიანი და ძირითადი მახასიათებლებისაგან.
საჭიროების მიხედვით, პროგრამების რაოდენობის შესაბამისად, გთხოვთ, დაამატოთ შესაბამისი რაოდენობის მწკრივები *(მითითების ეს ფორმატი, გთხოვთ, გაითვალისწინოთ ყოველი შემდგომი კომპონენტის შეფასების დროს).*

**რჩევ(ებ)ი:** მოცემულ სტანდარტთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფს რჩევები არ აქვს

**პროგრამა 3** (ირსნისტიკა, საბაკალავრო პროგრამა)

**რეკომენდაცი(ებ)ი:** მოცემულ სტანდარტთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფს რეკომენდაციები არა აქვს.

**რჩევ(ებ)ი:** მოცემულ სტანდარტთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფს რჩევები არა აქვს.

**პროგრამა 4** (ირსნისტიკა, სამაგისტრო პროგრამა)

**რეკომენდაცი(ებ)ი:** მოცემულ სტანდარტთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფს რეკომენდაციები არა აქვს.

**რჩევ(ებ)ი:** მოცემულ სტანდარტთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფს რჩევები არა აქვს.

**პროგრამა 5** (თურქოლოგია, საბაკავარო პროგრამა)

**რეკომენდაცი(ებ)ი:** მოცემულ სტანდარტთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფს რეკომენდაციები არა აქვს.

**რჩევ(ებ)ი:** მოცემულ სტანდარტთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფს რჩევები არა აქვს.

**პროგრამა 6** (თურქოლოგია, სამაგისტრო პროგრამა)

**რეკომენდაცი(ებ)ი:** მოცემულ სტანდარტთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფს რეკომენდაციები არა აქვს.

**რჩევ(ებ)ი:** მოცემულ სტანდარტთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფს რჩევები არა აქვს.

**პროგრამა 7** (შორეული აღმოსავლეთი. იაპონისტიკა, საბაკალავრო პროგრამა)

**რეკომენდაცი(ებ)ი:** მოცემულ სტანდარტთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფს რჩევები არა აქვს.

**რჩევ(ებ)ი:** მოცემულ სტანდარტთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფს რჩევები არა აქვს.

**პროგრამა 7** (შორეული აღმოსავლეთი. სინოლოგია, საბაკალავრო პროგრამა)

**რეკომენდაცი(ებ)ი:** მოცემულ სტანდარტთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფს რჩევები არა აქვს.

**რჩევ(ებ)ი:** მოცემულ სტანდარტთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფს რჩევები არა აქვს.

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

| კომპონენტი 1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| **პროგრამა 1 (არაბისტიკა, საბაკალავრო პროკრამა)** | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| **პროგრამა 2 (არაბისტიკა, სამაგისტრო პროგრამა)** | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| **პროგრამა 3 (ირანისტიკა, საბაკალავრო პროგრამა)** | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| **პროგრამა 4 (ირანისტიკა, სამაგისტრო პროგრამა)** | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| **პროგრამა 5 (თურქოლოგია, საბაკალავრო პროგრამა)** | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| **პროგრამა 6 (თურქოლოგია, სამაგისტრო პროგრამა)** | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| **პროგრამა 7 (შორეული აღმოსავლეთი. იაპონისტიკა, საბაკალავრო პროგრამა)** | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| **პროგრამა 8 (შორეული აღმოსავლეთი. სინოლოგია, საბაკალავრო პროგრამა)** | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

## 1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

---

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

**აღწერა** - აღმოსავლეთმცონეობის კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით კლასტერში შემავალი საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები (შესამაბისად, პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი) შედგენილია უნივერსიტეტში მოქმედი დებულების (თსუ აკადემიური საბჭოს 2019 წლის 22 ივლისის N100/2019 დადგენილება -„სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცედურის დამტკიცების შესახებ") მოთხოვნების შესაბამისად.

აღმოსავლეთმცოდნეობის კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების კომიტეტები შეიქმნა 2018 წლის 19 თებერვლის აკადემიური საბჭოს #75/2018 დადგენილებით; ბოლო ცვლილება დარგობრივ კომიტეტებში 2022 წლის 22 ნოემბრის ფაკულტეტის საბჭოს დადგენილებით იქნა შეტანილი. პროგრამის ხელმძღვაელების კოორდინირებით, აკადემიური პერსონალის ჩართულობითა და მათთან შეთანხმებით განხორციელდა პროგრამის სახელწოდების, მისანიჭებელი კვალიფიკაციის, პროგრამის სასწავლო გეგმის (სტრუქტურის) დადგენა.

საგანმანათლებლო პროგრამებს განიხილავს ფაკულტეტის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულისა და შესაბამისი პროფილის აკადემიური პერსენალის სხდომაზე და გადაწყვეტილება ოქმის სახით ფორმდება. კლასტერის თვითშეფასების ანგარიშში დეტალურადაა აღწერილი ეს პროცედურა და აღნიშნულია, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელსაც კოორდინირებას უწევს თსუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ამოწმებს პროგრამის შესაბამისობას დადგენილ მოთხოვნებთან, ხოლო მათ მიერ დადებითი დასკვნის შემთხვევაში პროგრამა განსახილველად გადაეცემა ფაკულტეტის საბჭოს. ფაკულტეტის საბჭო განიხილავს პროგრამას და თანხმობის შემთხვევაში, მას გადაუგზავნის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წინაშე წარსადგენად. პროგრამას დასამტკიცებლად თსუ-ის აკადემიურ საბჭოს წარუდგენს თსუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. პროგრამას ამტკიცებს თსუ-ის აკადემიური საბჭო.

თსუ-ს რეგულაციების შესაბამისად შედგენილ სილაბუსებში მოცემულია სასწავლო კურსის შინაარსი.

სწავლების პროცესში გამოყენებულია დასავლეთის წამყვანი უნივერსიტეტების გამოცდილება და სწავლა-სწავლების მიდგომები.

ინტერნაციონალიზაციის საკითხის გათვალისწინების მიზნით, საბაკალავრო საფეხურზე ისწავლება უცხო ენები, ხოლო სამაგისტრო საფეხურზე უცხო ენის ცოდნის ამაღლება ხდება.

**ანალიზი** - სააკრედიტაციოდ წარმოდგენილ საბაკალავრო და სამაგისტრო განსაზღვრულია თითოეულ პროგრამაზე დაშვების წინაპირობა და სრულ შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან. პროგრამების შინაარსი და მოცულობა შეესაბამება სწავლების საფეხურს. სტრუქტურა თანმიმდევრულია. სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი ლოგიკურადაა დალაგებული და შინაარსობრივად ვითარდება. სემეტრების მიხედვით სასწავლო კურსები ლოგიკურად ებმის ერთმანეთს. პროგრამებში მოცემული სავალდებულო და სასწავლო კურსები უზრუნველყოფენ დასახულ სწავლის შედეგზე გასვლას და შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან.

პროგრამების სტრუქტურა შედგენილია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ECTS კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის მიხედვით. პროგრამების შინაარსი, სტრუქტურა და რესურსები უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას და შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას. პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას ემსახურება

ძირითადი (მაპროფილებელი) სპეციალობის ძირითადი და არჩევითი დისციპლინებისათვის 120 ECTS კრედიტი.

საბაკალავრო პროგრამების მოცულობა რვა სემესტრია (240 ECTS კრედიტი) და განაწილებულია შემდეგი სახით: 120 ECTS კრედიტი განკუთვნილია ძირითადი (მაპროფილებელი) სპეციალობის ძირითადი და არჩევითი დისციპლინებისათვის. 60 ECTS კრედიტის ფარგლებში სტუდენტს შესაძლებლობა ეძლევა აირჩიოს სასურველი დამატებითი პროგრამა, ხოლო 10 ECTS კრედიტი განსაზღვრულია სტუდენტის ე. წ. თავისუფალი არჩევანისათვის. 10 ECTS კრედიტი განკუთვნილია საბაკალავრო ნაშრომისთვის. კლასტერში დაჯგუფებული პროგრამები გამოირჩევა არჩევითი კურსების მრავალფეროვნებით.

კლასტერში შემავალი სამაგისტრო პროგრამები (არაბისტიკა, ირანისტიკა, თურქოლოგია) წარმოდგენილია სასპეციალიზაციო კურსებითა (სავალდებულო 60 ECTS კრედიტი და არჩევითი კურსები - 30 ECTS კრედიტი) და სამაგისტრო ნაშრომით (30 ECTS კრედიტი). სამაგისტრო ნაშრომის შერჩევა სფეროსა და კვლევის თანამედროვე მდგომარეობისა და სტუდენტის აკადემიური/პროფესიული ინტერესების მიხედვით შეირჩევა. საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები საჯაროა.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1** (არაბისტიკა, საბაკალავრო პროგრამა)

არაბისტიკის საბაკალავრო პროგრამის კურიკულუმი შედგენილია მარტივი ლინგვისტური თუ ლიტერატურათმცოდნეობითი, ლინგვოკულტუროლოგიური, ისტორიულ-საზოგადოებათმცოდნეობითი თემატიკიდან და პრობლემატიკიდან რთულზე გადასვლის პრონციპით. ზოგადთეორულ კურსებთან ერთად პირველივე ეტაპიდან იწყება დარგობრივი კურსების სწავლება და ათვისება. არჩევითი კურსების შედეგები სტუდენტს განუვითარებს დარგობრივი სავალდებულო საგნებიდან მიღებულ კომპოტენციებს და გამოუმუშავებს დამატებით უნარებს. პროგრამებში ჩართული ყველა კომპონენტი პასუხობს იმ მოთხოვნებს, რომელიც უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა აღმწერით საბაკალავრო საფეხურისთვისაა განსაზღვრული. განსაკუთრებული ყურადრება ეთმობა ზოგადი კომპეტენციების გაძლიერებას - ლოგიკური, შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნება, თუ ზეპირი და წერითი გამოხატვის უნარები, ანალიტიკური უნარები, გუნდური მუშაობის უნარი, უცხო ენების (განსაკუთრებით, ინგლისურის) ცოდნის დონის ამაღლება. მნიშვნელოვანია პროგრამის დამამთავრებელ ფაზაში სავალდებულო სტატუსის მქონე საბაკალავრო ნაშრომის (10 კრედიტი) შესრულება. საბაკალავრო ნაშრომი აჯამებს მისაღწევ მიზანს სტუდენტს ექნება გაცნობიერებული ცოდნა, დასკვნის, კრიტიკული აზროვნების, მსჯელობის, ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარები, მისი ცოდნა მიმართული იქნება ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების დამკვიდრებისაკენ.

საბაკალავრო პროგრამის მოცულობა რვა სემესტრია (240 ECTS კრედიტი) და განაწილებულია შემდეგი სახით: 50 ECTS კრედიტი ეთმობა ჰუმანიტარული კომპეტენციის საბაზო სავალდებულო და არჩევით საგნებს, 120 ECTS კრედიტი განკუთვნილია ძირითადი (მაპროფილებელი) სპეციალობის ძირითადი და არჩევითი დისციპლინებისათვის, მათ შორის 10 ECTS კრედიტი - საბაკალავრო ნაშრომისთვის. 60 ECTS კრედიტის ფარგლებში სტუდენტს შესაძლებლობა ეძლევა აირჩიოს სასურველი დამატებითი პროგრამა, ხოლო 10 ECTS კრედიტი განსაზღვრულია სტუდენტის ე.წ. თავისუფალი არჩევანისათვის.

**ანალიზი** - არაბისტიკის საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურა შედგენილია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ECTS - კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის, უნივერსიტეტში მოქმედი დებულების (თსუ აკადემიური საბჭოს 2019

წლის 22 ივლისის N100/2019 დადგენილება -„სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცედურის დამტკიცების შესახებ“) მოთხოვნების შესაბამისად და დაინტერესებული მხარის ჩართოლობით.

პროგრამის შინაარსი და მოცულობა სრულად შეესაბამება საბაკალავრო სწავლების საფეხურს.

პროგრამის შინაარსი, სტრუქტურა და რესურსები უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას და შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას - არაბისტიკის ბაკალავრი. პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას ემსახურება ძირითადი (მაპროფილებელი) სპეციალობის ძირითადი და არჩევითი დისციპლინებისათვის 120 ECTS კრედიტი.

სტრუქტურა თანმიმდევრულია და თითოეული კომპონენტი დალაგებულია ლოგიკურად. დაშვების წინაპირობები ადეკვატურია. პროგრამაში ასახულია დარგის თანამედროვე მდგომარეობა და მიღწევები.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2** (არაბისტიკა, სამაგისტრო პროგრამა)

არაბისტიკის სამაგისტრო პროგრამა წარმოდგენილია სასპეციალიზაციო კურსებითა (სავალდებულო 60 ECTS კრედიტი და არჩევითი კურსები - 30 ECTS კრედიტი) და სამაგისტრო ნაშრომით (30 ECTS კრედიტი). თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით. პროგრამა შედგენილია უნივერსიტეტში მოქმედი დებულების (თსუ აკადემიური საბჭოს 2019 წლის 22 ივლისის N100/2019 დადგენილება -„სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცედურის დამტკიცების შესახებ“) მოთხოვნების შესაბამისად. სამაგისტრო ნაშრომის შერჩევა სფეროსა და კვლევის თანამედროვე მდგომარეობისა და სტუდენტის აკადემიური/პროფესიული ინტერესების მიხედვით შეირჩევა.

არაბისტიკის სამაგისტრო პროგრამა მოიცავს 120 ECTS კრედიტს, საიდანაც 60 ECTS კრედიტი სასპეციალიზაციო სავალდებულო საგნებია და 30 ECTS კრედიტი – არჩევითი საგნები. მაგისტრანტს რიგ შემთხვევაში შეუძლია არჩევითი საგნების აღება მონათესავე პროფილის სხვა სამაგისტრო პროგრამებიდან. IV სემესტრის 30 ECTS კრედიტი ეთმობა სამაგისტრო კვლევითი ნაშრომის მომზადებას.

არაბისტიკის სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურა შედგენილია ECTS - კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემისა და უნივერსიტეტში მოქმედი დებულების (თსუ აკადემიური საბჭოს 2019 წლის 22 ივლისის N100/2019 დადგენილება -„სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცედურის დამტკიცების შესახებ“) მოთხოვნების შესაბამისად.

პროგრამის შინაარსში, სასწავლო კურსებში ასახულია დარგის სპეციფიკა და შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას - არაბისტიკის მაგისტრი. სწავლის შედეგების მიღწევა რეალსიტურია. სამაგისტრო ნაშრომის თემატიკა სფეროსა და კვლევის თანამედროვე მდგომარეობის შესაბამისად, სტუდენტის აკადემიური და პროფესიული ინტერესების გათვალისწინებით, სტუდენტისა და მისი ხელმძღვანელის ერთობლივი გადაწყვეტილებით შეირჩევა.

აკადემიური პერსონალის ჩართულობით პროგრამა შედგენილია ლოგიკურად, ცონდის გადაცემის საფეხურეობრივ პრონციპს ეფუძნება და დასავლეთის უნივერსიტეტების გამოცდილებასაც ითვალისწინებს.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3** (ირანისტიკა, საბაკალავრო პროგრამა)

ირანისტიკის საბაკალავრო პროგრამის კურიკულუმი შედეგენილია მარტივი ლინგვისტური თუ ლიტერატურათმცოდნეობითი, ლინგვოკულტუროლოგიური, ისტორიულ-საზოგადოებათმცოდნეობითი თემატიკიდან და პრობლემატიკიდან რთულზე გადასვლის პრონციპით. ზოგადთეორულ კურსებთან ერთად პირველივე ეტაპიდან იწყება დარგობრივი კურსების სწავლება და ათვისება. არჩევითი კურსების შედეგები სტუდენტს განუვითარებს დარგობრივი სავალდებულო საგნებიდან მიღებულ კომპოტენციებს და გამოუმუშავებს დამატებით უნარებს. პროგრამებში ჩართული ყველა კომპონენტი პასუხობს იმ მოთხოვნებს, რომელიც უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა აღმწერით საბაკალავრო საფეხურისთვისაა განსაზღვრული. განსაკუთრებული ყურადრება ეთმობა ზოგადი კომპეტენციების გაძლიერებას - ლოგიკური, შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნება, თუ ზეპირი და წერითი გამოხატვის უნარები, ანალიტიკური უნარები, გუნდური მუშაობის უნარი, უცხო ენების (განსაკუთრებით, ინგლისურის) ცოდნის დონის ამაღლება. მნიშვნელოვანია პროგრამის დამამთავრებელ ფაზაში სავალდებულო სტატუსის მქონე საბაკალავრო ნაშრომის (10 კრედიტი) შესრულება. საბაკალავრო ნაშრომი აჯამებს მისაღწევ მიზანს სტუდენტს ექნება გაცნობიერებული ცოდნა, დასკვნის, კრიტიკული აზროვნების, მსჯელობის, ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარები, მისი ცოდნა მიმართული იქნება ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების დამკვიდრებისაკენ.

საბაკალავრო პროგრამის მოცულობა რვა სემესტრია (240 ECTS კრედიტი) და განაწილებულია შემდეგი სახით: 50 ECTS კრედიტი ეთმობა ჰუმანიტარული კომპეტენციის საბაზო სავალდებულო და არჩევით საგნებს, 120 ECTS კრედიტი განკუთვნილია ძირითადი (მაპროფილებელი) სპეციალობის ძირითადი და არჩევითი დისციპლინებისათვის, მათ შორის 10 ECTS კრედიტი - საბაკალავრო ნაშრომისთვის. 60 ECTS კრედიტის ფარგლებში სტუდენტს შესაძლებლობა ეძლევა აირჩიოს სასურველი დამატებითი პროგრამა, ხოლო 10 ECTS კრედიტი განსაზღვრულია სტუდენტის ე. წ. თავისუფალი არჩევანისათვის.

ირანისტიკის საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურა შედგენილია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ECTS - კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის, უნივერსიტეტში მოქმედი დებულების (თსუ აკადემიური საბჭოს 2019 წლის 22 ივლისის N100/2019 დადგენილება -„სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცედურის დამტკიცების შესახებ“) მოთხოვნების შესაბამისად და დაინტერესებული მხარის ჩართოლობით.

პროგრამის შინაარსი და მოცულობა სრულად შეესაბამება საბაკალავრო სწავლების საფეხურს.

პროგრამის შინაარსი, სტრუქტურა და რესურსები უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას და შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას - ირანისტიკის ბაკალავრი. პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას ემსახურება ძირითადი (მაპროფილებელი) სპეციალობის ძირითადი და არჩევითი დისციპლინებისათვის 120 ECTS კრედიტი.

პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრულია და თითოეული კომპონენტი დალაგებულია ლოგიკურად. დაშვების წინაპირობები ადეკვატურია. პროგრამაში ასახულია დარგის თანამედროვე მდგომარეობა და მიღწევები.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 4** (ირანისტიკა, სამაგისტრო პროგრამა)

ირანისტიკის სამაგისტრო პროგრამა წარმოდგენილია სასპეციალიზაციო კურსებითა (სავალდებულო 60 ECTS კრედიტი და არჩევითი კურსები - 30 ECTS კრედიტი) და სამაგისტრო ნაშრომით (30 ECTS კრედიტი). თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, პროგრამა შედგენილია უნივერსიტეტში მოქმედი დებულების (თსუ აკადემიური საბჭოს 2019 წლის 22 ივლისის N100/2019 დადგენილება -„სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცედურის დამტკიცების შესახებ") მოთხოვნების შესაბამისად. სამაგისტრო ნაშრომის შერჩევა სფეროსა და კვლევის თანამედროვე მდგომარეობისა და სტუდენტის აკადემიური/პროფესიული ინტერესების მიხედვით შეირჩევა.

ირანისტიკის სამაგისტრო პროგრამა მოიცავს 120 ECTS კრედიტს, საიდანაც 60 ECTS კრედიტი სასპეციალიზაციო სავალდებულო საგნებია და 30 ECTS კრედიტი – არჩევითი საგნები. მაგისტრანტს რიგ შემთხვევაში შეუძლია არჩევითი საგნების აღება მონათესავე პროფილის სხვა სამაგისტრო პროგრამებიდან. IV სემესტრის 30 ECTS კრედიტი ეთმობა სამაგისტრო კვლევითი ნაშრომის მომზადებას.

ირანისტიკის სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურა შედგენილია ECTS - კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემისა და უნივერსიტეტში მოქმედი დებულების (თსუ აკადემიური საბჭოს 2019 წლის 22 ივლისის N100/2019 დადგენილება -„სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცედურის დამტკიცების შესახებ") მოთხოვნების შესაბამისად.

პროგრამის შინაარსში, სასწავლო კურსებში ასახულია დარგის სპეციფიკა და შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას - ირანისტიკის მაგისტრი. სწავლის შედეგების მიღწევა რეალსიტურია. სამაგისტრო ნაშრომის თემატიკა სფეროსა და კვლევის თანამედროვე მდგომარეობის შესაბამისად, სტუდენტის აკადემიური და პროფესიული ინტერესების გათვალისწინებით, სტუდენტისა და მისი ხელმძღვანელის ერთობლივი გადაწყვეტილებით შეირჩევა.

აკადემიური პერსონალის ჩართულობით პროგრამა შედგენილია ლოგიკურად, ცოდნის გადაცემის საფეხურეობრივ პრონციპს ეფუძნება და დასავლეთის უნივერსიტეტების გამოცდილებასაც ითვალისწინებს.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 5** (თურქოლოგია, საბაკალავრო პროგრამა)

თურქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის კურიკულუმი შედგენილია მარტივი ლინგვისტური თუ ლიტერატურათმცოდნეობითი, ლინგვოკულტუროლოგიური, ისტორიულ-საზოგადოებათმცოდნეობითი თემატიკიდან და პრობლემატიკიდან რთულზე გადასვლის პრონციპით. ზოგადთეორულ კურსებთან ერთად პირველივე ეტაპიდან იწყება დარგობრივი კურსების სწავლება და ათვისება. პროგრამებში ჩართული ყველა კომპონენტი პასუხობს იმ მოთხოვნებს, რომელიც უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა აღმწერით საბაკალავრო

საფეხურისთვისაა განსაზღვრული. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ზოგადი კომპეტენციების გაძლიერებას - ლოგიკური, შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნება, თუ ზეპირი და წერითი გამოხატვის უნარები, ანალიტიკური უნარები, გუნდური მუშაობის უნარი, უცხო ენების (განსაკუთრებით, ინგლისურის) ცოდნის დონის ამაღლება. მნიშვნელოვანია პროგრამის დამამთავრებელ ფაზაში სავალდებულო სტატუსის მქონე საბაკალავრო ნაშრომის (10 კრედიტი) შესრულება.

საბაკალავრო პროგრამის მოცულობა რვა სემესტრია (240 ECTS კრედიტი) და განაწილებულია შემდეგი სახით: 50 ECTS კრედიტი ეთმობა ჰუმანიტარული კომპეტენციის საბაზო სავალდებულო და არჩევით საგნებს, 120 ECTS კრედიტი განკუთვნილია ძირითადი (მაპროფილებელი) სპეციალობის ძირითადი და არჩევითი დისციპლინებისათვის, მათ შორის 10 ECTS კრედიტი - საბაკალავრო ნაშრომისთვის. 60 ECTS კრედიტის ფარგლებში სტუდენტს შესაძლებლობა ეძლევა აირჩიოს სასურველი დამატებითი პროგრამა, ხოლო 10 ECTS კრედიტი განსაზღვრულია სტუდენტის ე. წ. თავისუფალი არჩევანისათვის.

თურქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურა შედგენილია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ECTS - კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის, უნივერსიტეტში მოქმედი დებულების (თსუ აკადემიური საბჭოს 2019 წლის 22 ივლისის N100/2019 დადგენილება -„სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცედურის დამტკიცების შესახებ“) მოთხოვნების შესაბამისად და დაინტერესებული მხარის ჩართულობით.
პროგრამის შინაარსი და მოცულობა სრულად შეესაბამება საბაკალავრო სწავლების საფეხურს.
პროგრამის შინაარსი, სტრუქტურა და რესურსები უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას და შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას - თურქოლოგიის ბაკალავრი. სტრუქტურა თანმიმდევრულია და თითოეული კომპონენტი დალაგებულია ლოგიკურად. დაშვების წინაპირობები ადეკვატურია. პროგრამაში ასახულია დარგის თანამედროვე მდგომარეობა და მიღწევები.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 6 (თურქოლოგია, მაგისტრატურა)**

თსუ-ის მიერ წარმოდგენილი თურქოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად. პროგრამის მოცულობა 120 ECTS კრედიტია, საიდანაც 60 ECTS კრედიტი სასპეციალიზაციო სავალდებულო საგნებია და 30 ECTS კრედიტი – არჩევითი საგნები. მაგისტრანტს რიგ შემთხვევაში შეუძლია არჩევითი საგნების აღება მონათესავე პროფილის სხვა სამაგისტრო პროგრამებიდან. IV სემესტრის 30 ECTS კრედიტი ეთმობა სამაგისტრო კვლევითი ნაშრომის მომზადებას.

თურქოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა შედგენილია ლოგიკურად და ითვალისწინებს მაგისტრანტებისათვის ცოდნის გადაცემას საფეხურებრივი პრინციპით, რათა ეტაპობრივად, თანმიმდევრულად მოხდეს ბაკალავრიატის საფეხურზე უკვე მიღებული ცოდნის გაღრმავება, პროგრამის მიზნების განხორციელება და შედეგების მიღწევა.

პროგრამით გათვალსიწენებულია ზოგიერთი სავალდებული და არჩევითი კურსის თურქულ ენაზე წარმართვა. თუმცა, სასურველია, სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში, სტუდენტებს სასპეციალიზაციო ენასთან დაკავშირებული უფრო მეტი პრაქტიკული კურსი შევთავაზოთ, რათა თეორიულ-მეცნიერული ცოდნის გაღრმავებასთან ერთად შეძლონ განავითარონ

პრაქტიკული უნარ-ჩვევები და აიმაღლონ ენობრივი კომპეტენციები არანაკლებ C1 დონისა. ყოველივე ზემოაღნიშნული დაეხმარება სტუდენტებს სამაგისტრო კურიკულუმით განსაზღვრული იმ დისციპლინების დაძლევაში რომელიც იკითხება თურქულ ენაზე.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 7** (შორეული აღმოსავლეთი. იაპონისტიკა, საბაკალავრო პროგრამა)

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის მიერ შედგენილი შორეული აღმოსავლეთი - იაპონისტიკის პროგრამა შედგენილია მაღალი სტანდარტით, მეტწილად ეყრდნობა JLPT - ჯეიელპიტის (იაპონური ენის დონის განმსაზღვრელი ტესტირების) კომიტეტის მიერ შემუშავებულ საერთაშორისო თანამედროვე იაპონური ენის შესწავლის სტანდარტს - რომელიც საზღვრავს იაპონური ენის სამეცადინო საათებს და მოსალოდნელ შედეგებს.

აღნიშნული პროგრამის გამოყენებით სტუდენტი შეძლებს იაპონური ენის კომპეტენტური მომხმარებლის დონეზე დაუფლებას, იაპონურ ენაზე წერას და საუბარს. ამავე დროს ის მიიღებს იაპონური კულტურის, ქვეყნის ისტორიის და პოლიტიკის შესახებ მნიშვნელოვან ინფორმაციას და შეძლებს სხვადასხვა საკითხზე მსჯელობას.

საბაკალავრო პროგრამების კრედიტების საერთო რაოდენობა შეადგენს 240 (ECTS) კრედიტს, რომელიც გადანაწილებულია შემდეგი სახით:

1. სპეციალობის სავალდებულო კურსები - 85 კრედიტი (ECTS); 2. სპეციალობის არჩევითი კურსები - 35 კრედიტი (ECTS); 3. ჰუმანიტარული კომპეტენციის საბაზო სავალდებულო კურსები - 20 კრედიტი (ECTS); 4. ჰუმანიტარული კომპეტენციის საბაზო არჩევითი კურსები (შესავალი კურსები) – 10 კრედიტი (ECTS); 5. ჰუმანიტარული კომპეტენციის საბაზო არჩევითი კურსები (ევროპული ენა) – 10 კრედიტი (ECTS); 6. ჰუმანიტარული კომპეტენციის საბაზისო არჩევითი კურსები (კლასიკური / აღმოსავლური ენა) - 10 კრედიტი (ECTS); 7. თავისუფალი კრედიტები - 10 კრედიტი (ECTS) 8. დამატებითი პროგრამა - 60 კრედიტი (ECT

პროგრამის შინაარსი და მოცულობა შეესაბამება საბაკალავრო სწავლების საფეხურს.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 8** (შორეული აღმოსავლეთი. სინოლოგია, საბაკალავრო პროგრამა)

შორეული აღმოსავლეთი. სინოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმი შედგენილია ისე, რომ უზრუნველყოს კურსდამთავრებული მაღალი სტანდარტების შესაბამისი საბაკალავრო დონის განათლებით და აღჭურვოს პროფესიული კომპეტენციებით. უზრუნველყოფს შორეული აღმოსავლეთის რეგიონის მნიშვნელოვანი ენის - ჩინურის ცოდნას კომპეტენტური მომხმარებლის დონეზე.

პროგრამებში ჩართული ყველა კომპონენტი პასუხობს იმ მოთხოვნებს, რომელიც უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა აღწერით საბაკალავრო საფეხურისთვისაა განსაზღვრული. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ზოგადი კომპეტენციების გაძლიერებას - ლოგიკური, შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნება, თუ ზეპირი და წერითი გამოხატვის უნარები, ანალიტიკური უნარები, გუნდური მუშაობის უნარი, უცხო ენების (განსაკუთრებით, ინგლისურის) ცოდნის დონის ამაღლება. მნიშვნელოვანია პროგრამის დამამთავრებელ ფაზაში

სავალდებულო სტატუსის მქონე საბაკალავრო ნაშრომის (10 კრედიტი) შესრულება. საბაკალავრო ნაშრომი აჯამებს მისაღწევ მიზანს სტუდენტს ექნება გაცნობიერებული ცოდნა, დასკვნის, კრიტიკული აზროვნების, მსჯელობის, ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარები, მისი ცოდნა მიმართული იქნება ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების დამკვიდრებისაკენ.

საბაკალავრო პროგრამის კრედიტების საერთო რაოდენობა - 240 კრედიტი (ECTS), მათ შორის: 1. სპეციალობის სავალდებულო კურსები - 85 კრედიტი (ECTS); 2. სპეციალობის არჩევითი კურსები - 35 კრედიტი (ECTS); 3. ჰუმანიტარული კომპეტენციის საბაზო სავალდებულო კურსები - 20 კრედიტი (ECTS); 4. ჰუმანიტარული კომპეტენციის საბაზო არჩევითი კურსები (შესავალი კურსები) – 10 კრედიტი (ECTS); 5. ჰუმანიტარული კომპეტენციის საბაზო არჩევითი კურსები (ევროპული ენა) – 10 კრედიტი (ECTS); 6. ჰუმანიტარული კომპეტენციის საბაზისო არჩევითი კურსები (კლასიკური / აღმოსავლური ენა) - 10 კრედიტი (ECTS); 7. თავისუფალი კრედიტები - 10 კრედიტი (ECTS) 8. დამატებითი პროგრამა - 60 კრედიტი (ECTS).

პროგრამის შინაარსი და მოცულობა სრულად შეესაბამება საბაკალავრო სწავლების საფეხურს.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცედურა (ბოლო ცვლილება - აკად. საბჭოს დადგენილება 24.02.2020, №16/2020) (დანართი 4);
- აღმოსავლეთმცოდნეობის კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამები, სასწავლო გეგმები, სასწავლო კურსების სილაბუსები (დანართი 2);
- პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკები (დანართი 2);
- კურიკულუმის რუკები (დანართი 2);
- აღმოსავლეთმცოდნეობის კლასტერში დაჯგუფებული საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების მხარდამჭერი კომიტეტი (აკადემიური საბჭოს 2018 წლის 19 თებერვლის დადგენილება #75/2018, 2022 წლის 22 ნოემბრის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს გდაწყვეტილებით მიღებული ბოლო ცვლილებები) (დანართი 4);
- აღმოსავლეთმცოდნეობის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების მხარდამჭერი კომიტეტის ოქმები (დანართი 4);
- ინტერვიუების შედეგები.

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:** კლასტერთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფს საერთო რეკომენდაციები არა აქვს.

**კლასტერის საერთო რჩევები:** ლასტერთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფს საერთო რჩევები არა აქვს.

**რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:**

**პროგრამა 1** (არაბისტიკა, საბაკალავრო პროგრამა)

**რეკომენდაცი(ებ)ი:** მოცემულ სტანდარტთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფს რეკომენდაციები არ აქვს.

**რჩევ(ებ)ი:** მოცემულ სტანდარტთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფს რჩევები არ აქვს.

**პროგრამა 2** (არაბისტიკა, სამაგისტრო პროგრამა)

**რეკომენდაცი(ებ)ი:** მოცემულ სტანდარტთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფს რეკომენდაციები არ აქვს.

**რჩევ(ებ)ი:** მოცემულ სტანდარტთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფს რჩევები არ აქვს.

**პროგრამა 3** (ირანისტიკა, საბაკალავრო პროგრამა)

**რეკომენდაცი(ებ)ი:** მოცემულ სტანდარტთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფს რეკომენდაციები არ აქვს.

**რჩევ(ებ)ი:** მოცემულ სტანდარტთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფს რჩევები არ აქვს

**პროგრამა 4** (ირანისტიკა, სამაგისტრო პროგრამა)

**რეკომენდაცი(ებ)ი:** მოცემულ სტანდარტთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფს რეკომენდაციები არ აქვს.

**რჩევ(ებ)ი:** მოცემულ სტანდარტთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფს რჩევები არ აქვს.

**პროგრამა 5** (თურქოლოგია, საბაკალავრო პროგრამა)

**რეკომენდაცი(ებ)ი:** მოცემულ სტანდარტთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფს რეკომენდაციები არ აქვს.

**რჩევ(ებ)ი:** მოცემულ სტანდარტთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფს რჩევები არ აქვს

**პროგრამა 6** (თურქოლოგია, სამაგისტრო პროგრამა)

**რეკომენდაცი(ებ)ი:** **რეკომენდაცი(ებ)ი:** მოცემულ სტანდარტთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფს რეკომენდაციები არ აქვს.

**რჩევ(ებ)ი:**

1. სასურველია, სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში, სტუდენტებს სასპეციალიზაციო ენასთან დაკავშირებული უფრო მეტი პრაქტიკული კურსი შევთავაზოთ, რათა თეორიულ-მეცნიერული ცოდნის გაღრმავებასთან ერთად შეძლონ განავითარონ პრაქტიკული უნარ-ჩვევები და აიმაღლონ ენობრივი კომპეტენციები არანაკლებ C1 დონისა.

**პროგრამა 7** (შორეული აღმოსავლეთი. იაპონისტიკა, საბაკალავრო პროგრამა)

**რეკომენდაცი(ებ)ი:** რეკომენდირებულია იაპონური ენის სასწავლო კურსების სილაბუსით გაწერილი პროგრამის, კერძოდ იაპონური ენა 6 და 7-ის მოლოდინისა და შედეგების გადახედვა, ვინაიდან აღნიშნული მოლოდინი (ვციტირებ პროგრამიდან ამონარიდს „მიღებული ცოდნა და უნარები უზრუნველყოფდეს სტუდენტის დასაქმებას როგორც სასპეციალიზაციო ისე მომიჯნავე სფეროებში" არ ემთხვევა პროგრამის - იაპონური ენა 6 და 7-ის რეალურ შედეგს.

**რჩევ(ებ)ი:** სწავლის პროცესში სასურველია იაპონური ენის იაპონელი სპეციალისტის მეტი ჩართულობა, რომ სტუდენტებმა მიიღონ მეტი სამეტყველო პრაქტიკა.

**პროგრამა 8** (შორეული აღმოსავლეთი. სინოლოგია, საბაკალავრო პროგრამა)

**რეკომენდაცი(ებ)ი:** რეკომენდირებულია ჩინური ენის სასწავლო კურსების სილაბუსით გაწერილი პროგრამის და მისაღწევი დონეების გადახედვა და შედარებით უფრო რეალისტური შედეგების დასახვა.

**რჩევ(ებ)ი:** სასურველია გაძლიერდეს სინოლოგიის პროგრამა დარგის კვალიფიციური და პრაქტიკული გამოცდილების მქოე პერსონალით.

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

| კომპონენტი 1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 1 (არაბისტიკა, საბაკალავრო პროკრამა) | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 2 (არაბისტიკა, სამაგისტრო პროგრამა) | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 3 (ირანისტიკა, საბაკალავრო პროგრამა) | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 4 (ირანისტიკა, სამაგისტრო პროგრამა) | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 5 (თურქოლოგია, საბაკალავრო პროგრამა) | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 6 (თურქოლოგია, სამაგისტრო პროგრამა) | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 7 (შორეული აღმოსავლეთი. იაპონისტიკა, საბაკალავრო პროგრამა) | ☐ | ☒ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 8 (შორეული აღმოსავლეთი. სინოლოგია, საბაკალავრო პროგრამა) | ☐ | ☒ | ☐ | ☐ |

## 1.5 სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

**აღწერა** - თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით კლასტერში შემავალი პროგრამების სასწავლო კურსების შინაარსი აღწერილია შესაბამის სილაბუსებში. სწავლის შედეგები (აღწერილი საკვალიფიკაციო ჩარჩოს შესაბამისად), სასწავლო კურსის შინაარსი (ძირითადი თემები) კრედიტების რაოდენობა შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს (ცოდნის, უნარებისა და პასუხისმგებლობა/ავტონომიურობის ნაწილში). სასწავლო კურსები აგებულია სწავლის შედეგებიდან გამომდინარე და უზრუნველყოფს მის მიღწევადობას. კრედიტების, შესაბამისად, საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების რაოდენობა საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებს შეესაბამება. სასწავლო კურსები თანმიმდევრულობა (დალაგების პრინციპი) უზრუნველყოფს სტუდენტის მიერ ცოდნის შეძენას დარგის განვითარების ლოგიკის მიხედვით. პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსი შეესაბამება უმაღლესი განათლების შესაბამისი საფეხურის აღმწერს, დარგობრივ მახასიათებელს, პროგრამის სწავლის შედეგს.

სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა შეესაბამება კურსის სწავლის შედეგებს, სფეროს აქტუალურ მიღწევებს და ითვალისწინებს უახლეს კვლევებს მოცემულ სფეროში, რაც პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობას განაპირობებს.

სასწავლო კურსების დასახელებები მთლიანად შეესაბამება დარგში დამკვიდრებულ კლასიფიკატორებს. სილაბუსებში მოცემულია სწავლების/სწავლის კონკრეტული მეთოდი/მეთოდები, რომლებიც შეესაბამება აღნიშნული კურსის მიზნებსა და დაგეგმილ შედეგებს. სილაბუსები შინაარსით ერთმანეთს უკავშირდებს და პროგრამული კომპეტენციების სრულ სურათს ქმნის.

**ანალიზი** – საბაკალავრო პროგრამებში ყოველი სასწავლო კურსის კრედიტების, ისევე როგორც საკონტაქტო საათების რაოდენობა შეესაბამება კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს; საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათები თანაფარდია და სასწავლო კურსის

სპეციფიკაზეა დაფუძნებული; თუმცა, ზოგიერთ სილაბუსში დასახელებული ლიტერატურა მოძველებულია.

სამაგისტრო პროგრამებში სასწავლო კურსების შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. სასწავლო კურსები ლოგიკურადაა დალაგებული და სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას ემსახურება.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1** (არაბისტიკა, საბაკალავრო პროგრამა)

თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით არაბისტიკის საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კურსები და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. აქედან გამომდინარე, პროგრამული სწავლის შედეგები (ცოდნა, უნარები და პასუხისმგებლობა/ავტონომიურობა) მიღწევადია. სილაბუსებით გათვალსწინებული სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურა, სწავლა/სწავლების მეთოლოგია სილაბუსებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებზე გასვლას უზრუნველყოფს. კურსიებიუს სილაბუსებში გაწერილი შინაარსი შეესაბამება სწავლის შედეგებს, რაც თავის მხრივ კორელაციაშია უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურთან.

მაპროფილებელი სპეციალობის ძირითადი და არჩევითი დისციპლინებისათვის გათვალისწინებული 120 ECTS კრედიტით პროგრამის სწავლის შედეგებზე გასვლა რეალისტურია და მიღწევადი. არაბული ენა წარმოდგენილია ენის 7 კურსითა და სათარჯიმნო პრაქტიკუმით სწავლების დამამთავრებელ ეტაპზე. არაბული ენის სწავლება მარტივიდან რთულისაკენ პროექციას გულისხმობს. ენისთვის გამოყოფილი 6 ECTS კრედიტი (არაბული ენა 1, არაბული ენა 2, არაბული ენა 3, არაბული ენა 4, არაბული ენა 5) და 5 ECTS კრედიტი (არაბული ენა 6, არაბული ენა 7, სათარჯიმნო პრაქტიკუმი), სწავლებისა და სწავლის მეთოდები, კურსების შინაარსში გაწერილი მასალა და ლიტერატურატურა უზრუნველყოფს პროგრამის მიზნის მიღწევას: არაბული სამყაროსთვის საერთო სტანდარტული არაბული ენის პრაქტიკულ ცოდნის დაუფლებას, რომელიც შეესაბამება უცხოური ენის სწავლისა და სწავლების ერთიანი ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს ენობრივი კომპეტენციის B2 დონეს. დარგის მოცულობიდან გამომდინარე გათვალისწინებულია არაბული სამყაროს ისტორიის, ლიტერატურის, ისლამური ცივილიზაციის და ა. შ. კურსები, რითაც პროგრამაში აღწერილი სწავლის შედეგები მიიღწევა და შეესაბამება საერთაშორისო გამოცდილებას.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2** (არაბისტიკა, სამაგისტრო პროგრამა)

თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით კლასტერში შემავალი არაბისტიკის სამაგისტრო პროგრამის სასწავლო კურსების შინაარსი აღწერილია შესაბამის სილაბუსებში. სწავლის შედეგები (აღწერილი საკვალიფიკაციო ჩარჩოს შესაბამისად), სასწავლო კურსის შინაარსი (ძირითადი თემები) კრედიტების რაოდენობა შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს (ცოდნის, უნარებისა და პასუხისმგებლობა/ავტონომიურობის ნაწილში). სასწავლო კურსები აგებულია სწავლის შედეგებიდან გამომდინარე და უზრუნველყოფს მის მიღწევადობას. კრედიტების რაოდენობა საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებს შეესაბამება. პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსი შეესაბამება უმაღლესი განათლების შესაბამისი საფეხურის აღმწერს, დარგობრივ მახასიათებელს, პროგრამის სწავლის შედეგს.

არაბისტიკის სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურის, სასწავლო საგნებისა და სწავლის შედეგების ანალიზით დასტურდება, რომ კურსები სრულად შეესაბამება დარგის სფეროს და პროგრამაში

გაწერილი სწავლის შედეგების მიღწევას უზრუნველყოფს. სასწავლო კურსების შინაარსი შეესაბამება არაბისტიკის სფეროს და მასიტრატურის საფეხურს.

პროგრამის სავალდებულო (60 ECTS კრედიტი), არჩევითი (30 ECTS კრედიტი) სასწავლო კურსები უზრუნველყოფს არაბულ სამყაროში მიმდინარე ენობრივი, ლიტერატურული, ისტორიულ-კულტურული და თანამედროვე საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენებისა და პროცესების არსში სიღრმისეულ წვდომასა და ანალიზის უნარს თანამედროვე სამეცნიერო კვლევის მეთოდების გამოყენებით.

სასწავლო კურსები სწავლის შედეგები თანხვედრაშია პროგრამის სწავლის შედეგებთან. სასწავლო და კვლევითი კომპონენტების შედეგები პროგრამის სწავლის შედეგებს უზრუნველყოფს.

სასწავლო კურსებში გაწერილია: კურსის სახელწოდება (ქართულად და ინგლისურად), კურსის ავტორ(ებ)ი, ლექტორ(ებ)ი, კოდი, სტატუსი, კრედიტების რაოდენობა, საათების მოცულობა (სტუდენტის საათობრივი დატვირთვა - ლექცია, სემინარი, დამოუკიდებელი მუშაობის საათები), კურსზე დაშვების წინაპირობები, მიზანი, სწავლის შედეგები საკვალიფიკაციო ჩარჩოს შესაბამისად, სწავლებისა და სწავლის მეთოდები, შეფასების სისტემა (ფორმები და ქულები), კურსის შინაარსი (ლექცია/სემინარის თემატიკა და ყოველი თემატიკის შესატყვისი სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურა).

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3** (ირანისტიკა, საბაკალავრო პროგრამა)

თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით ირანისტიკის საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კურსები და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. აქედან გამომდინარე, პროგრამული სწავლის შედეგები (ცოდნა, უნარები და პასუხისმგებლობა/ავტონომიურობა) მიღწევადია. სილაბუსებით გათვალსწინებული სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურა, სწავლა/სწავლების მეთოლოგია სწავლის შედეგებზე გასვლას უზრუნველყოფს. კურსიებიუს სილაბუსებში გაწერილი შინაარსი შეესაბამება სწავლის შედეგებს, რაც, თავის მხრივ, კორელაციაშია უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურთან.

მაპროფილებელი სპეციალობის ძირითადი და არჩევითი დისციპლინებისათვის გათვალისწინებული 120 ECTS კრედიტით პროგრამის სწავლის შედეგებზე გასვლა რეალისტურია. სპარსული ენა წარმოდგენილია ენის 7 კურსითა და სათარჯიმნო პრაქტიკუმით სწავლების დამამთავრებელ ეტაპზე. ენისთვის გამოყოფილი 6 ECTS კრედიტი (სპარსული ენა 1, სპარსული ენა 2, სპარსული ენა 3, სპარსული ენა 4, სპარსული ენა 5) და 5 ECTS კრედიტი (სპარსული ენა 6, სპარსული ენა 7, სათარჯიმნო პრაქტიკუმი), სწავლებისა და სწავლის მეთოდები, კურსების შინაარსში გაწერილი მასალა და ლიტერატურატურა უზრუნველყოფს პროგრამის მიზნის მიღწევას: სპარსული ენის პრაქტიკულ ცოდნასა და კომუნიკაციას ენის მატარებელთან. დარგის მოცულობიდან გამომდინარე გათვალისწინებულია ირანის ისტორიის, სპარსული ლიტერატურის, ისლამური ცივილიზაციის და ა. შ. კურსები, რითაც პროგრამაში აღწერილი სწავლის შედეგები მიიღწევა და შეესაბამება საერთაშორისო გამოცდილებას. აღსანიშნავია, რომ პროგრამასთან თანამშრომლობს მოწვეული ირანელი პედაგოგი (ირანის მხარის დაფინანსებით), რომელიც სტუდენტებს ეხმარება სასაუბრო სპარსულის დახვეწაში. ირანის ისტორიასთან, რელიგიასთან, სპარსული ლიტერატურის ისტორიასთან, ირან-საქართველოს ენობრივ და ლიტერატურულ ურთიერთობებთან დაკავშირებული სავალდებულო კურსები დაინტერესების შემთხვევაში ბაკალავრს საქართველოს ისტორიის, ქართული ენისა და ლიტერატურის კვლევისთვის დამხმარე სისტემურ ცოდნას აძლევს.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 4** (ირანისტიკა, სამაგისტრო პროგრამა)

თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, კლასტერში შემავალი ირანისტიკის სამაგისტრო პროგრამის სასწავლო კურსების შინაარსი აღწერილია შესაბამის სილაბუსებში. სწავლის შედეგები (აღწერილი საკვალიფიკაციო ჩარჩოს შესაბამისად), სასწავლო კურსის შინაარსი (ძირითადი თემები) კრედიტების რაოდენობა შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს (ცოდნის, უნარებისა და პასუხისმგებლობა/ავტონომიურობის ნაწილში). სასწავლო კურსები აგებულია სწავლის შედეგებიდან გამომდინარე და უზრუნველყოფს მის მიღწევადობას. კრედიტების რაოდენობა საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებს შეესაბამება. პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსი შეესაბამება უმაღლესი განათლების შესაბამისი საფეხურის აღმწერს, დარგობრივ მახასიათებელს, პროგრამის სწავლის შედეგს.

სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურის, სასწავლო საგნებისა და სწავლის შედეგების ანალიზით დასტურდება, რომ კურსები სრულად შეესატყვისება დარგის სფეროს და პროგრამაში გაწერილი სწავლის შედეგების მიღწევას უზრუნველყოფს. სასწავლო კურსების შინაარსი შეესაბამება ირანისტიკის სფეროს და მასიტრატურის საფეხურს.

პროგრამის სავალდებულო (60 ECTS კრედიტი), არჩევითი (30 ECTS კრედიტი) უზრუნველყოფს სპეციალისტის მომზადებას, რომელიც ავლენს ძველი, საშუალო, კლასიკური და თანამედროვე ეპოქის ირანულ სამყაროში მიმდინარე ენობრივი, ლიტერატურული, რელიგიური და ისტორიულ-კულტურული პროცესების ღრმა და სისტემურ ცოდნას და მათი ანალიზის უნარს.

სასწავლო კურსები სწავლის შედეგები თანხვედრაშია პროგრამის სწავლის შედეგებთან. სასწავლო და კვლევითი კომპონენტების შედეგები პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას უზრუნველყოფს.

სასწავლო კურსებში გაწერილია: კურსის სახელწოდება (ქართულად და ინგლისურად), კურსის ავტორ(ებ)ი, ლექტორ(ებ)ი, კოდი, სტატუსი, კრედიტების რაოდენობა, საათების მოცულობა (სტუდენტის საათობრივი დატვირთვა - ლექცია, სემინარი, დამოუკიდებელი მუშაობის საათები), კურსზე დაშვების წინაპირობები, მიზანი, სწავლის შედეგები საკვალიფიკაციო ჩარჩოს შესაბამისად, სწავლებისა და სწავლის მეთოდები, შეფასების სისტემა (ფორმები და ქულები), კურსის შინაარსი (ლექცია/სემინარის თემატიკა და ყოველი თემატიკის შესატყვისი სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურა).

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 5** (თურქოლოგია, საბაკალავრო პროგრამა)

თსუ-ს თურქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში მოცემული სასწავლო კურსები, მათში ასახული შედეგების გათვალისწინებით, შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. კურსების შედეგები შესაბამისობაშია საბაკალავრო საფეხურის მოთხოვნებთან. სასწავლო კურსების კრედიტების გადანაწილება და ასევე, პროგრამაში შემავალ საგანთა საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების თანაფარდობა, უმეტესწილად, მოცემულია კურსის შინაარსის გათვალისწინებით.

მაპროფილებელი სპეციალობის ძირითადი და არჩევითი დისციპლინებისათვის გათვალისწინებული 120 ECTS კრედიტით პროგრამის სწავლის შედეგებზე გასვლა რეალისტურია და მიღწევადი. თურქული ენა წარმოდგენილია ენის 7 კურსითა და სათარჯიმნო პრაქტიკუმით სწავლების დამამთავრებელ ეტაპზე. ენისთვის გამოყოფილი 6 ECTS კრედიტი

(თურქული ენა 1, თურქული ენა 2, თურქული ენა 3, თურქული ენა 4, თურქული ენა 5) და 5 ECTS კრედიტი (თურქული ენა 6, თურქული ენა 7, სათარჯიმნო პრაქტიკუმი), პროგრამა ითვაისწინებს ოსმალური ენის ერთ სემესტრიან კურსსაც, რომელზე დაშვების წინაპირობაა თურქული ენა 4. სწავლებისა და სწავლის მეთოდები, კურსების შინაარსში გაწერილი მასალა და ლიტერატურატურა უზრუნველყოფს პროგრამის მიზნის მიღწევას: სტუდენტმა შეიძინოს თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი ზოგადი თეორიული და პრაქტიკული ცოდნა თურქულ და ოსმალურ ენებში, თურქეთის ისტორიაში, თურქული ენობრივი სისტემებისა და ლიტერატურის ისტორიაში, კულტურასა და რელიგიაში.

შესაბამისად, პროგრამაში გათვალისწინებულია თურქეთის ისტორიის, ლიტერატურის, თანამედროვე თურქეთის (პოლიტიკა, ეკონომიკა, საზოგადოება), თურქულ-ქართული ენობრივი და ლიტერატურული ურთიერთობების სავალდებულო სასწავლო კურსები. ამავე მიზანს ემსახურება არჩევითი კურსებიც: ახლო აღმოსავლეთის რეგიონის ისტორიის, არქეოლოგიის, ისლამური ხელოვნებისა და ა. შ. შემსწავლელი დისციპლინები.

ზოგადად, სილაბუსებში მითითებული სასწავლო მასალა და გათვალსწინებული სავალდებულო თუ დამატებითი ლიტერატურა, უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. ექსპერტთა ჯგუფმა შემთხვევითობის პრინციპით შეამოწმა სილაბუსებში მითითებული ლიტერატურა და ნაწილი არ აღმოჩნდა უსდ-ს ბიბლიოთეკაში. როგორც გაირკვა, ეს წიგნები ინახება თურქოლოგიის დეპარტამენტის ბიბლიოთეკაში და სტუდენტებთან ინტერვიუს დროსაც გამოვლინდა, რომ სილაბუსით გათვალისწინებული სასწავლო მასალები მათ მიეწოდებათ ელექტრონული ფორმით.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 6** (თურქოლოგია, სამაგისტრო პროგრამა)

თურქოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილი სასწავლო კურსები და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. კურსების შედეგები კი შესაბამისობაშია სამაგისტრო საფეხურის მოთხოვნებთან.

პროგრამის სავალდებულო (60 ECTS კრედიტი), არჩევითი (30 ECTS კრედიტი) უზრუნველყოფს თურქოლოგიის დარგში ფუნდამენტური თეორიული და პრაქტიკული ცოდნით აღჭურვილი სპეციალისტის მომზადებას.

სასწავლო კურსებში გაწერილია: კურსის სახელწოდება (ქართულად და ინგლისურად), კურსის ავტორ(ებ)ი, ლექტორ(ებ)ი, კოდი, სტატუსი, კრედიტების რაოდენობა, საათების მოცულობა (სტუდენტის საათობრივი დატვირთვა - ლექცია, სემინარი, დამოუკიდებელი მუშაობის საათები), კურსზე დაშვების წინაპირობები, მიზანი, სწავლის შედეგები საკვალიფიკაციო ჩარჩოს შესაბამისად, სწავლებისა და სწავლის მეთოდები, შეფასების სისტემა (ფორმები და ქულები), კურსის შინაარსი (ლექცია/სემინარის თემატიკა და ყოველი თემატიკის შესატყვისი სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურა).

სასწავლო კურსები: თანამედროვე თურქული ენათმეცნიერება და კვლევის მეთოდები, თურქული სამეტყველო ეტიკეტი და ოფიციალური საქმიანი სტილი, თურქული ენის ისტორია, მსოფლიო ლიტერატურული პროცესები და თურქული ლიტერატურის კვლევის თანამედროვე მეთოდები, თურქების ყოფითი კულტურა, თურქეთელი ქართველების „ილუზორული სამშობლო“ მეორე და მესამე კულტურის ქვეყნებში: მიგრაცია, დიასპორა, თურქული

პარემიოლოგია (არჩევითი), თურქული ფრაზეოლოგია (არჩევითი), თურქული წარმომავლობის ხალხთა ლიტერატურები (აზერბაიჯანული, თურქმენული, უზბეკური, ყაზახური და ყირგიზული ლიტერატურის მაგალითზე) (არჩევითი) განხორციელდება თურქულ ენაზე, შესაბამისად, ზემოხსენებული კურსების სილაბუსებში შინაარსი (თემაკიტა კვირების მიხედვით) წარმოდგენილია თურქულად.

პროგრამის სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა ძირითადად შეესაბამება სასწავლო კურსების სწავლის შედეგებს, თუმცა, სილაბუსეში მითითებული ლიტერატურა, რომელიც ინახება თურქოლოგიის დეპარტამენტში, საჭიროა სრულად განთავსდეს უსდ-ს ბიბლიოთეკაში.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 7** (შორეული აღმოსავლეთი. იაპონისტიკა, საბაკალავრო პროგრამა)

იაპონისტიკის საბაკალავრო პროგრამა შეესაბამება იაპონური ენის სწავლების თანამედროვე მეთოდებს. საბაკალავრო პროგრამა პასუხობს საერთასორისოდ აღიარებული იაპონური ენის დონის განმსაზღვრელი ტესტირების - JLPT-ის მიერ ჩამოყალიბებულ სტანდარტებს გარკვეულ დონემდე.

აღნიშნულ პროგრამაში გათვალისწინებული სასწავლო საათების რაოდენობა და მითითებული სახელმძღვანელოები არის სათანადოდ შერჩეული და პროგრამის განხორციელების შედეგად დგება სასურველი შედეგი.

იკვეთება შეუსაბამობა პროგრამების გარკვეულ ნაწილში:

1. იაპონური ენა 1,2,3,4-ში მითითებული 2005 წელს გამოცემული სახელმძღვანელო "მინნა ნო ნიჰონგო იაპონური ენა ყველასთვის 1,2"-ის, რომელიც უნდა ჩანაცვლდეს 2021 წლის ვერსიით. „იაპონური ენა 1"-ის ფარგლებში მითითებული მთავარი სახელმძღვანელო „მინნა ნო ნიჰონგო 1 - იაპონური ენა ყველას 1"- არის წიგნის არაოფიციალური და არალიცენზირებული თარგმანი და გამოცემა, აღნიშნული სახელმძღვანელო საჭიროა ჩანაცვლდეს 2021 წელს გამოცემული იგივე სახელწოდების სახელმძღვანელოთი რომელიც წარმოადგენს წიგნის ოფიციალურ, ქართულად ნათარგმნ და ლიცენზირებულ გამოცემას. რაც შეეხება წიგნის მეორე ნაწილს "მინნა ნო ნიჰონგო 2 - იაპონური ენა ყველას 2", პროგრამის კურატორმა უნდა უზრუნველყოს მისი ლიზენცირებული ვერსიით ჩანაცვლება, წიგნის გამოცემიდან უმოკლეს ვადებში.
2. უნდა განისაზღვროს იაპონური ენა 4,5,6,7-ში მითითებული სახელმძღვანელო "მარუგოტო"-ს გამოყენების წესები და დაინერგოს ლექტორის ან მოწვეული ლექტორის ტრეინინგის პრაქტიკა.
3. იაპონური ენა 6-ის პროგრამის სწავლის შედეგებში მითითებულია, რომ სტუდენტს მიღებული ცოდნით შეეძლება იეროგლიფებით შესრულებული ნებისმიერი სირთულის ტექსტების გრამატიკული ანალიზი და გარჩევა. მიმაჩნია, რომ პროგრამაში ათვისებული მასალის რაოდენობის თანხვედრით აღნიშნული შედეგი ვერ იქნება სრულად მიღწეული.
4. იაპონური ენა 7-ში მითითებული მიზნების ერთ-ერთი ნაწილი, სადაც აღნიშნულია, რომ სტუდენტი 1108 იეროგლიფის ცოდნით შეძლებს საგაზეთო სტატიებისა და ინტერნეტ რესურსებში ლექსიკონის დაუხმარებლად ტექსტის წაკითხვას ქმნის ცრუ მოლოდინს და არ შეესაბამება რეალობას.

იაპონიის განათლების სამინისტროს აქვს შექმნილი ე.წ "ჯოიო იეროგლიფების ნუსხა", რომელიც 2010 წელს განახლდა და სიაში ამჟამად შედის 2,136 იეროგლიფი.

იაპონიის განათლების სამინისტროს განცხადებით, ეს ის მინიმალური იეროგლიფების რაოდენობაა, რომელიც უნდა იცოდეს იაპონელმა სკოლის დასრულებისას, რათა შეძლოს გაზეთების, ლიტერატურისა და სტატიების კითხვა. 1108 იეროგლიფი კი ფაქტობრივად ამ ნუსხის ნახევარ რაოდენობას წარმოადგენს. შესაბამისად სტუდენტი ვერ შეძლებს პროგრამაში გათვალისწინებული მასალის ათვისებით ნებისმიერი ტექსტის ანალიზს, თარგმანს და სტატიების კითხვას ლექსიკონის გარეშე.

5. იაპონური ენა 6,7-ში იაპონელი ლექტორის ჩართულობა ლექციებში პროგრამაში არ ფიქსირდება.

6. იაპონიის ახალი და უახლესი ისტორია:

- მითითებული სავალდებულო, ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა გამოცემულია 2000, 2012 წელს, რაც უკვე არარელევანტურ წყაროდ ითვლება, რადგან ძალიან ბევრ საკითხში მნიშვნელოვანი ახალი ცნობების აღმოჩენამ ისტორიული მოვლენები საკმაოდ შეცვალა. საჭიროა მთავარი სახელმძღვანელოს და ასევე დამხმარე სახელმძღვანელოების განახლება ან ჩანაცვლება. მთავარი ქართულენოვანი სახელმძღვანელო გამოიცა 2000 წელს, აღნიშნული სახელმძღვანელო როგორც ჩანს ერთ-ერთ წყაროდ იყენებდა რუსულენოვან წიგნებს, რადგან თარგმანში მითითებული იაპონური დასახელებები რუსული წარმოთქმით არის აღწერილი, მაგ.: ჰიროშიმას ნაცვლად - ჰიროსიმა.

  მასალების განახლებამდე საჭიროა გაეცნოთ იაპონური ენის ბგერითი სისტემის ქართულად ტრანსკრიფცია-ტრანსლიტერაციის სახელმძღვანელოს წესებს, რომელზეც იმუშავა იაპონელ-ქართველოლოგმა ბ-მა იასუჰირო კოჯიმამ. ის ამჟამად ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტში მოწვეულ ლექტორად მუშაობს.

  ამავე დროს, მითითებულ მთავარ და დამხმარე მასალებში ბევრი ფაქტი აღარ არის რელევანტური, რადგან 21 წლის შემდეგ მრავალი ისტორიული ახალი ფაქტი გამოვლინდა, რომელმაც მთლიანად შეცვალა ნარატივი. მაგ: იაპონია-კორეას ურთიერთობები, კომფორტის ქალი ინციდენტი და კუნძულთაშორისო დავა მთლიანად ახალი პერსპექტივით უნდა გადაიხედოს. დამხმარე ლიტერატურიდან საჭიროა, რომ ამოღებული იყოს რუსულენოვანი მასალა, რადგან რუს ავტორებს პოლიტიკური მიზეზების გამო აქვთ ისეთი ხედვა, რომელზეც ზეგავლენას ახდენს სახელმწიფო და მათი გეოგრაფიული ლოკაცია.

- 2014 წელს გამოცემული „ფაქტები იაპონიის შესახებ“ არ წარმოადგენს ნაშრომს და არის ე.წ ვიკიპედიური ტიპის 100-150 სიტყვიანი სტატიების კრებული, რომელიც უმეტესად ეხება კულტურის ისეთ ნაწილებს როგორიც არის მხატვრობა, ხელოვნება, მუსიკა და გეოგრაფია.

- დამხმარე მასალების ნუსხაში მითითებულია რუსულენოვანი წიგნები, რომელიც 1999 წლით თარიღდება. რუსულენოვან წიგნებში აღწერილი ფაქტები ხშირ შემთხვევაში არის ზეგავლენით და პროპაგანდით გაჯერებული. საჭიროა აღნიშნული დამატებითი ლიტერატურა თანამედროვე წყაროთი ჩანაცვლდეს, რაც სავსებით ხელმისაწვდომია ივანე ჯავახიშვილის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში და იაპონური ენის კაბინეტში

განთავსებულ წიგნებშიც, რომელიც დონაციის სახით მიიღო კაბინეტმა იაპონიის ფონდისგან.

- პროგრამაში მითითებული მიზანი, რომ სტუდენტს ექნება წარმოდგენა თუ როგორ მუშაობს თანამედროვე იაპონიის ეკონომიკა და რა მდგომარეობაა ამჟამად იაპონიაში არ მიიღწევა. შეიძლება ითქვას, რომ იაპონიის ეკონომიკური რეფორმა - აბეკონომიქსი და ბოლო 20 წლის განმავლობაში მომხდარ მოვლენეთან დაკავშირებით ინფორმაციას სტუდენტი ვერ მიიღებს.
- იაპონიის ლიტერატურის ისტორია, გენდერი და საზოგადოება თანამედროვე იაპონიაში, იაპონური ენის ლინგვისტური ანალიზი, თარგმანის თეორია და პრაქტიკა იაპონურ ენაში - აღნიშნულ პროგრამებთან დაკავშირებით შენიშვნები არ არის.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 8** (შორეული აღმოსავლეთი. სინოლოგია, ბაკალავრის საფეხური)

სინოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმი შედგენილია ისე, რომ უზრუნველყოს კურსდამთავრებული მაღალი სტანდარტების შესაბამისი საბაკალავრო დონის განათლებით და აღჭურვოს პროფესიული კომპეტენციებით.

ძირითადი სფეროს კურსების მიხედვით ენობრივი კომპეტენციის დადასტურების ნაწილში ჩნდება კითხვები, რადგან სილაბუსში აღწერილ შედეგებზე სტუდენტი ვერ გავა სილაბუსში აღწერილი შინაარსით.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საჭიროა ჩინური ენის რიგი სილაბუსების გადახედვა (ჩინური 3, 4, 5, 6, 7 კერძოდ, საჭიროა სასწავლო ლიტერატურის, ენის საერთაშორისო სტანდარტის დონის და შესასწავლი იეროგლიფების/ლექსიკური ერთეულების რაოდენობის შესაბამისობაში მოყვანა, რომ სწორად, რეალისტურად განისაზღვროს და მიღწეულ იქნას ენის კომპეტენციის დასახული შედეგი.
- სასწავლო კურსი ჩინური ენა 3 სილაბუსში მისაღწევი ჩინური ენის დონედ განსაზღვრულია საერთაშორისო სტანდარტის მესამე დონე HSK 3 (სტანდარტი გულისხმობს 600 ლექსიკურ ერთეულს), ხოლო სილაბუსში მითითებული ლექსიკური ერთეულების რაოდენობა არის 2000 რაც შეესაბამება ჩინური ენის საერთაშორისო სტანდარტის მეოთხე დონეს (HSK 4).
- სასწავლო კურსი ჩინური 5 ის სილაბუსის მიხედვით ისწავლება HSK 5 დონე (ქვედა მაღალი, დაახლოებით C1 შესაბამისი), ხოლო ძირითადი სახელმძღვანელოს დონე შეესაბამება საშუალო დონეს).
- სასწავლო კურსები ჩინური 5, 6, 7 სილაბუსების მიხედვით ძირითად სახელმძღვანელოდ მითითებულია "ხანიუ ძიაოჩენ"-ის მეორე და მესამე ტომი, აღნიშნული სახელმძღვანელოს თითო ტომში მოცემულია მაქსიმუმ 500-600 სიტყვა, რაც ავტომატურად გულისხმობს იეროგლიფების უფრო ნაკლებ რაოდენობას ვიდრე ლექსიკურ ერთეულს, შესაბამისად იკვეთება დონის შეუსაბამობა შედეგში

მითითებულ 2500 და 3500 იეროგლიფების რაოდენობასა და რეალურად მიღწევად დონეს შორის.

- სასწავლო კურსები ჩინური ენა 6 და ჩინური ენა 7 ეთმობა HSK6 (ზედა მაღალი, დაახლოებით C2 დონის პროგრამის გავლას, რაც ხანგრძლივი გამოცდილების მიხედვით ძალიან ძნელადმისაღწევია უცხოელი სტუდენტისთვის ჩინეთში სტაჟირების გარეშე. დაახლოებით 120 საკონტაქტო საათის სწავლის პირობებში, მეშვიდე სემესტრში, ჩინეთში სტაჟირების გარეშე საუკეთესო ვარიანტში სტუდენტები აღწევენ HSK5 დონეს.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამები, სასწავლო გეგმები, სასწავლო კურსების სილაბუსები (დანართი 2)
- კურიკულუმის რუკა (დანართი 2)
- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცედურა (აკად. საბჭოს დადგენილება 24.02.2020, №16/2020) (დანართი 4)
- ინტერვიუს შედეგები

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:** უსდ-ს ბიბლიოთეკაში განთავსდეს საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების სასწავლო კურსებში მითითებული ლიტერატურა.

**კლასტერის საერთო რჩევები:** სასურველია, განახლდეს საბიბლიოთეკო წიგნადი ფონდი უახლესი ქართული და უცხოურენოვანი დარგობრივი ლიტერატურით.

**რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:**

**პროგრამა 1** (არაბისტიკა, საბაკალავრო პროგრამა)

**რეკომენდაცი(ებ)ი:** უსდ-ს ბიბლიოთეკაში განთავსდეს საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კურსებში მითითებული ლიტერატურა.

**რჩევ(ებ)ი:** მოცემულ სტანდართან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფს რჩევები არ აქვს.

**პროგრამა 2** (არაბისტიკა, სამაგისტრო პროგრამა)

**რეკომენდაცი(ებ)ი:** მოცემულ სტანდართან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფს რეკომენდაციები არ აქვს.

**რჩევ(ებ)ი:** მოცემულ სტანდართან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფს რჩევები არ აქვს.

**პროგრამა 3** (ირანისტიკა, საბაკალავრო პროგრამა)

**რეკომენდაცი(ებ)ი:** მოცემულ სტანდართან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფს რეკომენდაციები არ აქვს.

**რჩევ(ებ)ი:** მოცემულ სტანდართან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფს რჩევები არ აქვს.

**პროგრამა 4** (ირანისტიკა, სამაგისტრო პროგრამა)

**რეკომენდაცი(ებ)ი:** მოცემულ სტანდართან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფს რეკომენდაციები არ აქვს.

**რჩევ(ებ)ი:** მოცემულ სტანდართან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფს რჩევები არ აქვს.

**პროგრამა 5** (თურქოლოგია, საბაკალავრო პროგრამა)

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

1. თურქოლოგიის პროგრამის კურსებისთვის ლექტორის/კურსის ხელმძღვანელის მიერ შედგენილი „რიდერები“ განთავსდეს უნივერსიტეტის ბილიოთეკაში.
2. უსდ-ს ბიბლიოთეკაში განთავსდეს თურქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კურსებში მითითებული ლიტერატურა.

**რჩევ(ებ)ი:** მოცემულ სტანდართან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფს რჩევები არ აქვს.

**პროგრამა 6** (თურქოლოგია, სამაგისტრო პროგრამა)

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

1. უსდ-ს ბიბლიოთეკაში განთავსდეს თურქოლოგიის სამაგისტრო პროგრამის სასწავლო კურსებში მითითებული ლიტერატურა.

**რჩევ(ებ)ი:** მოცემულ სტანდართან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფს რჩევები არ აქვს.

**პროგრამა 7** (შორეული აღმოსავლეთი. იაპონისტიკა, საბაკალავრო პროგრამა)

**რეკომენდაცი(ებ)ი:** რეკომენდირებულია იაპონური ენის სასწავლო კურსში მითითებული მთავარი სახელმძღვანელო “მინნა ნო ნიჰონგო 1 - იაპონური ენა ყველას” შეცვლა ახალი, 2021 წლის ლიცენზირებული გამოცემით.

,,იაპონური ენა“ 4,5,6,7-ის პროგრამაში მითითებული წიგნის „მარუგოტო“-ს გამოყენებამდე ტრეინინგის დანერგვა ან ლექტორის, მოწვეული ლექტორის სამასწავლებლო კვალიფიკაციის ასამაღლებელი 6 კვირიან პროგრამაზე გაგზავნა ურავას უნივერსიტეტში (აღნიშნული ტრეინინგი ფინანსდება იაპონიის ფონდის - Japan Foundation-ის მიერ) რათა ლექტორმა შეისწავლოს ამ წიგნთან ურთიერთობა და გამოყენების წესები.

რეკომენდირებულია გადაიხედოს იაპონური 6 და იაპონური 7-ის შედეგები/მოლოდინის ნაწილი, რადგან მითითებული დებულებები, რომ სტუდენტები შეძლებენ პროგრამის განმავლობაში ნასწავლი 1108 იეროგლიფით ლექსიკონის გარეშე სტატიების კითხვას და თარგმანს არ შეესაბამება რეალობას.

იაპონური ენა 5,7-ში უფრო მეტი ყურადღება და დრო დაეთმოს ბიზნეს ურთიერთობებისთვის განკუთვნილი იაპონური ენის „კეიგო“-ს შესწავლას, თუ ამ ნაწილში იქნება მოწვეული იაპონელი ლექტორი, სტუდენტებს უფრო გაუმარტივდებათ შესწავლა.

იაპონიის ახალი და უახლესი ისტორია - რეკომენდირებულია მასალების განახლება და თანამედროვე ლიტერატურით ჩანაცვლება, ასევე დამხმარე რუსულ ენოვანი წყაროების ინგლისურენოვანი წყაროებით ჩანაცვლება. ასევე იაპონიაში 2000-2021 წლამდე მომხდარი მოვლენების შეტანა სასწავლო პროგრამაში, რომ სტუდენტმა გაიაზროს და გაეცნოს იაპონიაში მიმდინარე პოლიტიკურ სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ პროცესებს.

**რჩევ(ებ)ი:**

იაპონური ენა 6,7-ის სასწავლო პროგრამაში არ ეთმობა ყურადღება საქმიანი იაპონურის, ე.წ “ბიზნეს იაპონური ენის” სათანადო დონეზე შესწავლას, რაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობაა რომ სტუდენტმა მომავალში შეძლოს შეძენილი ცოდნის გამოყენება და დასაქმება.

იმისთვის რომ სტუდენტს გამოუმუშავდეს შესაბამისი უნარები, რათა სასწავლო კურსის შემდგომ შეძლოს სწავლის გაგრძელება ან დასაქმება იმ სფეროში, სადაც გამოიყენება იაპონური ენა, მას აუცილებლად დაჭირდება ბიზნეს ურთიერთობებისთვის დამახასიათებელი უნარ-ჩვევების და საუბრის - “კეიგოს” შესწავლა.

კეიგოს - იგივე იაპონური ზრდილობიან სასაუბრო ფორმას და საქმიანი ელექტრონული ფოსტის წერილის წერას იაპონიაში ცალკეულ ენადაც კი აღიარებენ. წერის და საუბრის ინტონაცია, გამოყენებული გრამატიკული ფორმები და ლექსიკა ძალიან განსხვავდება ჩვეულებრივი, ყოველდღიური იაპონურისგან და ის არ გამომუშავდება ბუნებრივად ენის შესწავლის განმავლობაში. იაპონიაში მიაჩნიათ, რომ თუ პირმა არ იცის კეიგო, ის ვერ შეძლებს დასაქმებას. კეიგო იაპონიაში იაპონელებისთვისაც კი ისწავლება ცალკე საგნად ან ნაწილდება დამამთავრებელი კურსის ლექციებზე. კეიგოს დაუფლებას დიდი ყურადღება ეთმობა და მისი სპეციფიკიდან გამომდინარე მიზანშეწონილი იქნება თუ იაპონური ენის იაპონელი სპეციალისტი აქტიურად ჩაერთვება ლექციებში, რომ სტუდენტებმა გაიარონ სათანადო პრაქტიკა და უკეთ აითვისონ იაპონური ენის სპეციფიკის ეს მნიშვნელოვანი ნაწილი.

**პროგრამა 8** (შორეული აღმოსავლეთი. სინოლოგია, საბაკალავრო პროგრამა)

**რეკომენდაცი(ებ)ი:** რეკომენდირებულია **სასწავლო კურსების** ,,ჩინური ენა“ სილაბუსით გაწერილი მიზნებისა და შედეგების და საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების/ მისაღწევი ენის ფლობის დონეების გადახედვა და შედარებით უფრო რეალისტური შედეგების დასახვა.

**რჩევ(ებ)ი:** მოცემულ სტანდართან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფს რჩევები არ აქვს.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

| კომპონენტი<br>1.5 სასწავლო კურსი/საგანი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| **პროგრამა 1 (არაბისტიკა, საბაკალავრო პროკრამა)** | ☐ | ☒ | ☐ | ☐ |
| **პროგრამა 2 (არაბისტიკა, სამაგისტრო პროგრამა)** | ☐ | ☒ | ☐ | ☐ |
| **პროგრამა 3 (ირანისტიკა, საბაკალავრო პროგრამა)** | ☐ | ☒ | ☐ | ☐ |
| **პროგრამა 4 (ირანისტიკა, სამაგისტრო პროგრამა)** | ☐ | ☒ | ☐ | ☐ |
| **პროგრამა 5 (თურქოლოგია, საბაკალავრო პროგრამა)** | ☐ | ☒ | ☐ | ☐ |
| **პროგრამა 6 (თურქოლოგია, სამაგისტრო პროგრამა)** | ☐ | ☒ | ☐ | ☐ |
| **პროგრამა 7 (შორეული აღმოსავლეთი. იაპონისტიკა, საბაკალავრო პროგრამა)** | ☐ | ☒ | ☐ | ☐ |
| **პროგრამა 8 (შორეული აღმოსავლეთი. სინოლოგია, საბაკალავრო პროგრამა)** | ☐ | ☒ | ☐ | ☐ |

## პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

| 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 1 (არაბისტიკა, საბაკალავრო პროკრამა) | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 2 (არაბისტიკა, სამაგისტრო პროგრამა) | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 3 (ირანისტიკა, საბაკალავრო პროგრამა) | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 4 (ირანისტიკა, სამაგისტრო პროგრამა) | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 5 (თურქოლოგია, საბაკალავრო პროგრამა) | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 6 (თურქოლოგია, სამაგისტრო პროგრამა) | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 7 (შორეული აღმოსავლეთი. იაპონისტიკა, საბაკალავრო პროგრამა) | ☐ | ☒ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 8 (შორეული აღმოსავლეთი. სინოლოგია, საბაკალავრო პროგრამა) | ☐ | ☒ | ☐ | ☐ |

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

### 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

აღმოსავლეთმცოდნეობის კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით პროგრამებზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურია და გამჭვირვალე, შეესაბამება სწავლების საფეხურს. დაშვების წინაპირობები ლოგიკურადაა დაკავშირებული პროგრამის შინაარსთან, სწავლის შედეგებთან, სწავლების საფეხურთან, მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და სწავლების ენასთან, უზრუვნეყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა ჩართვას პროგრამაში და შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. პროგრამაზე სტუდენტთა მიღება ხორციელდება სტუდენტთა რაოდენობის დაგეგმვის მეთოდოლოგიის შესაბამისად.
პროგრამებზე დაშვების წინაპირობები ხელმისაწვდომია ყველასთვის: ინფორმაცია განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და მისი გაცნობა შესაძლებელია სოციალური ქსელებითაც. დამატებითი ინფორმაცია აპლიკანტებს მიეწოდებათ ღია კარის დღეებზე და საინფორმაციო შეხვედრებზე.

საბაკალავრო პროგრამებზე დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება და ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარება, რითაც უზრუნველყოფილია პროგრამის დასაძლევად საჭირო ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე პირთა ჩარიცხვა პროგრამაზე. ამრიგად, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა ლოგიკურადაა დაკავშირებული სწავლების საფეხურსა და შედეგებთან. საერთო ეროვნული გამოცდების გარეშე პროგრამაზე ჩარიცხვა შესაძლებელია მხოლოდ უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის №224/ნ ბრძანება). პროგრამა ღიაა ასევე შიგა და გარე მობილობისთვის.

კლასტერში წარმოდგენილი საბაკალავრო პროგრამების დაშვების წინაპირობა საერთოა .

პროგრამებზე დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება და ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარება, რითაც უზრუნველყოფილია პროგრამის დასაძლევად საჭირო ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე პირთა ჩარიცხვა პროგრამაზე. ამრიგად, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა ლოგიკურადაა დაკავშირებული სწავლების საფეხურსა და შედეგებთან. საერთო ეროვნული გამოცდების გარეშე პროგრამაზე ჩარიცხვა შესაძლებელია მხოლოდ უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის №224/ნ ბრძანება). პროგრამა ღიაა ასევე შიგა და გარე მობილობისთვის.

უცხო ქვეყნის მოქალაქეების ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. აგრეთვე, შიდა შესარჩევი კონკურსის შედეგების საფუძველზე.

| პროგრამა 7 (შორეული აღმოსავლეთი. იაპონისტიკა, საბაკალავრო პროგრამა) | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 8 (შორეული აღმოსავლეთი. სინოლოგია, საბაკალავრო პროგრამა) | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

## 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით.

### 3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასა და კარიერულ განვითარებაზე კონსულტაციასა და მხარდაჭერას პროგრამაში ჩართული პირების ან/და დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების მიერ. ასევე, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მისი სწავლების პროცესი იყოს მრავალფეროვანი და ამის შესახებ იღებს შესაბამის ინფორმაციასა და რეკომენდაციას პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

კლასტერული შეფასება

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის კლასტერული პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილ საბაკალავრო (არაბისტიკა, თურქოლოგია, ირანისტიკა, სინოლოგია და იაპონისტიკა) და სამაგისტრო პროგრამების (ირანისტიკა, არაბისტიკა და თურქოლოგია) სტუდენტებს უნივერსიტეტი პროგრამების აკადემიურ და დამხმარე პერსონალთან ერთად ადმინისტრაციისა და დეკანატის დახმარებით ხელს უწყობს

სტუდენტთა აკადემიურ პროგრესს. თითოეული პროგრამა ცალკეულად იძლევა საშუალებასა და რესურსს, რათა სტუდენტებმა გაიარონ ინდივიდუალური და ჯგუფური კონსულტაციები შესაბამის აკადემიურ პერსონალთან თუ მოწვეულ ლექტორებთან. აღსანიშნავია, რომ კლასტერში მოცემული რვავე პროგრამის სტუდენტთა კონტიგენტი არის მცირერიცხოვანი, რაც საშუალებას აძლევს აკადემიურ პერსონალს აკადემიური დატვირთვის შესაბამისი საკონსულტაციო დრო დაუთმონ სტუდენტებს და მათთან ინდივიდუალურ დონეზე შეძლონ სტუდენტის აკადემიურ განვითარებაზე ზრუნვა.

კლასტერში დაჯგუფებული პროგრამის სტუდენტები, სხვა პროგრამების სტუდენტების მსგავსად, ჩარიცხვისთანავე იღებენ უნივერსიტეტისგან ზოგად საკონსულტაციო მომსახურებას, რომელსაც უნივერსიტეტი სწავლის დაწყების პირველივე კვირაში გეგმავს. ზოგადი კონსულტაცია მოიცავს იმ სახელმძღვანელო ინფორმაციის გაცნობას სტუდენტებისთვის, რაც მათ შემდგომი აკადემიური ცხოვრებისთვის ესაჭიროებათ. ამავდროულად, თითოეული პროგრამისთვის მოქმედებს ტუტორიუმი, რომლის ფარგლებშიც შესაბამისი პროგრამის ტუტორი სტუდენტებს სიღრმისეულად აცნობს პროგრამის სხვადასხვა ნიანსებსა და დეტალებს, რაც აკადემიური პროცესის წარმატებულად განვითარებაში დაეხმარება. აღნიშნული კონსულტაციები და ტუტორიუმები მიზნად ისახავს სტუდენტების საუნივერსიტეტო გარემოში ინტეგრაციას.

სტუდენტები შეფასების კრიტერიუმებსა და მექანიზმებს ეცნობიან წინასწარ LMS სისტემაში ატვირთული სილაბუსებისა საშუალებით. ამავდროულად თითოეული ლექტორი შეფასების სისტემას და მექანიზმებს სასწავლო სემესტრის დაწყების წინ აცნობს სტუდენტებს, რის საფუძველზეც სტუდენტი ინფორმირებულია სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და მისი ეფექტური განხორციელების შესახებ. LMS სისტემა არის სტუდენტთა და ლექტორთა პორტალი, სადაც სტუდენტები უწყვეტად იღებენ ინფორმაციას აკადემიური პროცესის შესახებ, როგორიცაა საგნების არჩევა, შეფასების სისტემა და მექანიზმები, ლექტორთან კომუნიკაცია, ადმინისტრაციისგან ინფორმაციის მიღება და სხვა. გამოცდების ჩატარებაზე პასუხისმგებელია საგამოცდო ცენტრი, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტთა შეფასების სამართლიანობასა და გამჭირვალობას.

კლასტერული პროგრამების ფარგლებში სტუდენტებს კარიერული და აკადემიური განვითარების საშუალებას უნივერსიტეტი სხვადასხვა მიმართულებით სთავაზობს, როგორიცაა დასაქმების შესაძლებლობები, კვლევით პროექტებში, განვითარების პროექტებსა, კონფერენციებსა და სიმპოზიუმებში ჩართულობის საშუალება, პუბლიკაციების გამოქვეყნება და გაცვლით პროექტებში მონაწილეობის შესაძლებლობა. თვითშეფასების ანგარიშიდან, ბაზრის კვლევიდან და ჩატარებული ინტერვიუებიდან იკვეთება, რომ კლასტერული პროგრამების ძლიერი მხარეა ბაზარზე შესაბამისი მიმართულებებით კადრების დიდი მოთხოვნა არსებობს. შესაბამისად, თითოეული პროგრამის სტუდენტებისთვის არსებობს დასაქმების სხვადასხვა შესაძლებლობა. არსებული შესაძლებლობების შესახებ სტუდენტებს ინფორმაციას აწვდის პროგრამების განმახორციელებელი პერსონალი, ასევე ამ ინფორმაციას სტუდენტები ეცნობიან LMS-ის, უნიფიცირებული მეილებისა და უნივერსიტეტის ოფიციალური ვებგვერდის საშუალებით [https://www.tsu.ge/](https://www.tsu.ge/). უნივერსიტეტს აქვს სტუდენტთა კარიერული განვითარების ცენტრი, თუმცა სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრების შედეგად ნაკლებად გამოიკვეთა კარიერული განვითარების ცენტრის როლი სტუდენტთა დასაქმებაში. ამავდროულად, სტუდენტებს საკმაოდ ბევრი შესაძლებლობა აქვთ გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის, თითქმის ყველა პროგრამის კურსდამთავრებული და სტუდენტი ერთხელ მაინც

სარგებლობდა მსგავსი შესაძლებლობით. ამავდროულად, დადებითია ის ფაქტორიც, რომ თითქმის ყველა კურსდამთავრებული და სტუდენტი დასაქმებულია საკუთარი სპეციალობით.

უნივერსიტეტში მოქმედებს სტუდენტური პროექტების საგრანტო პროგრამა, რომლის ფარგლებშიც სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ, რომ კვლევითი ან საგანმანათლებლო პროექტისთვის მიიღონ ფინანსური მხარდაჭერა. სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა, როგორც სახელობითი ასევე სახელმწიფო სტიპენდიის მოპოვების. კლასტერული პროგრამების სტუდენტებს უნივერსიტეტისგან შეუძლიათ მოითხოვონ საექსპედიციო-კვლევითი დაფინანსება, რაც ასევე დადებითი ფაქტორია.

პროგრამების სტუდენტებს შეუძლიათ ისარგებლონ იმ ზოგადი საკონსულტაციო სერვისებითაც, რასაც უნივერსიტეტი ყველა პროგრამის სტუდენტს ერთიანად სთავაზობს. ასეთია: ფსიქოლოგის უფასო კონსულტაციები, დასაქმებასთან დაკავშირებული კონსულტაციები, საბაკალავრო ნაშრომისა და აკადემიური წერის კონსულტაციები. ამის მიუხედავად, საკვალიფიკაციო ნაშრომების გაცნობისას გამოიკვეთა ტენდენცია, რომ სტუდენტები სრულყოფილად, სტანდარტების დაცვით ვერ უთითებენ ბიბლიოგრაფიასა და წყაროებს, რაც ასევე ზოგიერთ შემთხვევაში რეცენზენტის მხრიდანაც არაა უკუკავშირში ხაზგასმული.

სტუდენტები ჩართულები არიან პროგრამების განვითარების პროცესშიც ფოკუს-ჯგუფებისა და გამოკითხვების საშუალებით. რაც მიანიშნებს პროგრამებსა და სტუდენტებს შორის მჭიდრო ზმაზე და სტუდენტის მხრიდან უკუკავშირის გათვალისწინებაზე, შესაბამისად, კლასტერული პროგრამები სტუდენტების ინტერესებზეა ორიენტირებული.

მაინორ პროგრამის ფარგლებში არსებობდა იაპონიის საელჩოსთან თანამშრომლობის წარმატებული პრაქტიკა. აღსანიშნავია, რომ იაპონისტიკის საბაკალავრო პროგრამად აკრედიტაციის შემდგომ სტუდენტებისთვის უფრო მრავალფეროვანი შესაძლებლობები გაჩნდება გაცვლითი პროგრამებისა და საერთაშორისო კონფერენციების მიმართულებით, ასევე შესაბამისი მიმართულებით კვლევებისთვის. აღსანიშნავია ირანისტიკის საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში ირანის საელჩოს უშუალო და პირიდაპირი მხარდაჭერა, რომლის ფარგლებშიც ირანის საელჩო სტუდენტებს მრავალფეროვან შესაძლებლობებს სთავაზობს, როგორიცაა საელჩოს სასწავლო სტიპენდიები, უფასო სახელმძღვანელოები, სტაჟირებები და გაცვლითი პროგრამები.

თურქოლოგიის საბაკალავრო პროგრამას უშუალო კავშირი აქვს იუნუს ემრეს სახელობის ცენტრთან, რომლის ფარგლებშიც სტუდენტებს მრავალფეროვანი შესაძლებლობები აქვთ, როგორც აკადემიური პროგრესისთვის ასევე დასაქმებისა და სხვადასხვა გაცვლითი პროექტების მიმართულებით. თურქოლოგიის საბაკალავრო პროგრამა თითოეულ სტუდენტს სთავაზობს თურქეთში მინიმუმ ერთი თვით გაცვლით პროგრამაში მონაწილეობას ენის პრაქტიკის გაღრმავებისთვის.

მთლიანობაში კლასტერში წარმოდგენილი რვავე პროგრამა სტუდენტს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე და კარიერულ განვითარებაზეა ორიენტირებული, რის ფარგლებშიც ხდება სტუდენტების კონსულტირება. სტუდენტებს საკმაოდ ბევრ შესაძლებლობას სთავაზობს თითოეული პროგრამა, რომ მათი სწავლის პროცესი იყოს მრავალფეროვანი და ისინი ჩართულები იყვნენ ადგილობრივ თუ საერთაშორისო პროექტებსა და კონფერენციებში. ამას ადასტურებს, როგორც თვითშეფასების ანგარიში, ასევე სხვა წარმოდგენილი დოკუმენტები და გასაუბრების შედეგები.

საჭიროების შემთხვევაში, **აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით**

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1** (სახელწოდება, საფეხური)

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით;
- პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის საათობრივი დატვირთვა, ფუნქციები და მოვალეობები;
- დაგეგმილი და განხორციელებული სტუდენტთა საკონსულტაციო შეხვედრები;
- ინფორმაცია და დოკუმენტაცია ადგილობრივი და საერთაშორისო/გაცვლითი პროექტების, კონფერენციებისა და ღონისძიებების შესახებ;
- ინტერვიუს შედეგები;
- უნივერსიტეტის ოფიციალური ვებ-გვერდი https://www.tsu.ge/ .

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:** კლასტერთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფს საერთო რეკომენდაციები არა აქვს.

**კლასტერის საერთო რჩევები:** სასურველია, გაუმჯობესდეს აკადემიური წერის მიმართულებით კონსულტაციები. კერძოდ, ნაშრომებში წყაროებისა და ბიბლიოგრაფიის მითითების წესის შესახებ.

**არსებობის შემთხვევაში რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით

**პროგრამა 1** (სახელწოდება, საფეხური)

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

**რჩევ(ებ)ი:**

**პროგრამა 2** (სახელწოდება, საფეხური)

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

**რჩევ(ებ)ი:**

…………….

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

| კომპონენტი 3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 1 (არაბისტიკა, საბაკალავრო პროკრამა) | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 2 (არაბისტიკა, სამაგისტრო პროგრამა) | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 3 (ირანისტიკა, საბაკალავრო პროგრამა) | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 4 (ირანისტიკა, სამაგისტრო პროგრამა) | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 5 (თურქოლოგია, საბაკალავრო პროგრამა) | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 6 (თურქოლოგია, სამაგისტრო პროგრამა) | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 7 (შორეული აღმოსავლეთი. იაპონისტიკა, საბაკალავრო პროგრამა) | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 8 (შორეული აღმოსავლეთი. სინოლოგია, საბაკალავრო პროგრამა) | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

## 3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

- სამეცნიერო ხელმძღვანელი, სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით განხორციელებისთვის, სათანადოდ უჭერს მხარს მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს.
- სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამაზე სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა უზრუნველყოფს სამეცნიერო ხელმძღვანელობის სათანადოდ განხორციელებას.

კლასტერული შეფასება

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

კლასტერში მოცემული სამივე სამაგისტრო პროგრამის შემთხვევაში არაბისტიკა, ირანისტიკა და თურქოლოგია კვალიფიკაციის მისაღებად სრულდება სამაგისტრო ნაშრომი. საყურადღებოა, რომ სამივე სამაგისტრო პროგრამა ორიენტირებულია კვალიფიციური სამაგისტრო ნაშრომების შექმნაზე და სამაგისტრო პროგრამების თითოეული სასწავლო კურსი შეიცავს კვლევითი და კრიტიკული აზროვნების უნარების განვითარებას, რათა საბოლოოდ მაგისტრანტმა შეძლოს სრულყოფილი სამაგისტრო ნაშრომის შექმნა.

სამაგისტრო პროგრამების სტუდენტებს შეუძლიათ აირჩიონ ნებისმიერი თემა, თუმცა გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა იმ თემებს, რომლებიც მოდულების მიხედვითაა თითოეულ პროგრამაში მოცემული, ვინაიდან სწორედ ამ მიმართულებებით შეუძლიათ პროგრამაში ჩართულ პერსონალს ხელმძღვანელობა გაუწიონ

სტუდენტს. შესაბამისად, სტუდენტს სამაგისტრო პროგრამაზე ჩაბარებისას მეტწილად უკვე გადაწყვეტილი უნდა ჰქონდეს სავარაუდოდ რა თემაზე იმუშავებს.

თვითშეფასების ანგარიშიდან, წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან და ადმინისტრაციულ და აკადემიურ პერსონალთან გასაუბრებისას ირკვევა, რომ სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელებად პროგრამები სტუდენტებს სთავაზობენ კვალიფიციურ პერსონალს, რომელსაც აქვს თეორიული და პრაქტიკული გამოცდილება ნაშრომების ხელმძღვანელობის, აქვს დოქტორის ხარისხი, არიან დარგის მაღალკვალიფიციური წარმომადგენლები და აქვთ პროექტების მართვის გამოცდილება. შესაბამისად, უნივერსიტეტს აქვს მაგისტრატურის ხელმძღვანელობის ზოგადი წესი, რომელიც არეგულირებს კლასტერში მოცემული სამაგისტრო პროგრამების ხელმძღვანელობის წესსაც. მაგისტრანტთა ხელმძღვანელობის წესს კლასტერში დაჯგუფებული პროგრამებისთვის ადგენს თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის წესი. მაგისტრანტთა ხელმძღვანელების დატვირთვა გაწერილია მათ აკადემიურ დატვირთვაში.

სამაგისტროს ხელმძღვანელი მაგისტრანტს ეხმარება თემის დამუშავება/დახვეწაში, სათაურის შერჩევაში, კვლევითი პროცესის დაგეგმვაში, მეთოდოლოგიის განსაზღვრაში, აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვაში. სტუდენტი ინდივიდუალურად მუშაობს ნაშრომზე და ასევე ინდივიდუალურად იღებს კონსულტაციებს ხელმძღვანელისგან. კონსულტაციები მიმდინარეობს სისტემატიურად კვლევის გეგმის შესაბამისად. ასევე, არის წინასწარი დაცვების სისტემა, რომელიც მაგისტრანტს ეხმარება იმაში, რომ უკუკავშირი მიიღოს და მოემზადოს სამაგისტრო ნაშრომის დაცვისთვის.

მაგისტრანტთა და ხელმძღვანელთა თანაფარდობა განსაზღვრულია შესაბამისი აკადემიური პერსონალის რაოდენობითა და სამაგისტრო საფეხურზე თითოეული პროგრამის მიხედვით სტუდენტთა კვოტების რაოდენობით. მაგისტრანტთა ხელმძღვანელობის ეფექტური განხორციელების პროცესის ზედამხედველობაზე და მონიტორინგზე პასუხისმგებელია აკადემიური პერსონალის ეთიკის კოდექსი და ფაკულტეტის საბჭო, რომელიც მთლიანი პროცესის განმავლობაში ჩართულია და არეგულირებს მაგისტრანტსა და ხელმძღვანელს შორის ურთიერთობას, ისევე როგორც ნაშრომის დაცვის პროცედურებს.

მთლიანობაში, მაგისტრანტი თავისუფალია აირჩიოს, როგორც სამაგისტრო ნაშრომის თემა, ასევე მისი ხელმძღვანელი. ამისთვის არსებობს ოფიციალური პროცედურები, რომელიც განსაზღვრავს ხელმძღვანელის უფლება-მოვალეობებს, რათა მაგისტრანტს სრულყოფილი კონსულტირება გაუწიოს სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისას. მაგისტრანტთა და ხელმძღვანელთა რაოდენობა ერთმანეთთან თანაფარდობაშია. ხოლო ხელმძღვანელსა და მაგისტრანტს შორის ურთიერთობებს არეგულირებს ფაკულტეტის საბჭო, რომელიც ასევე უშუალოდაა ჩართული ნაშრომების დაცვის პროცესში.

**საჭიროების შემთხვევაში, აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით**

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1** (სახელწოდება, საფეხური)

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

| მაგისტრანტის/დოქტორანტის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მაჩვენებლები<br>პროგრამა 1 (არაბისტიკა, მაგისტრატურა)[10] | |
|---|---|
| სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელების რაოდენობა | 10 |
| //სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელების რაოდენობა | |
| მაგისტრანტების რაოდენობა | 15 |
| //დოქტორანტების რაოდენობა | |
| თანაფარდობა - სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელები/მაგისტრანტები | 0.67 |
| თანაფარდობა - სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელები/დოქტორანტები | |

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2** (ირანისტიკა, მაგისტრატურა)

იხილეთ კლასტერში დაჯგუფებული სამაგისტრო პროგრამების ერთიანი აღწერა/ანალიზი.

| მაგისტრანტის/დოქტორანტის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მაჩვენებლები<br>პროგრამა 2 (ირანისტიკა, მაგისტრატურა) | |
|---|---|
| სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელების რაოდენობა | 8 |
| //სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელების რაოდენობა | |
| მაგისტრანტების რაოდენობა | 3 |
| //დოქტორანტების რაოდენობა | |
| თანაფარდობა - სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელები/მაგისტრანტები | 2.67 |
| თანაფარდობა - სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელები/დოქტორანტები | |

10 საჭიროების მიხედვით გთხოვთ, დაამატოთ შესაბამისი რაოდენობის ცხრილები კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3** (თურქოლოგია, მაგისტრატურა)

იხილეთ კლასტერში დაჯგუფებული სამაგისტრო პროგრამების ერთიანი აღწერა/ანალიზი.

| მაგისტრანტის/დოქტორანტის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მაჩვენებლები<br><br>**პროგრამა 3 (თურქოლოგია, მაგისტრატურა)** | |
|---|---|
| სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელების რაოდენობა | **11** |
| //სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელების რაოდენობა | |
| მაგისტრანტების რაოდენობა | **0** |
| //დოქტორანტების რაოდენობა | |
| თანაფარდობა - სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელები/მაგისტრანტები | **N/A** |
| თანაფარდობა - სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელები/დოქტორანტები | |

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში;
- კლასტერში დაჯგუფებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში შესრულებული სამაგისტრო ნაშრომების სია;
- აკრედიტაციის ვიზიტის ფარგლებში, უსდ-ს მიერ წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომები;
- აკადემიური პერსონალის სემესტრული დატვირთვა;
- სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისა და შეფასების წესი;
- ინტერვიუების შედეგები.

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს

**კლასტერის საერთო რჩევები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს

**არსებობის შემთხვევაში რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით

**პროგრამა 1** (სახელწოდება, საფეხური)

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

**რჩევ(ებ)ი:**

**პროგრამა 2** (სახელწოდება, საფეხური)

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

**რჩევ(ებ)ი:**

**...............**

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

| კომპონენტი 3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| **პროგრამა 2 (არაბისტიკა, სამაგისტრო პროგრამა)** | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| **პროგრამა 4 (ირანისტიკა, სამაგისტრო პროგრამა)** | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| **პროგრამა 6 (თურქოლოგია, სამაგისტრო პროგრამა)** | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

**პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა**

| 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 1 (არაბისტიკა, საბაკალავრო პროგრამა) | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 2 (არაბისტიკა, სამაგისტრო პროგრამა) | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 3 (ირანისტიკა, საბაკალავრო პროგრამა) | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 4 (ირანისტიკა, სამაგისტრო პროგრამა) | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 5 (თურქოლოგია, საბაკალავრო პროგრამა) | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 6 (თურქოლოგია, სამაგისტრო პროგრამა) | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 7 (შორეული აღმოსავლეთი. იაპონისტიკა, საბაკალავრო პროგრამა) | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 8 (შორეული აღმოსავლეთი. სინოლოგია, საბაკალავრო პროგრამა) | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

## 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის/კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

### 4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

აღმოსავლეთმცოდნეობის კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, მასში დაჯგუფებულ საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებს ახორციელებს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე, გამოცდილი და კონკურსის გზით შერჩეული აკადემიური პერსონალი, რომელიც ფლობს შესაბამისი სწავლის შედეგების მისაღებად საჭირო კომპეტენციებს. ხელმძღვანელებსა და განმახორციელებელ პერსონალს აქვთ პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მისაღებად საჭირო კომპეტენცია, პროგრამის პროფილის შესაბამისი აკადემიური ხარისხი, სწავლებისა და კვლევის გამოცდილება, რასაც ადასტურებს წარმოდგენილი CV-ები.

პროგრამების განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი რაოდენობა უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას აკადემიური რესურსით.

პროგრამებში ჩართული აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) კვალიფიკაცია შესაბამისობაშია კანონმდებლობისა და თსუ-ში მოქმედ რეგულაციებში არსებულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან.

პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის CV-ების მიმოხილვამ და გასაუბრებამ აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაციის შესაბამისობაში დაგვარწმუნა. მათი რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის მდგრადობას.

პროგრამების განხორციელებაში ჩართულ აკადემიურ პერსონალს აქვს თანამედროვე ცოდნა, მეცნიერებაში უახლესი მიღწევების შემოქმედებითი და კრიტიკული ანალიზის უნარი, ადგილობრივი და საერთაშორისო საგრანტო პროექტების შემუშავების წარმატებული გამოცდილება.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1** (არაბისტიკა, საბაკალავრო პროგრამა)

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2** (არაბისტიკა, სამაგისტრო პროგრამა)

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3** (ირანისტიკა, საბაკალავრო პროგრამა)

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 4** (ირანისტიკა, სამაგისტრო პროგრამა)

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 5** (თურქოლოგია, საბაკალავრო პროგრამა)

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 6** (თურქოლოგია, სამაგისტრო პროგრამა)

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 7** (შორეული აღმოსავლეთი. იაპონისტიკა, საბაკალავრო პროგრამა)

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 8** (შორეული აღმოსავლეთი. სინოლოგია, საბაკალავრო პროგრამა)

აღმოსავლეთმცოდნეობის კლასტერში დაჯგუფებული საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებს ახორციელებს მაღალი კვალიფიკაციისა და საერთაშორისო აღიარების აკადემიური პერსონალი, რომელთაც პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია გააჩნიათ. პროგრამის ხელმძღვანელი დარგში წარმატებული მოღვაწეობითა და მრავალწლიანი პედაგოგიური გამოცდილებით გამოირჩევიან. CV-ის მიმოხილვისას და გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ პროგრამების განხორციელბაში ჩართული აკადემიური და მოწვეული სპეციალისტები სისტემატურად მონაწილეობენ საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმებში, აქვთ საერთაშორისო გამოქვეყნებები და სამეცნიერო პროექტების შექმნის წარმატებული გამოცდილება. კანომდებლობის და უნივერსიტეტის შიდა რეგულაციების საფუძველზე პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი, მათი რაოდენობა უზრუნველყოფს დასახული სწავლის შედეგების მიღწევასა და პროგრამის მდგრადობას.

არაბისტიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია: 5

აფილირებული პროფესორი, 13 აფილირებული ასოცირებული პროფესორი, 1 აფილირებული ასისტენტ პროფესორი, 4 მოწვეული პედაგოგი.

არაბისტიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას ახორციელებს: 2 აფილირებული პროფესორი, 7 აფილირებული ასოცირებული პროფესორი, 1 აფილირებული ასისტენტ პროფესორი და 6 მოწვეული პედაგოგი.

ირანისტიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია: 5 პროფესორი, 13 აფილირებული ასოცირებული პროფესორი, 3 მოწვეული პედაგოგი.

ირანისტიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია: 1 აფილირებული პროფესორი, 7 აფილირებული ასოცირებული პროფესორი, 2 მოწვეული პედაგოგი.

თურქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია: 5 აფილირებული პროფესორი, 10 აფილირებული ასოცირებული პროფესორი, 1 აფილირიბული ასისტენტ პროფესორი, 5 მოწვეული პედაგოგი.

თურქოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას ახორციელებს: 2 აფილირებული პროფესორი, 4 აფილირებული ასოცირებული პროფესორი, 1 აფილირებული ასისტენტ პროფესორი, 4 მოწვეული პედაგოგი.

შორეული აღმოსავლეთი. იაპონისტიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია: 3 აფილირებული პროფესორი, 4 აფილირებული ასოცირებული პროფესორი, 3 მოწვეული პედაგოგი. სტუდენტებისთვის ენის პრაქტიკული გამოყენების დახვეწის თვალსაზრისით მიზანშეწონილი იქნება, იაპონისტიკის პროგრამაში აქტიურად ჩაერთოს იაპონური ენის კვალიფიციური იაპონელი სპეციალისტი.

შორეული აღმოსავლეთი. სინოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია: 3 აფილირებული პროფესორი, 4 აფილირებული ასოცირებული პროფესორი, 5 მოწვეული პედაგოგი.

სინოლოგიის საბაკალავრო პროგრამაში ჩართულია მაღალკვალიფიციური და მრავალწლიანი გამოცდილების მქონე პერსონალი. თუმცა უშუალოდ სინოლოგიის მიმართულებით განხორციელებული სასწავლო კურსების - ჩინური ენა 1, ჩინური ენა 2, ჩინური ენა 3, ჩინური ენა 4, ჩინური ენა 5, ჩინური ენა 6, ჩინური ენა 7 განმახორციელებელი პერსონალი სრულად არიან მოწვეული ლექტორები, რამაც შესაძლოა გარკვეული გავლენა მოახდინოს პროგრამის მდგრადობაზე.

| პროგრამა 1 (არაბისტიკა, საბაკალავრო პროგრამა)[11] |
|---|

11 საჭიროების მიხედვით გთხოვთ, დაამატოთ შესაბამისი რაოდენობის ცხრილები კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის.

| **პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)** | პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა | მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი[12] | მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი[13] | მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი |
|---|---|---|---|---|
| სულ აკადემიური პერსონალი | **23** | **12** | **9** | **19** |
| - პროფესორი | 5 | 1 | 1 | 5 |
| - ასოცირებული პროფესორი | 13 | 5 | 5 | 13 |
| - ასისტენტ-პროფესორი | 1 | 1 | 1 | 1 |
| - ასისტენტი | 0 | 0 | 0 | 0 |
| მოწვეული პერსონალი | 3 | 2 | 1 | _ |
| სამეცნიერო პერსონალი | | | | _ |

**პროგრამა 2 (არაბისტიკა, სამაგისტრო პროგრამა)**

| **პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)** | პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა | მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი[14] | მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი[15] | მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი |
|---|---|---|---|---|
| სულ აკადემიური პერსონალი | 16 | 11 | 9 | 10 |
| - პროფესორი | 2 | 2 | 2 | 2 |
| - ასოცირებული პროფესორი | 7 | 6 | 6 | 7 |
| - ასისტენტ-პროფესორი | 1 | 1 | 1 | 1 |
| - ასისტენტი | 0 | 0 | 0 | 0 |
| მოწვეული პერსონალი | 6 | | | 4 |
| სამეცნიერო პერსონალი | 0 | | | _ |

**პროგრამა 3 (ირანისტიკა, საბაკალავრო პროგრამა)**

12 ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი
13 საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი
14 ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი
15 საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

| **პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)** | პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა | მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი[16] | მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი[17] | მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი |
|---|---|---|---|---|
| სულ აკადემიური პერსონალი | 21 | 8 | 5 | 18 |
| - პროფესორი | 5 | 0 | 0 | 5 |
| - ასოცირებული პროფესორი | 13 | 5 | 5 | 13 |
| - ასისტენტ-პროფესორი | 0 | | | |
| - ასისტენტი | 0 | | | |
| მოწვეული პერსონალი | 2 | 1 | | 2 |
| სამეცნიერო პერსონალი | 0 | | | - |

| პროგრამა 4 (ირანისტიკა, სამაგისტრო პროგრამა) | | | | |
|---|---|---|---|---|
| **პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)** | პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა | მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი[18] | მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი[19] | მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი |
| სულ აკადემიური პერსონალი | 10 | 6 | 6 | 7 |
| - პროფესორი | 1 | | | 2 |
| - ასოცირებული პროფესორი | 7 | 6 | 6 | 4 |
| - ასისტენტ-პროფესორი | 0 | 0 | 0 | 0 |
| - ასისტენტი | 0 | | | |
| მოწვეული პერსონალი | 1 | | | |
| სამეცნიერო პერსონალი | | | | _ |

| პროგრამა 5 (თურქოლოგია, საბაკალავრო პროგრამა) |
|---|

16 ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი
17 საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი
18 ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი
19 საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

| **პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)** | პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა | მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი[20] | მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი[21] | მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი |
|---|---|---|---|---|
| სულ აკადემიური პერსონალი | 23 | 11 | 6 | 16 |
| - პროფესორი | 3 | 1 | 1 | 3 |
| - ასოცირებული პროფესორი | 11 | 4 | 4 | 11 |
| - ასისტენტ-პროფესორი | 1 | 1 | 1 | 1 |
| - ასისტენტი | 0 | | | |
| მოწვეული პერსონალი | 5 | 5 | 3 | 5 |
| სამეცნიერო პერსონალი | 0 | | | _ |

| პროგრამა 6 (თურქოლოგია, სამაგისტრო პროგრამა) | | | | |
|---|---|---|---|---|
| **პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)** | პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა | მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი[22] | მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი[23] | მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი |
| სულ აკადემიური პერსონალი | 11 | 9 | 7 | 4 |
| - პროფესორი | 2 | 1 | 1 | 2 |
| - ასოცირებული პროფესორი | 4 | 4 | 4 | 4 |
| - ასისტენტ-პროფესორი | 1 | 1 | 1 | 1 |
| - ასისტენტი | 0 | | | |
| მოწვეული პერსონალი | 4 | 3 | 2 | 4 |
| სამეცნიერო პერსონალი | 0 | | | _ |

| პროგრამა 7 (შორეული აღმოსავლეთი. იაპონისტიკა, საბაკალავრო პროგრამა) |
|---|

20 ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი
21 საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი
22 ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი
23 საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

| **პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)** | პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა | მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი[24] | მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი[25] | მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი |
|---|---|---|---|---|
| სულ აკადემიური პერსონალი | 12 | | | 7 |
| - პროფესორი | 3 | | | |
| - ასოცირებული პროფესორი | 4 | | | |
| - ასისტენტ-პროფესორი | 0 | | | |
| - ასისტენტი | 0 | | | |
| მოწვეული პერსონალი | 4 | | | |
| სამეცნიერო პერსონალი | 0 | | | _ |

| პროგრამა 8 (შორეული აღმოსავლეთი. სინოლოგია, საბაკალავრო პროგრამა) | | | | |
|---|---|---|---|---|
| **პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)** | პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა | მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი[26] | მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი[27] | მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი |
| სულ აკადემიური პერსონალი | 12 | 6 | 2 | 6 |
| - პროფესორი | 3 | | | 3 |
| - ასოცირებული პროფესორი | 4 | | | 3 |
| - ასისტენტ-პროფესორი | 0 | | | |
| - ასისტენტი | 0 | | | |
| მოწვეული პერსონალი | 5 | | | |
| სამეცნიერო პერსონალი | 0 | | | _ |

24 ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი
25 საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი
26 ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი
27 საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულება და ფაკულტეტის სტრუქტურა (დანართი 12);
- სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესი https://www.tsu.ge/data/file_db/orders/118-danarti1.pdf
- აკადემიური/სამცნიერო პერსონალის პირადი საქმეები (დანართი 6);
- პროგრამის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია (დანართი 17);
- აკადემიური/მოწვეული პერსონალის რაოდენობა პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებით (თვითშეფასების რაოდენობრივი მაჩვენებელი (დანართი 1);
- აკადემიური პერსონალის თანაფარდობა მოწვეულ პერსონალთან მიმართებით ( თვითშეფასების რაოდენობრივი მაჩვენებელი (დანართი 1);
- საგნების მიხედვით პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის სია (დანართი 3);
- პერსონალის ფუნქციები და პასუხისმგებლობების აღწერა (დანართი 17, დანართი 7);
- თსუ ვებგვერდი / https://www.tsu.ge
- ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ვებ-გვერდი;
- თსუ-ის აკადემიური საბჭოს დადგენილება №81/2018, 26 თებერვალი, სსიპ- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პერსონალის შეფასების წესის დამტკიცების შესახებ (დანართი 14);
- სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ პროფესორი, ასისტენტი) აფილირების წესი და პირობები (დანართი 14);
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვის სქემა (დანართი 13);
- თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულება (დანართი 12);
- ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის სამუშაო აღწერილობის დოკუმენტი (დანართი 7, 17);

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:** კლასტერთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფს საერთო რეკომენდაციები არა აქვს.

**კლასტერის საერთო რჩევები:** კლასტერთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფს საერთო რჩევები არა აქვს.

**რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)

**პროგრამა 1** (არაბისტიკა, საბაკალავრო პროგრამა)

**რეკომენდაცი(ებ)ი:** მოცემულ სტანდარტთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფს რეკომენდაცია არ აქვს

**რჩევ(ებ)ი:** მოცემულ სტანდარტთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფს რჩევები არ აქვს

**პროგრამა 2** (არაბისტიკა, სამაგისტრო პროგრამა)

**რეკომენდაცი(ებ)ი:** მოცემულ სტანდარტთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფს რეკომენდაცია არ აქვს

**რჩევ(ებ)ი:** მოცემულ სტანდარტთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფს რჩევები არ აქვს

**პროგრამა 3** (ირანისტიკა, საბაკალავრო პროგრამა)

**რეკომენდაცი(ებ)ი:** მოცემულ სტანდარტთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფს რეკომენდაცია არ აქვს

**რჩევ(ებ)ი:** სასურველია, პროგრამის განხორციელბაში ჩაერთოს ასისტენტ-პროფესორი

**პროგრამა 4** (ირანისტიკა, სამაგისტრო პროგრამა)

**რეკომენდაცი(ებ)ი:** მოცემულ სტანდარტთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფს რეკომენდაცია არ აქვს

**რჩევ(ებ)ი:** სასურველია, პროგრამის განხორციელბაში ჩაერთოს ასისტენტ-პროფესორი

**პროგრამა 5** (თურქოლოგია, საბაკალავრო პროგრამა)

**რეკომენდაცი(ებ)ი:** მოცემულ სტანდარტთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფს რეკომენდაცია არ აქვს

**რჩევ(ებ)ი:** მოცემულ სტანდარტთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფს რჩევები არ აქვს

**პროგრამა 6** (თურქოლოგია, სამაგისტრო პროგრამა)

**რეკომენდაცი(ებ)ი:** მოცემულ სტანდარტთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფს რეკომენდაცია არ აქვს

**რჩევ(ებ)ი:** მოცემულ სტანდარტთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფს რჩევები არ აქვს

**პროგრამა 7** (შორეული აღმოსავლეთი. იაპონისტიკა. საბაკალავრო პროგრამა)

**რეკომენდაცი(ებ)ი:** მიზანშეწონილი იქნება, იაპონისტიკის პროგრამაში აქტიურად ჩაერთოს იაპონური ენის კვალიფიციური იაპონელი სპეციალისტი, რომ სტუდენტებმა მიიღონ მეტი გამოცდილება და დახვეწონ ენის პრაქტიკული გამოყენება.

**რჩევ(ებ)ი:** მოცემულ სტანდარტთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფს რჩევები არ აქვს

**პროგრამა 8** (შორეული აღმოსავლეთი. სინოლოგია, საბაკალავრო პროგრამა)

**რეკომენდაცი(ებ)ი:** მიზანშეწონილია, გაძლიერდეს სინოლოგიის პროგრამა დარგის კვალიფიციური და პრაქტიკული გამოცდილების მქონე პერსონალით

**რჩევ(ებ)ი:** მოცემულ სტანდარტთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფს რჩევები არ აქვს

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

| კომპონენტი 4.1 ადამიანური რესურსი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 1 (არაბისტიკა, საბაკალავრო პროგრამა) | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 2 (არაბისტიკა, სამაგისტრო პროგრამა) | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 3 (ირანისტიკა, საბაკალავრო პროგრამა) | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 4 (ირანისტიკა, სამაგისტრო პროგრამა) | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 5 (თურქოლოგია, საბაკალავრო პროგრამა) | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 6 (თურქოლოგია, სამაგისტრო პროგრამა) | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **პროგრამა 7 (შორეული აღმოსავლეთი. იაპონისტიკა, საბაკალავრო პ[როგრამა)** | ☐ | ☒ | ☐ | ☐ |
| **პროგრამა 8 (შორეული აღმოსავლეთი. სინოლოგია, საბაკალავრო პროგრამა)** | ☐ | ☒ | ☐ | ☐ |

## 4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია

მაგისტრანტსა და დოქტორანტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები და საჭიროების შემთხვევაში თანახელმძღვანელი/თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ კვლევის სფეროში შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

სამაგისტრო პროგრამების სტუდენტებს პროგრამების განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალი ხელმძღვანელობს. ისინი დარგის მაღალკვალიფიციური სპეციალისტები არიან და აქვთ შესაბამისი პუბლიკაციები, კვლევითი პროექტები, სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა, რაც დასტურდება CV-ებით (დანართი # 6). პროგრამების განხორციელებაში ჩართული პერსონალის კვალიფიკაცია სრულად შეესაბამება მაგისტრანტების ხელმძღვანელობის საჭიროებებს.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კვლევითი კომპონენტის მომზადება-წარდგენასთან, დაცვასთან და შეფასებასთან, მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭებასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება სამაგისტრო ნაშრომის მიმზადებისა და დაცვის წესით. აღნიშნული დოკუმენტი, აგრეთვე, ფაკულტეტის დებულებება განსაზღვრავს მაგისტრანტის სამეცნიერო ხელმძღვანელთან, მის კვალიფიკაციასა და ფუნქციებთან (აკადემიური ხარისხი, შესაბამის სამეცნიერო სფეროში კვლევის გამოცდილება, პუბლიკაციები, მაგისტრანტის საქმიანობის კონტროლი და სხვ.) დაკავშირებულ საკითხებს.

**პროგრამა 2 (არაბისტიკა, სამაგისტრო პროგრამა)**[28]

| **სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა** | ნაშრომების ხელმძღვანელები | მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე ხელმძღვანელები[29] | მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი |
|---|---|---|---|
| სულ სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა | **7** | **7** | **7** |
| - პროფესორი | 2 | 2 | 2 |

28 საჭიროების მიხედვით გთხოვთ, დაამატოთ შესაბამისი რაოდენობის ცხრილები კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის.

29 საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე ნაშრომების ხელმძღვანელები

| | | | |
|---|---|---|---|
| - ასოცირებული პროფესორი | 5 | 5 | 5 |
| - ასისტენტ-პროფესორი | 1 | 1 | 1 |
| მოწვეული პერსონალი | 0 | | _ |
| სამეცნიერო პერსონალი | 0 | | _ |

| პროგრამა 4 (ირანისტიკა, სამაგისტრო პროგრამა)[30] | | | |
|---|---|---|---|
| **სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა** | ნაშრომების ხელმძღვანელები | მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე ხელმძღვანელები[31] | მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი |
| სულ სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა | **3** | **3** | **3** |
| - პროფესორი | 0 | | |
| - ასოცირებული პროფესორი | 3 | 3 | 3 |
| - ასისტენტ-პროფესორი | 0 | | |
| მოწვეული პერსონალი | 0 | | _ |
| სამეცნიერო პერსონალი | 0 | | _ |

| პროგრამა 6 (თურქოლოგია, სამაგისტრო პროგრამა)[32] | | | |
|---|---|---|---|
| **სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა** | ნაშრომების ხელმძღვანელები | მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე ხელმძღვანელები[33] | მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი |
| სულ სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა | **3** | **3** | **1** |
| - პროფესორი | 0 | | |
| - ასოცირებული პროფესორი | 1 | 1 | - |
| - ასისტენტ-პროფესორი | 0 | | |

30 საჭიროების მიხედვით გთხოვთ, დაამატოთ შესაბამისი რაოდენობის ცხრილები კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის.

31 საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე ნაშრომების ხელმძღვანელები

32 საჭიროების მიხედვით გთხოვთ, დაამატოთ შესაბამისი რაოდენობის ცხრილები კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის.

33 საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე ნაშრომების ხელმძღვანელები

| | | | |
|---|---|---|---|
| მოწვეული პერსონალი | 0 | | _ |
| სამეცნიერო პერსონალი | 0 | | _ |

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2** (არაბისტიკა, სამაგისტრო პროგრამა)

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 4** (ირანისტიკა, სამაგისტრო პროგრამა)

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 6** (თურქოლოგია, სამაგისტრო პროგრამა)

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კვლევითი კომპონენტის მომზადება-წარდგენასთან, დაცვასთან და შეფასებასთან, მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭებასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება სამაგისტრო ნაშრომის მიმზადებისა და დაცვის წესით. აღნიშნული დოკუმენტი, აგრეთვე, ფაკულტეტის დებულებება განსაზღვრავს მაგისტრანტის სამეცნიერო ხელმძღვანელთან, მის კვალიფიკაციასა და ფუნქციებთან (აკადემიური ხარისხი, შესაბამის სამეცნიერო სფეროში კვლევის გამოცდილება, პუბლიკაციები, მაგისტრანტის საქმიანობის კონტროლი და სხვ.) დაკავშირებულ საკითხებს.

მაგისტრანტს შეიძლება ჰყავდეს ერთზე მეტი ხელმძღვანელი. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი ან/და კონკრეტული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მოწვეული პედაგოგი. ერთ სასწავლო სემესტრში აკადემიურ პერსონალს/მოწვეულ პედაგოგს შეუძლია არაუმეტეს 5 მაგისტრანტის ხელმძღვანელობა. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელმა კონსულტაცია უნდა გაუწიოს მაგისტრანტს საკვლევი თემის განსაზღვრასა და შერჩევაში, კვლევის დიზაინის ჩამოყალიბებაში, კვლევითი აქტივობის დაგეგმვაში, ნაშრომის სტრუქტურულ, სტილისტურ და აკადემიურ გაფორმებაში.

სამაგისტრო ნაშრომის მიმზადებისა და დაცვის წესის მიხედვით ნაშრომი უნდა გაფორმდეს ამერიკის ფსიქოლოგთა ასოციაციის APA ციტირების სტილით (იხილეთ ბმული: https://www.waikato.ac.nz/library/guidance/referencing/apa). სასურველია, სამაგისტრო ნაშრომების მომზადების დროს სტუდენტებს მეტი ინფორმაცია მიეწოდოთ გამოყენებული წყაროების მითითების სტანდარტების შესახებ.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- კლასტერის საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის რეზიუმეები (დანართი 6);
- პროგრამის ხელმძღვანელის, ადმინისტრაციული პერსონალის ფუნქციები და მოვალეობები (დანართი 7);
- სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის წესი;

- ფაკულტეტის დებულება (დანართი 12);
- პროგრამების აკადემიური პერსონალის სამეცნიერო აქტივობის მაჩვენებლები (დანართი N 16)

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

**კლასტერის საერთო რჩევები:** სასურველია, სამაგისტრო ნაშრომების მომზადების დროს სტუდენტებს მეტი ინფორმაცია მიეწოდოთ გამოყენებული წყაროების მითითების სტანდარტების შესახებ.

**რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)

**პროგრამა 2** (არაბისტიკა, სამაგოსტრო პროგრამა)

**რეკომენდაცი(ებ)ი:** **რეკომენდაცი(ებ)ი:** მოცემულ სტანდარტთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფს რეკომენდაცია არ აქვს

**რჩევ(ებ)ი:** მოცემულ სტანდარტთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფს რჩევები არ აქვს

**პროგრამა 4** (ირანისტიკა, სამაგოსტრო პროგრამა)

**რეკომენდაცი(ებ)ი:** **რეკომენდაცი(ებ)ი:** მოცემულ სტანდარტთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფს რეკომენდაცია არ აქვს

**რჩევ(ებ)ი:** მოცემულ სტანდარტთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფს რჩევები არ აქვს

